1859
2010 N1

ქართული ემიგრაცია

კრებული

I

2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის
ინსტიტუტი
გიორგი მაჩაბლის ფონდი

ქართული ემიგრაცია

კრებული
I

თბილისი
2010

უაკ (UDK) 325.2 (=353.1)
ქ – 279

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო შრომების კრებულში წარმოჩენილია ქართული ემიგრაციის წარსულისა და თანამედროვეობის აქტუალური საკითხები

სარედაქციო კოლეგია: ოთარ ჯანელიძე (რედაქტორი), მალხაზ მაცაბერიძე, რუსუდან დაუშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ლაშა ბაქრაძე

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010
ქართული ემიგრაცია, კრებული I

ISBN 1987-9687

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

დიმიტრი შველიძე
XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიიდან 5
Dimitry Shvelidze
From the History of Georgian Political Emigration at the Beginning of the 20th Century 21
ლაშა ბაქრაძე
ალექსანდრე აბხაზი (მანგლისი,1893–ვისბადენი, 1957) – კინომრეწველობის პირველი სტატისტიკოსი 22
Lasha Bakradze
Alexander Abkhazi (Manglisi1893 - Wisbaden1957) The First Statistician of Film Industry 27
რუსუდან დაუშვილი
ქართული ემიგრაცია ინგლისში XX საუკუნის 20-30-იან წლებში 28
Rusudan Daushvili
Georgian Emigration to England in 20s and 30s of the 20th century 42
რუსუდან ნიშნიანიძე
პოეტური კოდი (გრიგოლ ფერაძის პოეზიიდან) 43
Rusudan Nishnianidze
Poetic Code (From the Poetry of Grigol Peradze) 49
უჩა ბლუაშვილი
ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულების გენეზისი და ოპოზიციური მიმდინარეობის წარმოშობა ქართულ ემიგრანტულ სოციალ-დემოკრატიაში 50
Ucha Bluashvili
Genesis of the Attitude towards National Issue and Origin of the Opposition Movement among the Social-Democrats from Georgian Emigration 60

ლელა სარალიძე
მონტრეს კონფერენცია და ქართული ემიგრაცია (1936 წ.) 61
Lela Saralidze
Conference of Montreux and Georgian Emigration in 1936..... 68
ნინო ცხოიძე
თანამედროვე ემიგრაციის სოციალურ-რელიგიური
ასპექტები 70

დიმიტრი შველიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიიდან

XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შესამჩნევად გაიზარდა ქართველი ემიგრანტების რაოდენობა. ემიგრანტთა რიგებს ძირითადად შეადგენდნენ სტუდენტები და რუსეთის ხელისუფლებისაგან დევნილი პოლიტიკური მოძრაობის მონაწილენი. ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან იწყება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორია, რადგან უფრო ადრე ქართველი ემიგრანტების პოლიტიკურ მოღვაწეობას ევროპაში ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა (ნიკო ნიკოლაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, საზოგადოება „უღელი"...). გასული საუკუნის დასაწყისთან არის დაკავშირებული ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობის ორი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება: გაზეთ „საქართველოს" გამოცემა პარიზში და პირველი ქართული ინტერპარტიული კონფერენციის ორგანიზება ჟენევაში. ჩვენი ისტორიის სწორედ ამ უკანასკნელ მოვლენას ეხება წინამდებარე ნაშრომი.

28425

XIX საუკუნის 90-იანი წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი. 1901 წლის დამდეგისათვის გაზეთ „ცნობის ფურცლის" გარშემო თავი მოიყარეს საქართველოს ავტონომიის მომხრე სხადასხვა ჯგუფებმა: „ახალგაზრდა ივერიელებმა" (გ. ლასხიშვილი, გ. დეკანოზიშვილი), ჟურნალ „მოამბის" წარმომადგენლებმა (გ. ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ი. ფანცხავა), უპარტიო პატრიოტებმა და სხვა. მათ შეუერთდა საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ა. ჯორჯაძე.

1901 წლის შემოდგომაზე „ცნობის ფურცლის" ჯგუფმა მთავარი კომიტეტი აირჩია. მასში შევიდნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები. კომიტეტის მიზანი იყო პოლიტიკური პარტიის შექმნა, მაგრამ მანამდე ჯგუფმა გადაწყვიტა საზღვარგარეთ გამოეცა გაზეთი, რომლის საშუალებითაც ჩამოაყალიბებდა და საზოგადოებას გააცნობდა მომავალი ორგანიზაციის პროგრამას. 1903 წლის 1 მაისს ამ მიზნით საფრანგეთში წარგზავნილმა ა. ჯორჯაძემ და გ. დეკანოზიშვილმა პარიზში გამოსცეს თავისუფალი გაზეთი „საქართველო." იგი 1903-1905 წლებში გამოდიოდა. გაზეთის ფურცლებზე პირველად იქნა წამოყენე-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ღიად და პოლიტიკური მოთხოვნის სახით – საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით სახელმწიფოს აღდგენა. ეს იყო გაზეთის პირველი დიდ დამსახურება.

„საქართველოს" მეორე დამსახურება იყო ის, რომ ფრანგულენოვანი დამატების „ლა ჟორჟეს" საშუალებით, ეროვნული საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების წინაშე დასვა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხი.

„საქართველოს" კიდევ ერთი დამსახურება მიუძღოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე – მან დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწია ქართული პოლიტიკური მიმდინარეობებისა და ჯგუფების კონფერენციის ჩასატარებლად. „საქართველოს" რედაქციის ან როგორც იმხანად ეძახდნენ, „საქართველოისტების" მიზანი იყო შეექმნათ ავტონომიისათვის მებრძოლი პარტია, რომელიც თავის რიგებში, ეროვნული დროშის ქვეშ გააერთიანებდა სხვადასხვა ქართულ პოლიტიკურ ჯგუფს. ამ მიზნით უნდა შემდგარიყო კონფერენცია, რომელზედაც შეიკრიბებოდნენ იმ ხანად ევროპაში მყოფი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

და აი, ჟენევაში, 1904 წლის 1 აპრილს, გაიხსნა ევროპაში მყოფი ქართული პოლიტიკური მიმდინარეობების წარმომადგენელთა ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ – ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია. ამ ისტორიული მოვლენის ძირითადი და ერთადერთი წყაროა კონფერენციის „ოქმები". იგი კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და შემდგომში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო ლიდერმა გიორგი დეკანოზიშვილმა გამოსცა პარიზში და მისი ძალისხმევით შემორჩა ისტორიას.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ „საქართველოისტი"-ავტონომისტები ანუ იგივე მომავალი სოციალისტ-ფედერალისტები, ქართველი ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენლები. თავდაპირველად კონფერენციაზე გამოცხადდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, მაგრამ მის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი თქვეს და მეორე დღეს დატოვეს სხდომა. კონფერენციაზე დარჩა ერთი ავტონომისტი სოციალ-დემოკრატი.

„ოქმების" მიხედვით, კონფერენციაზე პირველ დღეს 26 კაცი გამოცხადდა, ხოლო ხუთი სოციალ-დემოკრატის წასვლის შემდეგ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა. „ოქმში" მონაწილეები ფსევდონიმებით მოიხსენიებიან: 1. დევიანი, 2. მორბელაძე, 3. ფალიანი, 4. ეფრემიძე, 5. X, 6. მანაველი, 7. ორგეიანი, 8. თერგელი, 9. ვერმიცანი-

ძე, 10. მთიელი, 11. რაშაძე, 13. ძ, 14. საბა, 15. ლიახველი, 16. ცანგალა, 17. ცხრარჯულაძე, 18. ნეიძე, 19. ქართლელი, 20. საბუელი, 21. -არი. დანარჩენი მონაწილეები „ოქმში“ მოხსენიებული არ არიან.

აღნიშნული ფსევდონიმების მატარებელი პიროვნებებიდან, გიორგი ლასხიშვილის გადმოცემით, მხოლოდ ხუთი მონაწილის ვინაობა იყო ცნობილი: დევიანი – ნოე ჟორდანია; საბუელი – არჩილ ჯორჯაძე; მანაველი – ვარლამ ჩერქეზიშვილი; ორგეიანი – გიორგი (კომანდო) გოგელია და ვერმიცანიძე – ალექსანდრე გაბუნია.

საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში ჩვენ შევძელით დაგვედგინა კიდევ რამდენიმე პიროვნების ვინაობა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ „ქართლელი“. ვარლამ ჩერქეზიშვილმა რამდენჯერმე განაცხადა – კონფერენციას გაზეთ „საქართველოს“ ორი წარმომადგენელი ესწრებოდაო. ერთი მათგანი რომ „საბუელის“ ფსევდონიმით მონაწილე არჩილ ჯორჯაძე იყო, ჩვენ უკვე ვიცით. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ 1902 წელს მთავარმა კომიტეტმა გაზეთის გამოსაცემად, საზღვარგარეთ, ჯორჯაძესთან ერთად მიავლინა გიორგი დეკანოზიშვილი. სწორედ ის გახლდათ ჟენევის კონფერენციის მოწვევის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, რის გამოც მონაწილეებმა უყოყმანოდ აირჩიეს კონფერენციის სხდომების თავმჯდომარედ. მაშ, „საქართველოს“ რედაქციის წარმომადგენელი და კონფერენციის თავმჯდომარე „ქართლელი“ იყო გიორგი დეკანოზიშვილი.

კონფერენციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ანარქისტი „თერგელი.“ მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა, რომელშიც ევროპის სოციალისტური მოძრაობა ანარქისტული პოზიციებიდან განიხილა. „თერგელი“ კონფერენციის პირველ მდივნად აირჩიეს. თედო სახოკია ჟენევის „ინტერპარტიული“ კონფერენციის მონაწილე სხვა ანარქისტებთან – ჩერქეზიშვილსა და გოგელიასთან ერთად – მიხაკო წერეთელს ასახელებს. ცნობილია, რომ შემდგომში გამოჩენილი ქართველი პატრიოტი და მეცნიერი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, 1900-იან წლებში მხურვალე ანარქისტი გახლდათ. იგი აღბეჭდილია ჟენევის კონფერენციის მონაწილეთა ცნობილ ფოტოზეც, რაც უეჭველს ხდის, რომ ანარქისტი „თერგელი“ მართლაც ილია ჭავჭავაძის თერგივით მშფოთვარე და დაუდეგარი მიხაკო წერეთელი იყო (1, 37).

კიდევ ერთი ადრე გამორკვეული ფსვდონიმის შესახებ. კონფერენციის მნაწილე ვინმე „ძ“ უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართველი ავტონომისტი სოციალ-დემოკრატი ვლადიმერ დარჩიაშვილი. იგი არ ეთანხმებოდა თავის სოციალ-დემოკრატ თანაპარტიელებს, რომელნიც მისგან განსხვავებით, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის წინააღმ-

დეგ გამოდიოდნენ. დარჩიაშვილი ავტონომისტებთან თანამშრომლობის მომხრე იყო. 2 აპრილის სხდომა ნ. ჟორდანიამ და მისმა ოთხმა ქართველმა თანაპარტიელმა დატოვა. „ბ. ძ სთხოვა კრებას ნება მიეცათ დარჩეს კრებაზე". ის რომ კონფერენციის მონაწილე „ბ. ძ" ქართველი სოციალ-დემოკრატი და ავტონომისტი ვლადიმერ დარჩიაშვილი უნდა ყოფილიყო, ჩვენ დაწვრილებით დავასაბუთეთ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფიაში და აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ (2, 147-148).

ახლა რაც შეეხება ჟენევის კონფერენციის სხვა საგულვებელ მონაწილეებს.

ნ. ჟორდანია თავის მოგონებებში ასახელებს კონფერენციის ორ მონაწილეს. იმავე წელსო, წერს იგი, ა.ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ჟენევაში მოაწყვეს კონფერენცია, „სადაც ჯგუფი ქართველი სოციალ-დემოკრატებისა იყო მიწვეული სტუმრათ. მოწვევა მივიღეთ (მე, ჭოტი ჯაფარიძემ, მ. ორჯონიკიძემ და სხვა. სულ 5 თუ 6 კაცი)..." (3, 45). ცხადია, ჟორდანია თავის თანაპარტიელს შინაურული სახელით მოიხსენებს – „ჭოტი" და ამით მისი ინდენტიფიკაციის შეასძლებლობას გვირთულებს. საქმე ისაა, რომ 1904-1907 წლებში ქართულ სოციალ-დემოკრატიში ორი ცნობილი ჯაფარიძე ფიგურირებდა. ერთი გახლადათ რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სერგო ჯაფარიძე, ხოლო მეორე – არჩილ ჯაფარიძე, მეორე სათათბიროს დეპუტატი იყო (4, 89, 153). მცირე მინიშნება იმაზე, რომ ჟენევის კონფერენციაზე მიწვეული და გამოცხადებული ჭოტი ჯაფარიძე შესაძლებელია II სათათბიროს დეპუტატი არჩილ ჯაფარიძე ყოფილიყო, კვლავ ჟორდანიას მოგონებებშია. მემუარისტი მეორედ მოიხსენიებს თავის თანაპარტიელს, როცა მეორე სათათბიროს ქართველი დეპუტატების დაპატიმრების საშიშროების შესახებ მოგვითხრობს. ჟორდანიას ყველას ნახვა და გაფრთხილება მოუნდომებია, მაგრამ დანანებით წერს: „ჯაფარიძე ვერ ვნახეო" (3, 57). აქ ჟორდანია ჯაფარიძის სახელს აღარ ახსენებს, რაც თითქმის იმის მანიშნებელია, რომ რადგან ერთხელ უკვე ადრე მოიხსენია „ჭოტი ჯაფარიძე," მეორედ მისი სახელის აღნიშვნა საჭიროდ აღარ მიაჩნია – მკითხველი ისედაც მიხვდება, რომ საუბარი ერთხელ მოხსენიებულ ჯაფარიძეს ეხება. თუ ამგვარ შესაძლებლობას დავუშვებთ, გამოდის, ჟენევის კონფერენციაზე გამოცხადებულ-მიწვეული „ჭოტი" – არჩილ ჯაფარიძე ყოფილა.

რაც შეეხება იმას, თუ რომელი ფსევდონიმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ჭოტი ჯაფარიძე კონფერენციაზე, უფრო საგულვებელია, რომ იგი ყოფილიყო „ფალიანი". კონფერენციის მონაწილენი

სხვადასხვა ვარიანტით თუ კომბინაციის მიხედვით ირქმევდნენ ფსევ-დონიმებს. ერთ-ერთი ვარიანტი იყო გვარში არსებული ერთ-ერთი ასოს დომინირება და ამ ასოს მიხედვით სახელ-ფსევდონიმის გამოყვანა. მაგ. ნოე ჟორდანიამ მიიჩნია, რომ თავის გვარში პრიორიტეტულ ასო-ნიშანს წარმოადგენდა „დ“, ჟორ-დ-ანია და ფსევდონიმად დევიანი, დ-ევიანი შეარჩია. კომანდო გოგელიამ საკუთარ გვარში ორი „გ“-ს ფიგურირებას მიაქცია ყურადღება და ფსევდონიმიც შესაფერისი მოიგონა: „ორგეიანი“, ორი-გ-ეიანი. ეტყობა ჭოტი ჯაფარიძემ დაახლოებით ამგვარი კომბინაცია გამოიყენა და თავის გვარში ასო-ნიშანი „ფ“ გამოყო, რის გამოც მივიღეთ „ფალიანი“, „ფ-ალიანი“.

ნ. ჟორდანიას მიერ მოხსენიებული, კონფერენციაზე მასთან ერთად გამოცხადებული მეორე სოციალ-დემოკრატი მ. ორჯონიკიძე, ცხადია, არ არის ცნობილი გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე. 1903-1905 წლებში იგი საქართველოში იმყოფებოდა, საფერშლო სკოლაში სწავლობდა და როგორც უკვე ბოლშევიკ-ლენინელი – არც ჟორდანიას და მით უფრო არც ქართველ ნაციონალისტებს გვერდით არ გაეკარებოდა. რაც შეეხება „მ. ორჯონიკიძეს“ – იგი არ განეკუთვნებოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ელიტას. იგი არ ფიგურირებს შემდგომი წლების სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. შესაძლოა „მ. ორჯონიკიძე“ ახალგაზრდა, მარქსისტულად განწყობილი ქართველი სტუდენტი იყო, რომელიც ევროპის რომელიმე ქალაქში უმაღლეს განათლებას ეუფლებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ „მ. ორჯონიკიძე“ ჟენევაში სწავლობდა. ვვარაუდობთ, რომ ამ „მ. ორჯონიკიძის“ ფსევდონიმი უნდა ყოფილიყო „მორბელაძე“. ეს უკანასკნელი სოციალ-დემოკრატი იყო და ჟენევის ქართული ემიგრანტებელი კოლონიის 1904 წლის 7 თებერვლის კრებას დასწრებია. ამავე კრებას მის გარდა დასწრებიან ჟენევის კონფერენციის მონაწილე სხვა ქართველებიც: X-ი, ანვილი და საბუელი. ისინი ერთხმად ამტყუნებენ ეფრემიძეს, თქვენ მაშინ, 7 თებერვლის კრებაზე სხვა რამ განაცხადეთ და ახლა სხვას ამტკიცებთ.

„მ. ორჯონიკიძის“ „მორბელაძეობას“ ორი ნიუანსი გვაფიქრებინებს. ერთი რომ, სხვა ფსევდონიმები ნაკლებად შეესაბამება ამ პიროვნებას და მეტად შეესაბამება სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატებს. მეორეც, რომ „მ. ორჯონიკიძის“ ინიციალი და გვარის პირველი ორი ასო ემთხვევა „მორბელაძის“ დასაწყის ასოებს: „მორ-ბელაძე“, რაც ბუნებრივად კარგად შეერწყმის დავით კლდიაშვილის ცნობილი პერსონაჟის გვარს – მორბელაძე. სანამ სხვა რაიმე ხელშესახები არგუმენტი გამოჩენილა, ამ ნიუანსური მინიშნებებით დავკმაყოფილდებით.

კიდევ ერთი სოციალ-დემოკრატი მონაწილის შესახებ ცნობას გვაწვდის ქართველი ემიგრანტი მოღვაწე და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში ცნობილი პოლიტოლოგი მარკოზ ტუღუში. იგი წერს, რომ ჟენევის კონფერენციის მონაწილეთა შორის იყო, ქართველი სოციალ-დემოკრატი დ. თოფურიძე (5, 156). ეს ცნობა სავსებით ლოგიკურია და ამის შესახებ ჩვენც გამოვთქვით ვარაუდი დასახელებულ მონოგრაფიაში (2). ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი დიომიდე თოფურიძე 1903-1904 იმყოფებოდა დასავლეთ ევროპაში. 1903 წლის ზაფხულში იგი ნ. ჟორდანიასთან ერთად ესწრებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მეორე ყრილობას. ცხადია, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მეწშევიკი თუფურიძე თავის პარტიულ ლიდერთან ერთად გამოცხადებულიყო ქართველ ემიგრანტთა ჟენევის ინტერპარტიულ კონფერენციაზე.

რომელი იყო დიომიდე თოფურიძის ფსევდონიმი? ლოგიკური იქნება მოსაზრება გამოგვეთქვა, რომ მისი ფსევდონიმი „ეფრემიძე" გახლდათ, მის გვარში არსებული ასო „ფ" და „რ"-ს გამო, მაგრამ ამას ხელს უშლის ერთი ვარემოება. „ეფრემიძის" და „ანვილის" ფსევდონიმებს წინ უძღვის ასო „ქ", რაც ალბათ იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ „ქ. ეფრემიძე" და „ქ. ანვილი" - მანდილოსნები იყვნენ და „ქალბატონებად" იყვნენ მოხსენებულნი: „ქალბატონი ეფრემიძე და ქალბატონი ანვილი", თუ ასეა, მაშინ დიომიდე თოფურიძის „ეფრემიძეობა" ნაკლებად საფიქრებელია.

და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ დიომიდე თოფურიძის საგულვებელ ფსევდონიმად რჩება ერთი ფსევდონიმი - „X". კონფერენციის „ოქმებში" ხომ დადასტურებულია, რომ მასზე თავდაპირველად გამოცხადდა და შემდეგ სხდომები დატოვა ხუთმა სოციალ-დემოკრატმა: დევიანმა, მორბელაძემ, ფალიანმა, ეფრემიძემ და X-მა. აი, ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო სწორედ მეწშევიკი დიომიდე თოფურიძე. ამ მოსაზრებას რამდენიმე ნიუანსური გარემოება უნდა ადასტურებდეს. 1902 წელს, როდესაც დიომიდე თოფურიძე აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „კვალში", იქ იბეჭდებოდა წერილები „X"-ის ხელმოწერით. ამ წლის №№20–21-ში, „X"-ს ეკუთვნოდა მეთაური წერილი: „წერა-კითხვის საზოგადოების მომავალი კრება." დ. თოფურიძე ამ დროს ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა „კვალის" გამოცემას და მეთაურ წერილებსაც წერდა. „X"-ს ეკუთვნოდა პუბლიკაცია „სამშობლო ენა აღზრდის საქმეში" და სხვა.

„კვალის" რუბრიკაში „მე-20 საუკუნის მოღვაწენი", როგორც ჩანს, ორი პიროვნება მონაწილეობდა: აკაკი ჩხენკელი და X. ამ უკან-

ასკნელის ხელმოწერით გამოქვეყნდა წერილები: „კარლ ფონ-ბერი“, „ლამარკი“, „ჩარლზ დარვინი“, „კარლ ფოხტი“, „ლუი პასტერი“, „ოგიუსტ კონტი“. ამავე წლის „კვალის “ მეთექვსმეტე ნომერშიც ნეკროლოგს „ერნესალ ლიბერი“ (წერილი ბერლინიდან), ხელს აწერს X. საქმე ის გახლდათ, რომ 1902 წლის „კვალის“ ნომრებში „თოფურიძის“ გვარი საერთოდ არ ჩანს, მაშინ, როცა ფიგურირებს X, რაც თითქმის იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „კვალში“ მოთანამშრომლე დიომიდე თოფურიძე X-ის ფსევდონიმით ბეჭდავდა სტატიებს.

რა თქმა უნდა, ისიც შესაძლებელია, რომ X-ის ხელმოწერით სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატი აქვეყნებდა წერილებს, მაგრამ X-ისა და თოფურუძის „კვალში“ თანამშრომლობის პერიოდი მეტყველად ემთხვევა ერთმანეთს. 1902 წლის მეორე ნახევარსა და 1903-1904 წლების პერიოდში, როცა დ. თოფურიძე ევროპაში იმყოფებოდა, X-ის ხელმოწერით სტატიებიც აღარ ჩანს „კვალში“. უბრალოდ დამთხვევაა? სხვათა შორის, X-ისა და თოფურიძის იგივეობაზე ისიც უნდა მეტყველებდეს, რომ მეცნიერების თემატიკას, რასაც ასე ხშირად ეხება X-ის პუბლიკაციები, თოფურიძე ჯერ კიდევ 1901 წელში შეეხო, როცა „კვალში“ გამოაქვეყნა წერილების სერია: „მეცნიერება და მეცნიერები“. ამ სერიით მან ხუთი სტატია დაბეჭდა (6). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თოფურიძე ევროპაში ყოფნის დროსაც აქვეყნებდა „კვალში“ წერილებს, მაგრამ უმთავრესად საკუთარი გვარით და არა ფსევდონიმით.

ერთი სიტყვით, ჟენევის კონფერენციის სოციალ-დემოკრატი მონაწილე X, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი დიომიდე თოფურიძე.

მარკოზ ტუღუში, ეყრდნობა რა გიორგი დეკანოზიშვილის არქივის მასალებს, ასახელებს ჟენევის კონფერენციის კიდევ ერთ მონაწილეს – ესაა თედო სახოკია. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია „საქართველოს“ რედაქციის მიერ ინიცირებული ჟენევის ინტერპარტიული კონფერენცია თედო სახოკიას იქ ყოფნის გარეშე. იგი 1900-იანი წლების დასაწყისიდანვე იმყოფებოდა ევროპაში, საფრანგეთში. თ. სახოკია დეკანოზიშვილსა და ჯორჯაძის ჩასვლის შემდეგ, პირველი ნომრიდანვე ენერგიულ მონაწილეობას იღებდა გაზ. „საქართველოს“ გამოცემაში. ამას ადასტურებს თვით გიორგი დეკანოზიშვილი და სხვა წყაროებიც.

მაგრამ, რომელი ფსევდონიმით მონაწილეობდა თედო სახოკია ჟენევს ინტერპარტიულ თავყრილობაში, ესაა გასარკვევი. რადგან პირადპირი ცნობა ამის შესახებ არ გაგვაჩნია, ჯერჯერობით მაინც, გა-

მოსავალი ჰიპოთეზური მეთოდით უნდა ვცადოთ. საგულვებელი იყო, რომ, რადგან თედო სახოკია „საქართველოს“ გიორგი დეკანოზიშვილის, ამ უკანასკნელის სიტყვებით: „გულით და სულით შველოდა“, კონფერენციასაც, როგორც რედაქციის წარმომადგენელი, ისე უნდა დასწრებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. „ოქმებში“ აღნიშნულია და ამას ვარლამ ჩერქეზიშვილი ამბობს, კონფერენციას „საქართველოს ორი წარმომადგენელი“ ესწრებოდაო. ვიცით, რომ ისინი იყვნენ გ. დეკანოზიშვილი და ა. ჯორჯაძე. ე.ი. თუ თ. სახოკია კონფერენციას ესწრებოდა, იგი არ წარმოადგენდა „საქართველოს“ რედაქციას. ასეც სჩანს გ. დეკანოზიშვილის „დღიურიდან“, როცა იგი წერს: გაზეთის მომზადება-გამოცემაში „თედო სახოკიაც გულით და სულით მშველის, მაგრამ მას არ შეუძლია რედაქციის წარმომადგენლობაო“ (5, 118).

რატომ არ შეეძლო თედო სახოკიას კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, როგორც გაზეთ „საქართველოს“ წარმომადგენელს? ალბათ, მარტივი მიზეზის გამო – იგი არ იყო არც 1901 წელს შექმნილი „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის, არც მისი საზღვარგარეთული გამოცემის – „საქართველოს“ პოლიტიკური დაჯგუფების წევრი. ამ პერიოდისათვის თ. სახოკია ან სხვა რომელიმე პარტიის პოზიციას უფრო იზიარებდა ან საერთოდ უპარტიო იყო. იგი მხოლოდ პატრიოტული ენთუზიაზმის საფუძველზე ეხმარებოდა „საქართველოს“ ჯგუფს. სხვათა შორის, ამავე მოსაზრებით ეხმარებოდა „საქართველოელებს“ სანდრო-ალექსანდრე გაბუნიაც, რომელიც მწარმსით ანარქისტი გახლდათ. სანამ თედო სახოკიას დახმარების შესახებ აღნიშნავდა, გ. დეკანოზიშვილი თავის „დღიურში“ სწორედ ალ. გაბუნიას და პარიზში მყოფი სხვა ქართველების შესახებ წერს, რომელნიც პარტიულად არ იყვნენ „საქართველოელების“, ე.ი. ფედერალისტების წარმომადგენლები, მაგრამ როგორც ქართველი პატრიოტები, ისე ეხმარებოდნენ გ. დეკანოზიშვილს: „აქ არიან ქართველები (ე.ი. პარიზში – დ.შ.), დიდის სიამოვნებით მშველიან... სანდრო გაბუნია მშვენიერი ყმაწვილია, მშველის კიდეც....“ (5, 119). ე.ი. თ. სახოკია, ისე როგორც ს. გაბუნია და პარიზში მყოფი სხვა ქართველები, კონკრეტულად როგორც ჩანს, არ არიან „საქართველოისტები“. ისინი ან გაბუნიასავით სხვა პარტიების წარმომადგენლები არიან ან კიდევ უპარტიო პატრიოტები. მათი მსგავსია თ. სახოკია.

ასეთი ხალხი ჟენევის კონფერენციას ესწრებოდა. ძირითადად აქ იყვნენ სოციალ-დემოკრატების წასვლის შემდეგ, „საქართველოელები“, ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილი პირები და უპარტიოებიც. „ოქმებიდან“ ჩანს, რომ

კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. დეკანოზიშვილი (ქართლელი), როგორც „საქართველოს“ რედაქციის წარმომადგენელი. კონფერენციამ აირჩია ასევე ორი მდივანი. პირველი მდივანი იყო მიხაკო წერეთელი (თერგელი), რომელიც ალბათ აირჩიეს, როგორც ანარქისტი, როგორც ანარქისტული ფრაქციის წარმომადგენელი. ინტერპარტიული თავყრილობების დროს ხომ ასე ხშირად ხდება – წარმომადგენლობით სტრუქტურებში ირჩევენ ხოლმე მონაწილე ფრაქციების წარმომადგენლებს.

სწორედ ასე უნდა მომხდარიყო და ამ ნიშნით უნდა აერჩიათ კონფერენციის მეორე მდივანი – ვინმე „ცანგალა“. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ალბათ სხვადასხვა მიმდინარეობებისა და უპარტიოების წარმომადგენლებს, რომელნიც ცოტანი არ იყვნენ კონფერენციაზე. სწორედ ეს „ცანგალა“ შეიძლებოდა ყოფილიყო თედო სახოკია და აი, რატომ. თედო სახოკია იყო ყველაზე აქტიური მხარდამჭერი „საქართველოელებისა“, დანარჩენ უპარტიო ან სხვა მიმდინარეობების წარმომადგენელთა შორის, ვინც კონფერენციაზე გამოცხადდა. მდივნებს და თავმჯდომარეს უნდა მოეწესრიგებინათ კონფერენციის მიმდინარეობის საორგანზაციო პროცესი, ეწარმოებინათ და გამოსაცემად მოემზადებინათ კონფერენციის ოქმები, ეწარმოებინათ მიმოწერა, გაევრცელებინათ ინფორმაცია, გამოექვეყნებინათ მასალები „საქართველოში“ და ა.შ. ამგვარ საქმიანობაში თ. სახოკიაზე უკთესად ალბათ ვერავინ შეძლებდა დახმარებოდა კონფერენციის მესვეურებს. ამ გარემოებათა გათვალისწინებითაა საფიქრებელი, რომ კონფერენციის მეორე მდივნად არჩეული „ცანგალა“ უნდა ყოფილიყო ცნობილი პატრიოტი, მთარგმნელი, მეცნიერი და პირველ ყოვლისა, ეროვნული მობრაობის აქტიური მოღვაწე თედო სახოკია.

ჯერ კიდევ ადრე გამოთქმული ვარაუდით, კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიეღო შემდგომში ცნობილ ეროვნულ-დემოკრატ მოღვაწეს რევაზ გაბაშვილს. დღეს ამგვარი მოსაზრება უფრო მყარი გვეჩვენება და იგი რამდენიმე გარემოებას ემყარება. პირველი ისაა, რომ კონფერენციის სამი მონაწილე ეროვნულ-დემოკრატიულ პოზიციაზე დგას, კერძოდ საკუთრების ხელშეუხებლობის მომხრეა და ამით განსხვავდება დანარჩენი სოციალისტური უმრავლესობისაგან. მეორე – შემდგომში ცნობილი ეროვნულ-დემოკრატებიდან 1904 წელს დასავლეთ ევროპაში თითქმის არავინ იმყოფებოდა. ახალი თაობის ეროვნულ-დემოკრატები უმთავრესად შემდგომში გამოვიდნენ ასპარეზზე, 1905 წლის მერე. ყველაზე უხუცესი მათ შორის, რომელიც ევროპაში მოხვდა, გიორგი გვაზავა იყო. 1904 წლის ჟანდარმერიის საქმეებში შე-

მონახულია მეთვალყურე-აგენტის პატაკი უფროსისადმი, რომ „ბ-ნი გ. გვაზავა ამა წლის 16 ივნისს კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრა პარიზში“ (7), ე.ი. ჟენევის კონფერენციიდან ორი თვის შემდეგ. 1905 წლამდე საზღვარგარეთ არ ყოფილან ცნობილი ეროვნულ-დემოკრატები შალვა ამირეჯიბი და პეტრე სურგულაძე. გრიგოლ ვეშაპელი 1904 წელს მხოლოდ 13 წლის იყო, ხოლო სპირიდონ კედია უცხოეთში 1906 წელს წავიდა (8, 21).

თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატებიდან 1904 წლისათვის დასავლეთ ევროპაში მხოლოდ რევაზ გაბაშვილი ჩანს. 1902-1904 წლებში იგი ბელგიის ქალაქ ლეიჟში, მონტეფორეს სახელობის ელექტრო-ტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. ჟენევის კონფერენციაში რეზო გაბაშვილის მონაწილეობის შესაძლებლობას ორი გარემოება ეწინააღმდეგება. ერთი, რომ კონფერენციის „ოქმების“ მიხედვით ლიეჟი (ქალაქ „ლ“) არაა დასახელებული იმ ქალაქებს შორის, რომლებიდანაც კონფერენციაზე ჩამოვიდნენ მოწვეული მონაწილეები. მეორე ის გარემოებაა, რომ თავისი ცნობილი მოგონებების წიგნში „რაც მახსოვს“, რეზო გაბაშვილი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს არც კონფერენციას და არც თავის მონაწილეობას მასში.

მაგრამ არსებობს ამ უარყოფითი გარემოებების უარმყოფელი არგუმენტებიც. იმ ქალაქებში, რომლებიდანაც ქართველები ჟენევაში ჩამოვიდნენ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, არც ლონდონია დასახელებილი, თუმცა კარგადაა ცნობილი, რომ ვ. ჩერქეზიშვილი სწორედ ლონდონიდან ჩამოვიდა. ხოლო ის, რომ ჟენევის კონფერენციის შესახებ გაბაშვილი არაფერს წერს თავის მოგონებებში, შესაძლოა იმით აიხსნას, რომ მან მოგონებების წერა უბრალოდ 1905 წლის ამბებიდან დაიწყო. სწორედ ამიტომ, მან არ აღწერა ლიეჟში სწავლისა და ცხოვრების სამი წელი, არ მოიხსენია იქ მყოფი და საერთოდ ბელგიაში და დასავლეთ ევროპაში მყოფი სხვა ქართველები, მათთან ურთიერთობა და ემიგრაციაში გატარებული საინტერესო სამწლეულის პერიპეტიები. გაბაშვილმა ამ წლებს თავისი მოგონებების მხოლოდ ორი ფურცელი დაუთმო, სამი ქართველი ემიგრანტი: ჩერქეზიშვილი, გაბუნია და პ. ყიფიანი მოიხსენია და უფრო მეტი ლენინზე, ტროცკისა და პლეხანოვის შესახებ ისაუბრა. რეზო გაბაშვილს სოციალისტები არ უყვარდა, სოციალ-დემოკრატები სძულდა და სოციალისტ-ფედერალისტებსაც ეჭვით უყურებდა, რის გამოც ამ უკანასკნელებთან ურთიერთობასაც გამკილავად აღწერდა მოგონებებში. შესაძლოა მან ამიტომაც აუარა გვერდი ქართველი სოციალისტების კონფერენციას და მისი „გახსენება“ საჭიროდ არ ჩათვალა მოგონებებში.

ასეა თუ ისე, ამგვარი უარყოფითი გარემოებების მიუხედავად, მაინც გვგონია, რომ რეზო გაბაშვილი უნდა ჩასულიყო ჟენევაში და მაინც უნდა მიეღო მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. თუ ამგვარ შესაძლებლობას დავუშვებთ, მაშინ რეზო გაბაშვილის სოციალ-პოლიტიკური პოზიცია კონფერენციის მონაწილე „მთიელის" შეხედულებებს შეესაბამება. რ. გაბაშვილი ტიპიური ეროვნულ-დემოკრატია, იგი იცავს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, ანტისოციალისტია, შეურიგებლად უპირისპირდება ყველა მას, ვინც ეროვნულ-დემოკრატიზმის ჩარჩოებს გარეთ დგას.

ახლა თვალი გავადევნოთ „მთიელის" მონაწილეობას კონფერენციაში. მისი პირველი აქტივობა იმაში გამოიხატა, რომ საერთო რეზოლუციების გამოტანის წინააღმდეგ გამოვიდა და არ დაეთანხმა არც „საქართველოელებს", არც ანარქისტებს და არც დანარჩენ უმრავლესობას. მეორე შემთხვევაში, „მთიელი" ვ. ჩერქეზიშვილს არ დაეთანხმა, როცა ამ უკანასკნელმა საქართველოს „ისტორიული უფლების" დაცვის ცნობილი ფორმულა წარმოადგინა. მესამე ეპიზოდში „მთიელი" ანარქისტ ალ. გაბუნიას ანარქისტულ პოზიციას დაუპირისპირდა: „მე არ ვეთანხმები ვერმიცანიძის (ალ. გაბუნიას) პრინციპებს. მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ იქ, სადაც ანგრევენ, საჭიროა იცოდნენ წინადვე რაღა უნდა ააშენონ" (1, 186). ამ გამოსვლებით „მთიელი" წარმოჩნდა, როგორც რეალისტური პოლიტიკის მომხრე, ანტისოციალისტი, ანტიანარქისტი და საკუთარი პოზიციის პრინციპული დამცველი.

„მთიელის" პოლიტიკური მსოფლმხედველობა საბოლოოდ გამოირკვა, როცა იგი მიწაზე კერძო საკუთრების მომხრედ გამოვიდა და სოციალიზაციის მხარდამჭერებს დაუპირისპირდა. „მე თქვენ გიპასუხებთ ცხოვრებიდან ამოღებული ფაქტებით. ერევნის გუბერნიაში, სადაც საერთო მიწის მფლობელობაა, დაეკითხნენ გლეხებს, როგორი მიწისმფლობელობა გინდათო? მათ მოისურვეს კერძო, გამოყოფილი საკუთრება; მუდმივი გადაყოფა მიწისა უშლის გლეხს კულტურულად დაამუშაოს მიწა. ჩარჩებს მიაქვთ საუკეთესო მიწები. ამგვარად ფაქტიურად გლეხები მიწის საერთო მფლობელობის წინააღმდეგ არიან. როგორ გინდათ რომ ჩააგონოთ გლეხებს საერთო მფლობელობის საჭიროება, როდესაც ეს მისი შემბოჭველია?" (1, 194). „მთიელის" ეს სიტყვები ჟენევის კონფერენციის მოწინააღმდეგეთა სოციალისტურ უმრავლესობასთან პრინციპულ დაპირისპირებას ნიშნავდა. ამგვარი შეურიგებლობა და მოურიდებლობა ეროვნულ-დემოკრატი რევაზ გა-

ბაშვილისათვის დამახასიათებელი იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ სწორედ მისი ფსევდონიმი უნდა ყოფილიყო „მთიელი“.

სამწუხაროდ, მეტი დამაჯერებლობით, ზემოაღნიშნული ფსევდონიმების დადგენა ჯერჯერობით არ ხერხდება. მხოლოდ იმასღა დავამატებთ, რომ იმხანად, 1904 წლისთვის, დასავლეთ ევროპაში მყოფ ქართველებს ჩამოვთვლით, რომელთაგანაც, რომელიმეს შესაძლოა მიეღო ჟენევის კონფერენციაში მონაწილეობა. მაგალითად, ევროპაში იმყოფებოდნენ: ანდრია დეკანოზიშვილი – „ცნობის ფურცლელთა“ ჯგუფის 1901 წელს არჩეული მთავარი კომიტეტის წევრი; პავლე (პალიკო) ყფიანი – ფედერალისტების მიერ გემ „სირიუსით“ იარაღის შემოტანის აქტიური მონაწილე; ამ ოპერაციის მონაწილეები: იოსებ ბობლაშვილი და გიორგი სიხარულიძე, დათიკო როსტომაშვილი – ანარქისტი; ზურაბ ავალიშვილი; სოციალ-დემოკრატი ავტონომისტი ივანე რამიშვილი, რომელიც ფრაიბურგში სწავლობდა და „ოქმებში“ კი აღნიშნულია, რომ ჟენევაში ერთი კაცი ჩამოვიდა ქალაქ „ფ„-დან; ალექსანდრე დიასამიძე, შემდგომში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის თვალსაჩინო წევრი, გაზეთ „შრომის“ რედაქტორი, ექიმი, ა. ჯორჯაძის მკურნალი; გრიგოლ დიასამიძე, უპარტიო, შემდგომში გაზეთ „თემის“ რედაქტორი, იგი 1904 წლის მარტში გაემგზავრა ევროპაში და სხვა. დანარჩენი ევროპელი ქართველები მოხსენიებულნი არიან მარკოზ ტუღუშის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში და აქ აღარ დავასახელებთ (5).

ორი სიტყვით, გაურკვეველ, გამოცანად დარჩენილი ფსევდონიმებს შევეხებით.

რაშაძე – სეპარატიზმის მერყევი მომხრე: „ჩვენ დაგვჭირდება შევებრძოლოთ რუსეთში ფედერაციის მოწინააღმდეგეთ. რაკი ბრძოლა აუცილებელია, ისევ სჯობია ბრძოლით სეპარატიზმი მოვიპოვოთ.“ ანარქიზმის მოწინააღმდეგეა, თუმცა სოციალისტია – მიწის საერთო მფლობელობის მომხრეა, ე.ი. ფედერალისტ-„საქართველოელების“ ჯგუფებშია საგულვებელი.

ქ. ან-ვილი – ისევე როგორც „ქ. ეფრემიძე,“ ქ. ანვილიც – ქალბატონი უნდა იყოს. რომ არა ეს დაბრკოლება, მათ სხვა მოღვაწეებად მივიჩნევდით.

საბა – ესეც, „მთიელისა“ არ იყოს, სოციალისტი არ ჩანს. იგი ეჭვით უყურებს მიწის სოციალიზაციას და რევოლუციური ტერორის კატეგორიული წინააღმდეგია, კოლექტიურისა თუ ინდივიდუალურისა. იგი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ.

ლიახველი – ტიპიური სოციალისტ-ფედერალისტია, არ ეთანხმება ანარქისტებს.

ცხრარჯულაძე – სამი ეპიზოდური გამოსვლა აქვს, უფრო რეპლიკებით კმაყოფილდება და ძნელდება მისი იდეური პროფილის გარკვევა. იგივე ვითარებაა ნეიძის და №-რი-ის შემთხვევაშიც.

რომ შევაჯამოთ, ჟენევის კონფერენციის „ოქმებში" მოხსენიებული ფსევდონიმებით მონაწილეობას იღებდნენ, თავიდანვე ცნობილი:

1. დევიანი – ნოე ჟორდანია;
2. საბუელი – არჩილ ჯორჯაძე;
3. მანაველი – ვარლამ ჩერქეზიშვილი;
4. ორგეიანი – გიორგი (კომანდო) გოგელია;
5. ვერმიცანიძე – ალექსანდრე გაბუნია.

შემდგომში დადგინდა ან საგულვებელია:

6. ქართლელი – გიორგი დეკანოზიშვილი;
7. თერგელი – მიხაკო წერეთელი;
8. ძ – ვლადიმერ დარჩიაშვილი.
9. ფილიანი – ჭოტი (არჩილ) ჯაფარიძე;
10. მორბელაძე – მ. ორჯონიკიძე;
11. X – დიომიდე თოფურიძე;
12. ცანგალა – თედო სახოკია;
13. მთიელი – რევაზ გაბაშვილი.

გაურკვეველი ფსევდონიმები:

14. რაშაძე
15. ქ. ან-ვილი
16. საბა
17. ლიახველი
18. ცხრარჯულაძე
19. ნეიძე
20. №–რი
21. ქ. ეფრემიძე

კონფერენციის მიზნის შესახებ თავჯდომარემ – ქართლელმა (გ. დეკანოზიშვილმა) განაცხადა: „იქნება შესაძლებელი იყოს საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერთა შეერთება რომელსამე პუნქტში". ქართულ რევოლუციურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს, მიუხედავად მათ შორის არსებული წინააღმდეგობებისა, შესაძლებლად ეჩვენებოდათ რიგ საკითხებში შეთანხმებულიყვნენ. ამ შეთანხმების საფუძველი უნდა ყოფილიყო ეროვნული ნიადაგი: საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება, ბრძოლა რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ. საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ცნობილი ქართველი მოღვაწე ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
28425
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერქეზიშვილი კონფერენციის მონაწილეებს მიმართავდა: „როდესაც ამ კონფერენციაზე მომიწვიეს, ჩემს წინაშე აღიმართა შემდეგი კითხვა: კონფერენციაში მონაწილეობას მივიღებ როგორც წევრი ჩემი პარტიისა, თუ როგორც შვილი განსზღვრული ერისა; როგორც ანარქისტი თუ როგორც ქართველი?! მე დავინახე, რომ ჩემი ადგილი აქ იყო მხოლოდ ადგილი ქართველისა, ჩემს თანამემამულეთა შორის" (1, 15).

მაგრამ თუ ურთიერთშეთანხმება შესაძლებლად მიაჩნდათ ავტონომისტ-„საქართველოისტებს", ანარქისტებს, ესერებს და სხვებს, მას შეუძლებლად მიიჩნევდნენ კონფერენციაზე მოსული სოციალ-დემოკრატები. ამიტომ, როცა საკითხი დაისვა, აქ დამსწრე ფრაქციებს გამოეტანათ საერთო რეზოლუციები, რომლებსაც სავალდებულო ხასიათი არ ექნებოდათ, სოციალ-დემოკრატები წინაღუდგნენ ამ წინადადებას. „ჩვენ აქ მოვედით, როგორც თქვენი წინააღმდეგნი, _ კატეგორიულად აცხადებდა დევიანი (ნ. ჟორდანია). – აქ საჭიროა მხოლოდ აზრთა გამოთქმა, საერთო რეზოლუციებზე კი ლაპარაკი არ შეიძლება" (1, 29).

ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიდანვე უკომპრომისო განწყობილებით გამოცხადდნენ კონფერენციაზე, რომლის მონაწილეებსაც „ნაციონალისტებს" უწოდებდნენ და, რა თქმა უნდა, მათთან შეთანხმებაზე ფიქრიც კი წმინდა ორთოდოქსიის დარღვევას ნიშნავდა. გარდა ამისა, ქართველი სოციალ-დემოკრატია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პარტიას, არამედ ერთ-ერთ ორგანიზაციად შედიოდა რსდმპ-ს შემადგენლობაში. ასეთ ვითარებაში, ცხადია, მათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლოთ. პირველი ორი დღე მათ კონფერენციის მონაწილეებთან უსაგნო დავას მოახმარეს, მეორე დღეს კი დევიანმა (ნ. ჟორდანიამ) საბოლოოდ განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია საერთო რეზოლუციები გამოვიტანოთ „საქართველოელებთან" და ანარქისტებთან ერთად. თქვენ კი საერთო რეზოლუციები გნებავთ. ამიტომ ჩვენ მივდივართ". ამის შემდეგ ხუთმა სოციალ-დემოკრატმა: დევიანმა, ეფრემიძემ, ფალიანმა, მორბელაძემ და X-მა დასტოვეს კონფერენციის სხდომათა დარბაზი.

მას შემდეგ, რაც რეზოლუციების საკითხი დადებითად გადაწყდა, საბუელმა (არჩ. ჯორჯაძემ) კონფერენციას შესთვაზა განსახილველ საკითხთა სია: 1. სეპარატიზმი; 2. ავტონომია და ფედერაცია; 3. გლეხთა კითხვა; 4. მუშათა კითხვა; 5. სარევოლუციო ტაქტიკა; 6. ჩვენი განწყობილება სხვა პარტიებთან; 7. სოციალ-დემოკრატიული პარტია; 8. ორგანო „საქართველო".

პირველ საკითხზე წაიკითხეს ვინმე „ტეზრელის" მიერ კონფერენციაზე გამოგზავნილი მოხსენება. ტეზრელი საქართველოს რუსე-

თისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მომხრე იყო. მისი აზრით, XIX საუკუნის განსაკუთრებით პირველ ნახევარში ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდა. საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოში, დამოუკიდებლობის იდეა როგორღაც შეირყა. ტეზრელის აზრით, ამჟამად მდგომარეობა გაურკვევლად გამოიყურებოდა. „საქართველომ" სეპარატიზმი უარყო. სეპარატისტებმა „საქართველოს" წინააღმდეგ გაილაშქრეს. სოციალ-დემოკრატები კი ორივე მიმართულების წინააღმდეგნი იყვნენ. ტეზრელი სეპარატიზმის მომხრეობას არ ფარავდა, სწამდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობისა, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა, რომ რუსეთის ახალი ხელისუფლება საქართველოს თავისუფლებას მისცემდა.

ტეზრელი პოლიტიკური რეალობის გრძნობას როდი იყო მოკლებული, იგი დამოუკიდებლობის მომხრეობას კი იჩენდა, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის დაუყოვნებლივ ბრძოლისაკენ არავის მოუწოდებდა. უფრო რეალურად ესახებოდა მას გარკვეული საერთაშორისო გართულების მომენტის შესაძლებლობა, „გარეშე მოულოდნელი შემთხვევა". ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი ხალხი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები მომზადებული შეხვედროდნენ ამ ისტორიულ მომენტს და მარჯვედ გამოეყენებინათ შემთხვევა. მოხსენების დასასრულს, ტეზრელი პარქტიკული წინადადებით მიმართავდა და მოუწოდებდა კონფერენციის მონაწილეებს. საინტერესოა, რომ მკვლევარ თამაზ ჯოლოგუას მოსაზრებით, „ტეზრელი" უნდა ყოფილიყო დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნინო ნიკოლოზის ასული ყიფიანი. ნინო ყიფიანი აქტიურად მონაწილეობდა 1900-იანი წლების ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკურ საქმიანობაში და, თ. ჯოლოგუას მართებული აზრით, იყო ევროპაში მყოფი ქართველი ინტერპარტიული კონფერენციის მოწვევის ერთ-ერთი თავგამოდებული ინიციატორთაგანი (9, 43; 10).

სეპარატიზმის შესახებ კონფერენციაზე სხვა ორატორებიც გამოვიდნენ, მაგრამ საბოლოო რეზოლუციით ინტერპარტიულმა თვყრილობამ მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას.

ჟენევის კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციებისა და განხილული საკითხების შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან აღნიშნული პრობლემა დეტალურად გვაქვს შესწავლილი ჩვენს მონოგრაფიაში (2, 125-165).

დასასრულს მხოლდ იმას აღვნიშნავთ, რომ „ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციის“ მთავარი მიზანი და შედეგი იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნა. ეს იყო ეროვნული მიმართულების პირველი პოლიტიკური პარტია ჩვენს ქვეყანაში. როგორც განზრახული იყო, ერთი პარტიის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ კონფერენციის მონაწილე ფრაქციები: ავტონომისტი „საქართველოელები“ (იგივე „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი – დ.შ): ანარქისტები, ესერები და ეროვნულ-დემოკრატები, რის შედეგადაც შეიქმნა ბლოკისტური ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია – სოციალისტ-ფედერალისტების პარტია. შემდგომში, 1906-1907 წლებში, ორგანიზაციიდან ეროვნულ-დემოკრატებისა და ანარქისტების გასვლისა და ესერთა ფედერალისტურ უმრავლესობაში შერევის შემდეგ, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ დაკარგა ბლოკისტური გაერთიანების ხასიათი და დამოუკიდებელ, ერთპარტიულ პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ეს საბოლოოდ მოხდა ფედერალისტური პარტიის მესამე კონფერენციაზე, 1907 წლის ოქტომბერში, როცა მიიღეს პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტები (წესდება, პროგრამა), რის გამოც ეწოდა ამ კონფერენციას დამფუძნებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციისა, პარიზი, 1904. გამოსცა გიორგი დეკანოზიშვილმა.
2. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები, თბ., 1993.
3. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990.
4. გელა (გიორგი) საითიძე, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917) თბ., 2005.
5. მ. ტულუში, გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და მოქმედება), ჟურნ. „კავკასიონი,“ პარიზი, 1965, №10.
6. დ. თოფურიძე, მეცნიერება და მეცნიერები, გაზ. „კვალი“, 1901 წ., №№7,10,12,14,24.
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 157, ანაწ. 1, საქმ. № 38, ფურც. 32.
8. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.
9. თ. ჯოლოგუა, დიმიტრი ყიფიანი (1830-1960 წლები), თბ., 2002.
10. თ. ჯოლოგუა, „ტეზრელის“ ვინაობისათვის, „ლიტერატურული საქართველო,“ 1999 წ., №39.

Dimitry Shvelidze

From the History of Georgian Political Emigration at the Beginning of the 20th Century

Summary

The history of the Georgian political emigration in essence starts at the beginning of the 20th century, when the number of Georgians has considerably increased in the Western European States. Emigrant circles were mainly composed of students and the members of the political movements persecuted by Russian authorities.

In April of 1904 emigrant representatives of the Georgian political organizations held the inter-party conference in Geneva. Participants of the event were the group from newspaper „Georgia", Georgian Anarchists, Social-Revolutionalists, National-Democrats and patriots not belonging to any party.

The participants took part in the meeting under the pseudonyms by which they are as well referred in the „reports" on the conference issued in the same year by George Dekanozishvili. This article is dedicated to identify the participants of the conference and it elucidates several pseudonyms.

ლაშა ბაქრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბხაზი (მანგლისი,1893–ვისბადენი, 1957) – კინომრეწველობის პირველი სტატისტიკოსი

1925 წელს გერმანიაში გამოიცა წიგნი „ფილმი ციფრებსა და რიცხვებში“ (Der Film in Ziffern und Zahlen), რომელსაც იმთავითვე სპეციალისტებისა და პრესის დიდი ყურადღება ხვდა წილად. ამ ნაშრომს კინოს მკვლევარნი დღესაც გვერდს ვერ უვლიან. იმავე ავტორის – ალექსანდრე იაზონის – წიგნების „კინომრეწველობის ცნობარი“ (Handbuch der Filmwirtschaft) 3 ტომი (ბერლინი, 1929, 1931, 1932), „კინოს ცნობარი“ (Handbuch des Films), რომელიც მე–4 ტომად ითვლება (ბერლინი, 1935) და „კინოწარმოება გერმანიაში 1935–1939“ (Das Filmschaffen in Deutschland 1935-1939), (ხელნაწერის სახით, 2 ტომი, ბერლინი, 1940) ციტირება ხშირია ლიტერატურაში. გერმანიის ყველაზე გავლენიანი კინოჟურნალი „Filmkurier" (N4.11.1943, გვ. 139) სტატიაში „კინოს სტატისტიკოსი – დოქტორი ა. იაზონი 50 წლისაა," წერდა: „ამავე დროს ოცი წელია რაც ის კინოსტატისტიკაში მუშაობს. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: რომ მან კინომრეწველობის ეს დარგი არაფრიდან დაარსა. დრ. იაზონი კინოსტატისტიკის, რომელიც კინომრეწველობის მნიშვნელოვან დამხმარედ იქცა, ჩამოყალიბებას ისეთი ენერგიით შეუდგა, რომ მათ, ვისაც ეს დარგი, განსაკუთრებით საწყის წლებში, ძალიან შორეულად მიაჩნდათ, ამ სამუშაოს აზრი ვერც გაიგეს. ...დღეს ამ სამუშაოს ფასი, რომელიც მისი ცხოვრების მთავარ ქმნილებად შეიძლება ჩაითვალოს, ეჭვგარეშეა და საზოგადოდ აღიარებულია.“

ზემოხსენებული წიგნებისა და 500–ზე მეტი საგაზეთო თუ საჟურნალო სტატიის ავტორის ნამდვილი გვარია აბხაზი.[1] მისივე ხელით 1938 წელს მწერლობის საიმპერიო პალატისათვის (Reichsschrifttumkammer – საბჭოური მწერალთა კავშირის მსგავსი ორგანიზაცია) დაწერილი ბიოგრაფიიდან[2] ირკვევა, რომ მას ფსევდონიმი იაზონი ბიძამისის, გენერალი კოტე აფხაზის, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის ბოლო მარშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული

---

[1] პირველად ალექსანდრე აბხაზის შესახებ დაწერა აკაკი ბაქრაძემ („საბუთები გრიგოლ რობაქიძის შესახებ“, გაზეთი „კავკასიონი,“ 77, 4.05. 1996)

[2] Berlin Document Center (BDC), Personalakten der Reichskulturkammer, 1994 წლიდან Bundesarchiv

მებრძოლის, ბოლშევიკების მიერ დახვრეტის შემდეგ აუღია, რათა სამშობლოში დარჩენილი ნათესავებისთვის კიდევ უფრო არ გაერთულებინა ცხოვრება. ის კოტეს (კონსტანტინეს) ძმის, გიორგი აბზაზის მესამე ვაჟია. კოტე და გიორგი კი ილია ჭავჭავაძის დისწულები არიან. დედა – ალექსანდრა მურომცევა, რუსულ–გერმანული არისტოკრატიის წარმომადგენელია, დედის მხრივ ფონ ბენკენდორფების შთამომავალი.

ალექსანდრე 1910 წლამდე მანგლისის მამულში იზრდებოდა. 1910–1913 წლებში თბილისის მე–5 ჰუმანიტარულ გიმნაზიაში სწავლობდა, 1913–1917 წლებში კი იურისპრუდენციას ეუფლებოდა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1917 წელს სწავლობდა პეტერბურგში კონსტანტინეს არტილერიის სკოლაში. 1918 წელს საქართველოს არტილერიის ლეიტენანტობა მიენიჭა. 1918–1920 წლებში აზერბეიჯანში საქართველოს საელჩოს დაზვერვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1920 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო, ჩეკას ჩაუვარდა ხელში. გათავისუფლებულ იქნა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდო ხელშეკრულების დადების შედეგად. 1920 წლის აგვისტოში არტილერიის კაპიტნის წოდება მიენიჭა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ადიუტანტად დაინიშნა. 1921 წლის მარტამდე პარიზში, ევროპაში საქართველოს სამხედრო ატაშეს მოადგილე იყო. მარტიდან ოქტომბრამდე რომში ცხოვრობდა, ხოლო ოქტომბრიდან ბერლინში გადავიდა. 1922 წელს ვისბადენში ცოლად შეირთო ნინო ჭავჭავაძე, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. 1924 წლიდან წერს ფსევდონიმით „იაზონი“. 1925 წელს „გერმანელ კინოთეატრების მფლობელთა საიმპერიო კავშირთან“ დაარსა სტატისტიკური ბიურო“, რომელიც უსახსრობის გამო წლის ბოლოს დაიხურა. 1926 წელს დააფუძნა სტატისტიკური ბიურო „გერმანიის კინოგამქირავებელთა ცენტრალურ კავშირთან“, რომელმაც ალექსანდრე აფხაზი 1927 წელს იგივე უსახსრობის მომიზეზებით დაითხოვა. 1926 წელს ცოლად მოიყვანა მართა კუნი (შვილები არ ყოლია). 1926 წელს ის მონაწილეობას იღებდა, როგორც გერმანიის დელეგაციის წევრი, კინოს პირველ საერთაშორისო კონგრესზე პარიზში, სადაც წარადგინა მემორანდუმი „საერთაშორისო სტატისტიკური ბიურო, როგორც ძირეული პირობა წარმატებული თანაშრომლობისათვის“, რომელიც ერთხმად იქნა მოწონებული თითქმის 20 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ. მას შემდეგ, რაც მისი თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან ვერ შედგა, დამოუკიდებლად განაგრძო კინოსტატისტიკაზე მუშაობა და სტატიების გამოქვეყნება 20–ზე მეტ ჟურნალ–გაზეთში, გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ. 1937 წლიდან კონიუნქტურის კვლევის ინსტიტუტის მეც-

ნიერ–თანამშრომელია. „ფილმკურიერის“ ზემოთ მოყვანილი საიუბილეო სტატიიდან და სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე იაზონი ამ ინსტიტუტის, რომელსაც შემდეგში ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტი ეწოდა, კინოს რეფერატის (განყოფილების) დამაარსებელი და ხელმძღვანელი ყოფილა.

ალექსანდრე აბხაზმა (იაზონმა) პირველმა მიაპყრო ყურადღება, რა კავშირი იყო მოსახლეობის რაოდენობასა და კინოთეატრების რაოდენობას, კინოთეატრებში ადგილეობის რაოდენობას და მათში ადგილების კატეგორიებს შორის, კინომაყურებელთა რაოდენობის, ბაჟის, გადასახადებისა და ფასების განვითარებას, კინოპროდუქციასა და გაქირავებაში მომუშავე პერსონალის პროფესიულ და რიცხობრივ განვითარებას, კინოში დასაქმებულ ხელოვანთა და მუშაკთა კატეგორიებს და ა.შ. მან 1895 წლიდან მოყოლებული კინობაზრის შესწავლა დაიწყო, კინოინდუსტრიის ადგილი და როლი საერთო ეკონომიკაში განსაზღვრა, შეადარა სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები. მისმა კვლევებმა მეცნიერული საფუძველი დაუდო კინოს, როგორც მეურნეობის დარგის შესწავლას. მაგრამ, გარდა ამისა, ალექსანდრე აბხაზი აქტიურად იღებდა მონაწილეობას ქართული ემიგრაციისა და განსაკუთრებით გერმანიის ქართული სათვისტომოს ცხოვრებაში, რომლის ისტორიის მცირე მიმოხილვა, ვფიქრობ, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

„ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში“ (Gesellschaft Georgischer Buerger in Deutschland e.V) 1922 წლის 22 ოქტომბერს გატარდა ბერლინ–შარლოტენბურგის რეგისტრაციაში.

პირველი კრება ალექსანდრე კორძაიას თავჯდომარეობით ჩატარდა 1922 წლის 13 ივლისს.

1922 წლის ივლისიდან 1924 წლის ივლისამდე საზოგადოების თავმჯდომარე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობ-მრეწველობის ყოფილი მინისტრი გიორგი ჟურული.

1924–1928 წლებში _ გიორგი კერესელიძე (1927 წლის დეკემბერში ახლიდან არჩეული, 1928 წლის თებერვალში გადადგა).

1928–1929 წლებში _ დრ. სიმონ გეგელაშვილი.

1929–1931 წლებში _ მიხეილ წულუკიძე.

1931–1932 წლებში _ ისევ სიმონ გეგელაშვილი.

1933–1934 წლებში _ რომან მკურნალი.

1934–1935 წლებში _ გრიგოლ დიასამიძე.

1935 წლის 16 აგვისტოს კრებაზე, რომელიც რესტორან ჰეფტერში, ვიტტენბერგის მოედანზე ჩატარდა, საზოგადოების თავმჯდომარედ ალექსანდრე აბხაზი იქნა არჩეული. კრებას ესწრებოდა ამ საზოგადოების

დაახლოებით 75%, რაც 1936 წლის კრების მონაწილეთა სიის მიხედვით, სულ 24 ადამიანს შეადგენდა. ასე რომ, ამ პერიოდში საზოგადოების წევრთა რიცხვი 30–35-ს არ აღემატებოდა. საფიქრებელია, რომ ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე წევრების რაოდენობა ოდნავ მეტი იქნებოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელთ არ გვაქვს.

ნაციზმის დროს უცხოელებმან მიმართებაში კანონმდებლობა შეიცვალა და მათი საქმიანობა უფრო მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა. 1937 წელს საზოგადოებას სახელი გადაარქვეს და ეწოდა ქართველთა ახალშენი გერმანიაში (Georgische Kolonie in Deutschland e.V, როგორც ჩანს, შეცდომით ახალშენის სატიტულო ფურცელზე ქართველი (!) ახალშენი წერია).

ამ დროს სათვისტომოში დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფებს შორის იზრდება.

1938 წელს ახალშენის თავჯდომარე ავლიპი კიზირიას ნაცვლად ინჟინერი ვალერიან ტოგონიძე აირჩიეს. მაგრამ პრობლემები ადრე დაიწყო: კიზირიასთან ერთად არჩეული ხელმძღვანელობა - ლეონიდე ჭეიშვილი (მოადგილე), ალექსანდრე კორძაია, გიორგი საჯაია, ივანე ღოღნიაშვილი, აკაკი პაპავა საიდუმლო სახელმწიფო პოლიციამ (გესტაპო) მაშინვე დაიწუნა და გადააყენა. გესტაპოს მიერ დამტკიცებული ავლიპი კიზირია 1938 წლის თებერვლიდან 1939 წლის თებერვლამდე მარტო მართავდა ახალშენის საქმეებს. 1939 წლის კრებაზე სათვისტომოს ახალი დებულება დამტკიცდა და არჩეული თავმჯდომარის უფლებამოსილება სამი წლით გაიზარდა (საპატიო თანათავმჯდომარედ გრიგოლ რობაქიძე აირჩიეს). ახალი დებულების მიხედვით, თავმჯდომარე ირჩევდა თავის მოადგილეს და არა კრება. მოადგილედ დანიშნული ვალერიან ტოგონიძის თავჯდომარეობიდან გადადგომის შემდეგ, 1940 წლის სექტემბერში, ავლიპი კიზირიამ მას ახალშენის ხელმძღვანელობა ჩააბარა საერთო კრებამდე. 1940 წლის ნოემბერში კიზირია გარდაიცვალა. 1941 წლის 26 იანვრის კრებაზე დებულების საწინააღმდეგოდ, რომელიც ახალი წევრების სრულუფლებიანობას 4 კვირის შემდეგ ითვალისწინებდა, კრებამ 20 ახალ წევრს (რომლებიც, როგორც აბხაზის წერილიდან ჩანს, გერმანიის მიერ ახლად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იყვნენ) მაშინვე დაუმტკიცა ხმის მიცემის უფლება. ამის გამო არჩევნების შედეგები ალექსანდრე აბხაზის ხელმძღვანელობით ზოგიერთმა ძველმა წევრმა გააპროტესტა და ტოგონიძეს უნდობლობა გამოუცხადა. ბერლინის სასამართლოს მოთხოვნაზე, აეხსნა საქმის ვითარება, ტოგონიძემ განაცხადა, რომ „ჯგუფმა აბხაზი და კომპანია“ არასწორად მიაწოდა მათ ინფორმაცია, მაგრამ მას ახალი არჩევნების

დანიშვნა მაინც მოუხდა, რომლის ჩატარებაც სპეციალურად შექმნილ კომისიას დაევალა. კომისიაში ვლადიმერ (ლადო) ახმეტელიც (საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი გერმანიაში, წინათ სოციალ–დემოკრატი) შედიოდა. იგი სათავეში ედგა კავკასიელ ლტოლვილთა სამმართველოს (Vertauensstelle fuer Kaukasische Fluechtlinge), რომელიც 1938 წლის 1 სექტემბერს ქართული ოფისის (Georgisches Buero) საფუძველზე და მისი უფლებამოსილებების გაფართოების შემდეგ შექმნა ნაცისტურმა ხელისუფლებამ. კავკასიური სამმართველოს (Kaukasische Vertrauenssteile, შემოკლებით ასეც ამბობდნენ), ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე აბხაზი იყო.

1941 წლის 29 ივნისს, საბჭოთა კავშირ–გერმანიას შორის ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში, 39 ხმით, 27–ის წინააღმდეგ (9-მ თავი შეიკავა), ახალშენის თავჯდომარედ ტიტე მარგველაშვილი აირჩიეს. ბოლო კრების ოქმი, რომელიც ბერლინის ლანდეს (მიწის) არქივშია[3] შემონახული, 1942 წლის 25 თებერვლით თარიღდება. ტიტე მარგველაშვილი ქართული სათვისტომოს ბოლო თავმჯდომარე იყო ნაცისტურ პერიოდში.

ალექსანდრე აბხაზი ომის შემდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებას და კინოს ჩამოსცილდა. Allgemeine Statistisches Archiv–Si (Bd.42, 1958) გამოქვეყნებული ალექსანდრე იაზონის ნეკროლოგის ავტორი დოქტორი გუსტავ ლუკე მწუხარებით აღნიშნავს, რომ 1945 წლის შემდეგ იაზონი თავისი მნიშვნელობის შესაბამისად კინომრეწველობამ არ დააფასა და საქმეში არ ჩართო.

ამის მიზეზი ალბათ ალექსანდრე აბხაზის სიახლოვე იყო ნაცისტურ წრეებთან და მისი რამდენიმე სტატია, რომლებიც აშკარად ანტისემიტურ ხასიათს ატარებდა, მაგ.: „კინო ებრაული ძალაუფლებლების ქვეშ“ (Der Film unter juedischer Herrschaft, Sonderdruck aus: Sueddeutsche Monatshefte, Heft 4, Januar 1936).

სამწუხაროდ, ალექსანდრე იაზონის ღვაწლი კინოში დავიწყებულია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ნეკროლოგშია აღნიშნული, „თუ აგერ უკვე სამი ათეული წლის განმავლობაში კინოს და მისი სამყაროს ირგვლივ სტატისტიკური მიმოხილვა არსებობს, ამას ძირითადად იაზონ-

---

[3] Landesarchiv Berlin, Rep. 42, Acc. 2147, Nr. 27463, Georgische Kolonie in Deutschland (vorm. Gesellschaft georgischer Bürger in Deutschland)- [Geschäftszeichen: 581 V.R. 8404]. ქართული სათვისტომოს შესახებ ყველა აქ მოყვანილი მონაცემი ამ საქმიდანაა ამოკრეფილი.

ის დაუღალავ შრომას უნდა ვუმადლოდეთ.“ არც ალექსანდრე აბხაზის სამშობლოში ვიცით მეტი მის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Lasha Bakradze

Alexander Abkhazi (Manglisi1893 - Wisbaden1957) The First Statistician of Film Industry

Summary

The article discusses some unknown details from the biography of Georgian emigrant and public figure Alexander Abkhazi who has founded a new branch of the film industry by introducing statistics to this field. It is known that Alexander Abkhazi was writing under the pseudonym Alexander Iazoni; He is the author of the following books published in German language: “Films in Figures and Numbers”, “Guide to Movie” and “film Industry in Germany”. Iazon is also the author of more than 500 articles of the same field published in newspapers and journals in German or other European languages.

The article highlights that his researches created a scientific basis for the studying films as the subjects of industry. Alexander Abkhazi was actively involved in the activities of the Georgian emigration in Germany in the 30s of the 20th century. In 1935-1938 he was elected as the chairman of this Diaspora.

რუსუდან დაუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ემიგრაცია ინგლისში XX საუკუნის 20-30-იან წლებში

1921 წლის მარტში ევროპიდან ვიზების მოლოდინში სტამბოლში 400 ქართველი იმყოფებოდა: დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების, პოლიტიკური პარტიების წევრები, ქართული არმიისა და გვარდიის ოფიცრები, კოჯორ-ტაბახმელასთან მებრძოლები. 1921 წლის ბოლოს საქართველოს საელჩომ, ერთა ლიგამ, „ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა" და „შრომის საერთაშორისო ბიურომ" სამოქალაქო ომის ალში გახვეული სტამბოლიდან მათი გაყვანა დაიწყო ევროპის ქვეყნებში. ოკუპაციის შემდეგ სტამბოლიდან ქართველი ლტოლვილები მიიღეს ევროპის ქვეყნებმა – საფრანგეთმა, გერმანიამ, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, იტალიამ, საბერძნეთმა (1, 39-40).

საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების გამო ემიგრაციაში დარჩნენ დიპლომატები, საელჩოების, საკონსულოების, სამრეწველო ორგანიზაციათა თანამშრომლები, უცხოეთში სასწავლებლად, სტაჟირებისათვის წასული მეცნიერები, სტუდენტები, ხელოვნების დარგის მოღვაწეები. მათ მიემატნენ ისინი, ვინც საზღვარი საიდუმლოდ გადალახა. 1922-1923 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და მეტეხის ციხიდან საზღვარგარეთ 60 ინტელიგენტი და ანტისაბჭოთა პარტიათა 20 წევრი გაასახლა. ვინც გასახლებას, დახვრეტას გადაურჩა, დამკომის სამხედრო ცენტრის განადგურების შემდეგ უცხოეთში გაიხიზნა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებისა და რეპრესიების გამო თურქეთს მეორე ნაკადი მიაწყდა. 1929-1930 წლებში კოლექტივიზაციამ და მიწების ჩამორთმევამ ემიგრაციის ახალი ტალღა გამოიწვია. ამგვარად, ახალი რეჟიმის გამო 1921-1930 წლებში ემიგრაციის I ტალღამ, _ 3000-4000 კაცმა დატოვა სამშობლო. მათ მიღებასა და ელემენტარული პირობების შექმნაზე ევროპის ქვეყნებში დამოუკიდებლობის დროს დაარსებულმა ქართულმა წარმომადგენლობებმა და საკონსულოებმა იზრუნეს (2, 340-351).

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო მრავალმა სახელმწიფომ ცნო, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან თბილისში საელჩოების გახსნა მარტო გერმანიამ და იტალიამ მოასწრეს. ევროპაში კი ქართული საელჩოები გაიხსნა საფრანგეთ-

ში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიასა და ბელგიაში. საქართველოს მთავრობის საქმიანობას უცხოეთში წარმართავდა სრულუფლებიანი ელჩი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც რწმუნების სიგელები გადაეცა პარიზის, ლონდონისა და რომისთვის. ჩხენკელი პარიზში 1921 წლის 13 თებერვალს ჩავიდა, როცა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე უკვე დაწყებული იყო. საფრანგეთის პრეზიდენტ მილიერანს რწმუნებები 25 თებერვალს წარუდგინა, როცა ქართულმა ჯარმა და მთავრობამ თბილისი დატოვა. მილიერანმა საქართველოს საელჩოს წევრები საზეიმოდ მიიღო და ოკუპანტთა მიმართ პროტესტი ასე გამოხატა (3, 108). ელჩმა რწმუნების სიგელი ჩააბარა, მეორე დღეს კი ლონდონს გაემგზავრა.

მართალია, ინგლისმა საქართველო 1921 წლის 27 იანვარს ცნო, მაგრამ 26 თებერვალს საქართველოს ელჩის სტუმრობას გულგრილად შეხვდნენ. ლოიდ-ჯორჯის მთავრობამ საბჭოთა რუსეთთან დაახლოება ყველაზე ადრე დაიწყო, რაც 1921 წლის 16 მარტს სავაჭრო ხელშეკრულებით დამთავრდა. საქართველოს ელჩი მხოლოდ 17 მარტს მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა, რომელსაც რწმუნების სიგელის ასლი გადაეცა. დედნის გადაცემა პრემიერ-მინისტრისათვის შეუძლებელი გახდა, რადგან საქართველოს მთავრობა უკვე ემიგრაციაში იყო. კერზონმა ელჩთან შეხვედრისას მხურვალე თანაგრძნობა გამოთქვა და დახმარება აღუთქვა, მაგრამ ლონდონის კონფერენციამ ამ მხრივ უნაყოფოდ ჩაიარა. ჯენუის, ჰააგისა და ლოზანის კონფერენციებზე ასევე კარგად გამოჩნდა, რომ ინგლისი უპირატესობას „რუსულ პოლიტიკას" ანიჭებდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში აღმოსავლეთის განყოფილების გაუქმების შემდეგ, საელჩოს ურთიერთობა აღმოსავლეთის დეპარტამენტთან ჰქონდა, საიდანაც საქართველო და კავკასია ჩრდილოეთის, ანუ რუსეთის დეპარტამენტს მიაწერეს, რამაც ქართველთა პროტესტი გამოიწვია. ბონარ ლოუს კაბინეტი ასეთ პრორუსულ ტენდენციებს არ ამჟღავნებდა და საქართველოს საელჩოს მდგომარეობა ლონდონში ერთგვარად გააუმჯობესა, თუმცა ამით საქართველოს მიმართ ინგლისის პოზიცია არ შეცვლილა (4, 25-41).

ინგლისის განწყობამ გავლენა მოახდინა იტალიის მთავრობაზეც. ელჩი რომში აპრილში ჩავიდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯიო სფორცამ და კერძო აუდიენციაზე – მეფე ვიქტორ-ემანუილ III-მ იგი კარგად მიიღეს. ჯიოლიტის კაბინეტის ფაქტას კაბინეტით შეცვლამ, რომელიც ინგლისის დიდ გავლენას განიცდიდა, საქართველოს მი-

მართ იტალიის სამთავრობო წრეების გაგულგრილება გამოიწვია. დიდი ინტერესი არც მუსოლინის კაბინეტს გამოუჩენია.

აკრედიტაციის ყველა მიღებული წესის შესრულება მარტო საფრანგეთში მოხერხდა და ელჩი დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად მხოლოდ იქ ჩაირიცხა. ამდენად, მხოლოდ პარიზის საელჩო სარგებლობდა ყველა უფლებითა და უპირატესობით. ლონდონისა და რომის საელჩოები შეკვეცილი უფლებებით გაიხსნა. იქ ელჩი დიპლომატიური კორპუსის სიებში არ იყო შეტანილი. როცა აკაკი ჩხენკელი ადგილზე არ იყო, საელჩოს გამგედ პირველი მდივნები ითვლებოდნენ: ლონდონში – მიხეილ სუმბათაშვილი, პარიზში – სოსიპატრე ასათიანი, რომში – გიორგი მაჩაბელი.

თუ ოფიციალური ლონდონი და რომი საქართველოს საკითხისადმი გულგრილობას იჩენდნენ, იტალიისა და ინგლისის სამთავრობო თუ არასამთავრობო წრეებში საქართველოს ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავდა. აქტიურობდნენ ინგლისელი სოციალისტები, განსაკუთრებით კი რამზეი მაკდონალდი, რომელიც ოკუპაციის პირველივე დღეებში საქართველოს დასაცავად გამოვიდა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის სხვა ცნობილ მოღვაწეებთან – კარლ კაუცკის, ევგენი გრენიეს, კამილ ჰიუსმანსის, პაველ აქსელროდსა და სხვებთან ერთად. საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, შვეიცის, ავსტრიის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ბალტიის ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოთა სოციალისტურმა და მუშათა პარტიებმა კი მძაფრი პროტესტი გამოხატეს.

საქართველოს ლტოლვილმა მთავრობამ და სდმპ საზღვარგარეთულმა ბიურომ ევროპაში საქართველოს საკითხის გახმაურება სწორედ ევროპელ სოციალისტთა საშუალებით დაიწყეს. 1921 წლის 3 მაისს ნ. ჟორდანია მოხსენებით გამოვიდა საფრანგეთის სდმპ ცკ სხდომაზე, 13 ივნისს – ბრიუსელში ბელგიის სდმპ ცკ სხდომაზე. შემდეგ ანტვერპენში გაემგზავრა, სადაც დიდი მიტინგი მოეწყო. 22 ივნისს ინგლისის ტრედუნიონების ხელმძღვანელობით მოწყობილ სდმპ წლიურ ბრაიტონის კონგრესზე ჩავიდა. საქართველოს შესახებ ეთელ სნოუდენის მხურვალე გამოსვლის შემდეგ, კონგრესმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო (5, 14-15).

საქართველოს მთავრობის წევრები, სხვადასხვა შეკრებაში უშუალო მონაწილეობის გარდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს საკითხის გაშუქებას წიგნებითა და სტატიებით. პარიზში გამოიცა წიგნი „სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო“. I ნაწილში საქართველოში სოციალისტთა მოგზაურობის შთაბეჭდილებე-

ბია შეტანილი, II ნაწილში – სოციალისტური ორგანიზაციების პროტესტები და რეზოლუციები (6). საქართველოდან მიღებული წერილები და მიმართვები გამოქვეყნდა 1921 წელს გამოცემულ ბროშურაში „საქართველოს პროლეტარიატი ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ (7). იმავე წელს საქართველოს მდგომარეობის აღწერას 2 ბროშურა მიეძღვნა (8). ამ გამოცემებს ოპერატიულად გამოეხმაურნენ ევროპის ქვეყნების სოციალისტები და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ინგლისელ სოციალისტთა ჟურნალ „ფორვერდში“ კი ნ. ჟორდანიას წერილი გამოქვეყნდა (9, 34).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ინტერნაციონალი ლონდონისა და ვენის გარშემო დაჯგუფდა. სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმის აჯანყების შესახებ ნ. ჟორდანიამ II და ვენის ინტერნაციონალების აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებს მაკდონალდსა და ადლერს დეპეშით ამცნო და შუამდგომლობა სთხოვა – სამხედრო მოქმედებათა შესაჩერებლად და ზავის ჩამოსაგდებად მოსკოვზე ემოქმედათ. II ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში ჰიუსმანსმა რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანის შესახებ რეზოლუცია გაიტანა. კომიტეტმა მოსკოვს სამხედრო მოქმედებების შეჩერება კატეგორიულად მოსთხოვა, სანამ სამივე ინტერნაციონალის ე.წ. „ცხრათა კომისია“, რომელშიც კომუნისტებიც შედიოდნენ, საკითხს არ შეისწავლიდა და თავის დასკვნას არ გამოიტანდა. მაკდონალდმა გენუის კონფერენციასაც მოუწოდა ყურადღება მიექცია საქართველოში დატრიალებული ამბებისათვის (5, 14-15).

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობამ და დაწყებულმა რეპრესიებმა ევროპა დიდად აღაშფოთა. 24-28 სექტემბერს ლონდონში ჩატარებულ ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ი. წერეთელი ესწრებოდა, მიღებული რეზოლუცია საქართველოში აჯანყების დროს ბოლშევიკთა მიერ ჩადენილი მხეცური ანგარიშსწორებას გმობდა. 30 ნოემბერს საქართველოში საბჭოთა მთავრობის მიერ ინგლისის ტრედუნიონების დელეგაცია იყო მიწვეული, რომლის ტენდენციური განცხადებების საპასუხოდ სდმპ საზღვარგარეთულმა ბიურომ დეკემბრის დამლევს ინგლისურ ენაზე გამოსცა ბროშურა „ინგლისის ტრედუნიონების დელეგაცია საქართველოში ქართული ბოლშევიკური გაზეთების გადმოცემით“. როცა 1925 წლის თებერვალში ლონდონში გამოვიდა „ოფიციალური ანგარიში ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციისა“, ნ. ჟორდანიამ, კ. ჩხეიძემ და ნ. რამიშვილმა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოცემული ბროშურით „ინგლისის ტრედუნიონების დელეგაცია და საქარ-

თველო“ აპრილში ამ „ანგარიშს“ პასუხი გასცეს (5, 43-47). ივლისში ი. წერეთელმა ინტერნაციონალის სამდივნოს და ყველა ქვეყნის სოციალ-ისტურ პარტიას წერილით მიმართა, რომელშიც იგი პარიტეტული კომიტეტის სასამართლო პროცესსა და აჯანყების შემდეგ დატრიალ-ებულ რეპრესიებს ეხებოდა (10, 29). ინგლისის ტრედუნიონების დე-ლეგაციის მიწვევის შემდეგ ბოლშევიკებმა ინგლისელი მუშა ქალების, ფრანგებისა და ბელგიელების, აგრეთვე გერმანელი მუშათა დელეგა-ციები მოიპატიჟეს. ამ უკანასკნელთ საქართველოს სდმპ ცენტრალურ-მა კომიტეტმა და არალეგალურმა პროფკავშირების ბიურომ ფარუ-ლად გადასცა მემორანდუმი, რომელშიც რეალური ვითარება იყო ახ-სნილი, მაგრამ მათ ამ მემორანდუმისათვის მსვლელობა არ მიუციათ. ისევ საზღვარგარეთულ ბიუროს მოუწია მათი ევროპულ ენებზე ბრო-შურად გამოცემა: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დოკუმენტები“, რომელშიც პარტიის 3 არალეგალური კონფერენციის რეზოლუციებიც იყო შეტანილი (11).

ინგლისელ სოციალისტთა შორისაც იყვნენ რუსეთისადმი ლიბე-რალურად განწყობილი წრეები. 1926 წლის 5 ოქტომბერს საქართვე-ლოს სდმპ ცკ ინტერნაციონალს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებულ ტერორს აღწერდა და პროტესტს უცხადებდა. მემორანდუმმა ევროპაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ხოლო პერსელისა და ვოლჰედის ლიბერალურ წერილს პასუხი ნ. ჟორდანიამ გასცა. მემორანდუმში აღძრულ საკითხებზე კოუტსს, პროფესორ ჰუდსა და კ. გვარჯალაძეს შორის გაზეთების: „მანჩესტერ გარდიენის“, „დეილი ჰერალდისა“ და „ნიუ ლიდერის“ ფურცლებზე ორთვიანი კამათი გაიმართა. ჟორდანიასა და გვარჯალაძის მიერ დო-კუმენტურად დასაბუთებულმა პოლემიკამ დიდი შთაბეჭდილება მო-ახდინა ინგლისის მუშათა პარტიაზე, რომელმაც ინტერნაციონალში ბოლშევიკთა ტერეორის საკითხი დასვა და დაგმო (5, 51-52).

საქართველოს მთავრობა საქართველოს საკითხისადმი ერთა ლი-გის ყურადღების მიპყრობას სოციალისტთა გარდა, ევროპის პოლიტი-კური ლიდერების მხარდაჭერის იმედით ცდილობდა და II მსოფლიო ომამდე მასთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა. როგორც ცნობილია, საქართველოს მიღების საკითხი ერთა ლიგის ყრილობაზე პირველად 1920 წელს დაისვა, მაგრამ უარყოფითად გადაწყდა. მეორე ყრილობის დროს, სადაც ეს საკითხი ალბათ დადებითად გადაწყდებოდა, საქარ-თველო უკვე ოკუპირებული იყო. 1921 წელს გახიზნულმა მთავრობამ რუსეთის დანაშაულის საკითხის განხილვა მოითხოვა, მაგრამ ეს მოთხოვნა არ შეუსრულებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგაში

საქართველოს მიღება ვერ მოესწრო, ემიგრანტულმა მთავრობამ ამ ორგანიზაციასთან დიდი მუშაობა ჩაატარა. ამ მხრივ დიდი იყო ევროპელ პოლიტიკოსთა მხარდაჭერა. 1922 წლის სექტემბერში ერთა ლიგის კრებაზე საქართველოს მდგომარეობის შესახებ დე ბრიუკერის მხურვალე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მისი რეზოლუცია ერთხმად მიიღეს (12, 4).

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მხეცური ანგარიშსწორების შესახებ 11 სექტემბერს ერთა ლიგის მე-15 სხდომაზე საფრანგეთის დელეგატმა ჟან პოლბონკურმა ბელგიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების მიერ შეიმუშავებული პროექტი შეიტანა, რომელიც 1922 წლის 22 სექტემბრის რეზოლუციას იმეორებდა. კამათში გამოსულმა ინგლისელმა დელეგატებმა – მაკდონალდმა და მურეიმ, იტალიელმა ბონინ-ლონგარმა, ბელგიელმა დე ბრუკერმა და ფრანგმა ბონემ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს. მეორე დღეს საქართველოს მთავრობის დელეგაციამ ერთა ლიგას ნოტა გადასცა, მაგრამ ლიგამ აქტიური მოქმედებები მომავლისათვის გადადო (13, 49-56).

1925 წელს ქართველი ერის სახელით, 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, ერთა ლიგის მე-5 ყრილობას ა. ჩხენკელმა და ხ. შავიშვილმა მიმართეს. საქართველოს დასაცავად ბონკური, მაკდონალდი, მორეი, დე ბრიუკერი გამოვიდნენ და რეზოლუცია მიიღეს, რომლითაც 1922 წლის აპრილის ყრილობის რეზოლუცია დაადასტურეს (14, 17-31).

1934 წელს, როცა ერთა ლიგაში რუსეთის მისაღებად საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიტვინოვმა განცხადება შეიტანა, მას განსაკუთრებული აღშფოთებით შვეიცარიისა და ინგლისის გაზეთები შეხვდნენ.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა ყველა იმ ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა, სადაც საერთოევროპული საკითხები წყდებოდა და საქართველოზე საერთაშორისო აზრის შექმნა შეიძლებოდა. ოკუპაციისთანავე ბოლშევიკების ჯარის შემოსევის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობებს მემორანდუმი დაეგზავნათ. საინტერესოა ა. ჩხენკელის „მემუარი", რომელიც შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობათა ფონზე თვალნათლივ გვიჩვენებს საქართველოს საკითხისადმი ევროპული ქვეყნების, მათ შორის ინგლისის, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწეებისა და ოფიციალური ლონდონის დამოკიდებულებას, რომელიც ერთგვაროვანი არ იყო.

განსაკუთრებულია საფრანგეთის ღვაწლი, რომელმაც 1921-1922 წლებში საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დიდი მფარველობა

გაუწია. 1921 წლის იანვარ-თებერვალში ლონდონის კონფერენციაზე საფრანგეთი საქართველოს ინგლისთან და თურქეთთან ფაქტობრივად შუამდგომლობდა. ასევე კარგი პოზიცია დაიკავეს საფრანგეთის წარმომადგენლებმა გენუის კონფერენციაზე: როცა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა კონფერენციაზე რუსეთის დაშვება მოითხოვა, ბრიანმა საქართველოს საკითხი დააყენა. საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა პუანკარემ კანის დადგენილებას გვერდი ვერ აუარა და საქართველოს მთავრობა გენუაში არ მიიწვიეს, თუმცა კი მან ორჯერ განაცხადა, რომ რუსეთი არ არის უფლებამოსილი საქართველოს სახელით ილაპარაკოს. პუანკარემ ინგლისისა და იტალიის მთავრობებს მიმართა: საქართველოს ეროვნული მთავრობა ლოზანის კონფერენციაზე მიეწვიათ. კერზონსა და შარს უარი არ უთქვამთ, მაგრამ საქართველოს ფაქტობრივი მთავრობის მოწვევაც მოითხოვეს (4, 29).

ოფიციალური ლონდონის ამ პოლიტიკამ გააქტიურა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები და საქართველოს ევროპელი მეგობრები. საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად და საქართველოს საკითხის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი იყო ისეთ ორგანიზაციების მოღვაწეობა, რომლებშიც საქართველო შედიოდა როგორც ასოციაცია ან სექცია. ასეთები იყო: „ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების“ ქართული სექცია - „ქართული ასოციაცია ერთა ლიგისათვის“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ ქართული სექცია და „მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის“ სექცია – „მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ“. ამ ორგანიზაციებში შემავალი ინგლისური საზოგადებები და მისი წევრები ენერგიულად უჭერდნენ მხარს ქართველებს (15, 68-73).

მაგალითად, 1921 წლის 6-9 ივნისს ერთა ლიგის დამხმარე ქართული ასოციაციის მიერ ჟენევაში წარგზავნილმა კ. საბახტარაშვილმა და ს. მდივანმა საერთაშორისო საზოგადოების მე-5 კონგრესს დასახმარებლად მიმართეს და მხარდაჭერაც მიიღეს. დასაბუთებული მოხსენებით საქართველოს მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ლედი გლადსტონი, რომელმაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია დაგმო და კონგრესს რეზოლუცია წარუდგინა. სიტყვით გამოვიდნენ პროფესორი ოლარი და ტომ შოუ. შემდეგ რეზოლუცია მიიღეს, რომელშიც კონგრესი გამოთქვამდა აღშფოთებას და დაბეჯითებით მოითხოვდა ერთა ლიგის საბჭოსა და საერთო ყრილობისაგან მიეღოთ ზომები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა „პრინციპი ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა, გავრცელებულ იქნას საქართველოს მიმართ“ (16, 11-12).

1932 წლის 4-9 აგვისტოს ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო საზოგადოების ყრილობას, რომელსაც ლორდი რობერტ სესილი ხემძღვანელობდა, ქართულმა დელეგაციამ გ. გვაზავას, ხ. შავიშვილისა და კ. გვარჯალაძის შემადგენლობით რეზოლუციის პროექტი წარუდგინა. წინააღმდეგი მარტო საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ავქსენტიევი გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველომ თავისუფლება არა საერთაშორისო ძალისხმევით, არამედ რუსეთიდან, მოსკოვის განკარგულებით უნდა მიიღოსო. საპასუხოდ გამოსულმა გვაზავამ მას ისეთი პასუხი გასცა, რომ რეზოლუცია უცვლელად მიიღეს (17, 11). ლორდი სესილი თავმჯდომარეობდა 1933 წლის ივნისში შვეიცარიის ქ. მონტრეში ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა მე-17 კონგრესს, რომელზეც ქართული ასოციაციის წარმომადგენლის ხ. შავიშვილის მოკლე მოხსენება მოისმინეს. მან ერთა ლიგის I ყრილობაზე რ. სესილის წინასწარმეტყველება გაიხსენა – თუ დაუყოვნებლივ არ მივიღებთ საქართველოს წევრად, ბოლშევიკი იმპერიალისტები თავს დაესხმებიან და დაიპყრობენო (18, 15-16).

1934 წლის 19-24 მაისს ინგლისში, ფოლკსტონში ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების კონგრესში მონაწილეობდნენ თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფოს, აგრეთვე იაპონიისა და ამერიკის დელეგატები. საქართველოს წარმოადგენდნენ ე. გეგეჭკორი, გ. გვაზავა და ა. გუგუშვილი. მათ ბიუროს დღის წესრიგში საქართველოს საკითხი შეატანინეს და ქართული ასოციაციის მომზადებული მოხსენება – ისტორიული მიმოხილვა „საქართველოს უფლებანი“ წარადგინეს. 22 მაისის კრების თავმჯდომარე ლიმბურგმა საქართველოს საკითხი დასვა. ამერიკელმა არტურ ბელარმა საკითხის მოხსნა მოითხოვა. გ. გვაზავას შესანიშნავი პასუხის შემდეგ, საქართველოს მხარდაჭერით გამოვიდნენ ს. ბორელი (საფრანგეთი), ჯ. მურეი (ინგლისი), თ. დუმბა (ავსტრია) და ა. შულგინი (უკრაინა). შემდეგ ე. გეგეჭკორმა, საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შეფასებისა და ნორმალური ვითარების აღდგენის მოთხოვნით, კონგრესს 5-პუნქტიანი რეზოლუცია წარუდგინა. კრებამ რეზოლუცია ერთხმად მიიღო და 23 მაისს ასევე ერთხმად დაამტკიცა (19, 3-6).

„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ მდივნის ალისა მენარ-დორანისა და ვიცე-პრეზიდენტ ალფონს ოლარის მხარდაჭერით 1924 წ. კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით შექმნილი „ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული სექციის“ მუშაობის წყალობით 13 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში ლიგამ 3-ჯერ მიიღო რეზოლუცია საქართველოს საკითხზე (20, 12-13).

„მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის" სექცია – „მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ" ასევე საქართველოს მხარდამჭერ რეზოლუციებს იღებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არაერთხელ დაისვა მის მიერ ჩატარებულ კონფერენციებსა თუ მშვიდობის კონგრესებზე (21, 54-57). 1936 წლის 13-19 ივნისს კარდიფში მშვიდობის 31-ე კონგრესის რეზოლუციებს საქართველოზე მხარი აქტიურად დაუჭირა ცნობილმა ინგლისელმა დიპლომატმა ოსტინ ჩემბერლენმა (22, 10-12).

ამ 3 ქართული სექციის გარდა მრავლად იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებშიც ინგლისელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებიც შედიოდნენ და საქართველოს დახმარებას უწევდნენ. მაგალითად, „წითელი ჯვარი" გუსტავ ადორის ხელმძღვანელობით, „შრომის საერთაშორისო ბიურო" ალბერტ ტომასის თავმჯდომარეობით, „რუსეთის ემიგრანტთა დამხმარე", ე.წ. „ნანსენის კომიტეტი" ლულონის თავმჯდომარეობით, „ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი" კომისარ ჯონსონის ხელმძღვანელობით და ა.შ.

ყველაზე მეტი ემიგრანტი საფრანგეთში დასახლდა. ქართველები ცხოვრობდნენ სოშო-ოდენკურში, მონბელიარ-აბონდანში, ორნის რკინის მაღაროებში, ბიანკურში, მონპელიეში, ბორდოში, ნანსში, ლიონში, გრენობლში, პონტემარში, მარსელსა და სხვა ქალაქებში. ყველაზე ხალხმრავალი, 1000-წევრიან პარიზის სათვისტომო იყო და ყველაზე ინტენსიური პოლიტიკური და კულტურული ცოვრებაც სწორედ პარიზში ჩქეფდა. შეიქმნა ახალი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები: წამყვან პოლიტიკურ პარტიათა საზღვარგარეთული ბიუროები, „ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიურო", „კავკასიის განმათავისუფლებელი" და „კავკასიის დამოუკიდებლობის" კომიტეტები, ეროვნული დარაზმულობები: „თეთრი გიორგი", „მომავალი", „ქართული ფაშისტური დარაზმულობა"; ქართული საქველმოქმედო ორგანიზაციები: სტუდენტთა, ტუბერკულოზით ავადმყოფ, უმუშევარ ქართველთა დამხმარე კომიტეტები; პროფესიული გაერთიანებები: „ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ასოციაცია", „ყოფილ ქართველ მეომართა საზოგადოება", „ქართველ მხედართა დარაზმულობა", იუნკერთა, ქართველ ექიმთა, შოფერთა კავშირები, აგრეთვე „თავადაზნაურთა საკრებულო", „ქალთა კომიტეტი", „ქართველ ებრაელთა საზოგადოება". ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებიდან აღსა-

ნიშნავია: „ქართული კერა“, „კავკასიის შემსწავლელი საზოგადოება“, „ქართული სამეცნიერო წრე“, „ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია“, დრამატული და ფილარმონიული წრეები, სასპორტო საზოგადოება „შევარდენი“ და ა.შ. ამ ორგანიზაციებმა დიდი როლი შეასრულეს ქართული ემიგრაციის კონსოლიდაციაში. განსაკუთრებულია პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი პირველი მოძღვრის დეკანოზ გრიგოლ ფერაძის ღვაწლი, რომელიც ლონდონელი ქართველების სულიერი მამაც იყო და დროდადრო ჩადიოდა იქ ქართული წირვა-ლოცვის ჩასატარებლად (15, 93-168).

საფრანგეთისაგან განსხვავებით, ინგლისში ქართველ ემიგრანტთა მცირე ნაწილი ცხოვრობდა. ინგლისს საფრანგეთის მსგავსად ქართველებისათვის არ შეუთავაზებია არც თავშესაფარი და არც სამუშაო კონტრაქტები. ის, რომ ინგლისში ცოტა იყვნენ ქართველები, გამოწვეული იყო ქვეყნის ხელისუფალთა დამოკიდებულებითაც. არ გვაქვს ცნობები ინგლისში ქართველთა რიცხვისა და იმ პერიოდში ქართული სათვისტომოს საქმიანობის შესახებ.

ლონდონში მცხოვრებ ცნობილ ქართველთაგან აღსანიშნავია პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებში იმყოფებოდა ლონდონში ემიგრაციაში და როგორც „ივერიის“ კორესპონდენტი გაზეთს ინფორმაციებს „მარველის“ ფსევდონიმით აწვდიდა. 1921 წელს მან კვლავ ლონდონს მიაშურა და ოკუპანტებთან ბრძოლა იქედან განაგრძო. როცა 1922 წლის გენუის კონფერენციაზე საქართველო არ მიიწვიეს იმ მოტივით, რომ ის აზიაში მდებარეობსო და რუსეთმა თავის დელეგაციაში ბუდუ მდივნი ჩართო, ვარლამ ჩერქეზიშვილმა ჩიჩერინს პროტესტის წერილი მისწრა (23, 12-14). მის პროტესტს მხარი დაუჭირეს საქართველოს მეგობრებმაც. საფრანგეთის დეპუტატმა უტრეიმ უარყო რუსეთის სურვილი – ყოფილიყო მის მიერ ოკუპირებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელი. პუანკარემ განაცხადა, რომ თუ „დე იურედ“ ცნობილი საქართველო კონფერენციაზე დაშვებული არაა, ვერც სხვებს დართავდა ნებას, რომ საქართველოს „ჰყავს თავისი წარმომადგენლობა პარიზში და მისთვის ღიაა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კარი“ (24, 10-12). ვ. ჩერქეზიშვილი, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ეს დაუღალავი მებრძოლი, ალბათ უფრო მეტს გააკეთებდა ინგლისში საქართველოსათვის ახალი მეგობრების მოსაპოვებლად და საერთაშორისო ასპარეზზე ოკუპაციის საკითხის წარმოსაჩენად, მაგრამ 1925 წელს გარდაიცვალა (25).

საქართველოს ოკუპაციის საკითხის გასახმაურებლად ინგლისში დიდი შრომა გასწია ლონდონში საქართველოს საელჩოს პირველმა მდივანმა მიხეილ სუმბათაშვილმა, რომელიც თავდაპირველად პირველ ელჩს, დავით ღამბაშიძესა და კონსულ კოტე ჯაყელთან ერთად აქტიურ პროპაგანდას უწევდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს (26, 255-260).

პირველი მსოფლიო ომის დროს ლონდონში ცხოვრობდა ანდრია გუგუშვილი. დამოუკიდებლობის დროს საქართველოს საელჩოში მდივნის მოვალეობას ასრულებდა. ოკუპაციის შემდეგ იქვე დარჩა, ლონდონის უნივერსიტეტში ქართულ ენას ასწავლიდა, თანამშრომლობდა ქართველოლოგებთან (დევიდ ლანგი, რობერტ სტივენსონი, უილიამ ალენი), იყო ინგლისში „საქართველოს საისტორიო საზოგადოების" მდივანი, 1935 წელს კი დევიდ ლანგის მიერ დაარსებული ჟურნალ „ ეორგიცა"-ს მდივანიც გახდა, რომელშიც, სხვა ცნობილ ქართველ და უცხოელ ავტორთა საყურადღებო ნაშრომებთან ერთად, საქართველოს ლიტერატურისა და კულტურისადმი მიღღვნილი მისი შესანიშნვი წერილებიც იბეჭდებოდა (27, 256-289). 1937 წელს რუსთაველის 750 წლისთავზე მისი მცდელობითა და ძალისხმევით გამოიცა „ვეფხისტყაოსნისადმი" მიძღვნილი „Georgica"-ს საგანგებო ტომი (28).

1919 წელს, ბიზნესის გამო, კვიტაშვილების მთელი ოჯახი, მშობლები ოთხი შვილით: მერაბი, ვახტანგი, ნინო, თამარი – დროებით საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. 1921 წლის მარტის ბოლოს ოჯახი ემიგრაციაში წავიდა – ჯერ გერმანიაში, შემდეგ – საფრანგეთში. მერაბ კვიტაშვილი ამ დროს ოქსფორდის ორუელის კოლეჯში სწავლობდა, შემდეგ სწავლა უფრო იაფ ბირმინჰემის უნივერსიტეტში განაგრძო, სამთამადნო ტექნოლოგიების შემსწავლელი ფაკულტეტი დაამთავრა და ლონდონში დასახლდა. იყო აფრიკაში ოქროს მომპოვებელი ქარხნის ხელმძღვანელი, მეორე მსოფლიო ომის დროს კი ჩერჩილს ახლდა თეირანის კონფერენციაზე, როგორც ადიუტანტი და მრჩეველი (15, 80-92).

სიმცირის მიუხედავად, ლონდონელი ქართველების აქტიურობისა და ენერგიული საქმიანობის წყალობით საქართველოს ინგლისში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, რომლებმაც 1921 წელს „საქართველოს დამხმარე კომიტეტი", 1928 წელს კი – „საქართველოს მეგობართა საზოგადოება" დააარსეს. საქართველოს „დამხმარე" თუ „მეგობართა" კომიტეტები, რომლებიც ქართულ ემიგრაციას მხარში უანგაროდ ედგნენ და მისი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდნენ, ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა დააფუძნეს ევროპის ქვეყ-

ნებში – საფრანგეთში, შვეიცარიაში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში (29, 30-32).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს დამხმარე კომიტეტი“ ყველაზე ადრე ინგლისში დაარსდა – 1921 წელს ოკუპაციისთანავე სერ ს. ე. მორისის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრები: სილვია ლინდი, ფილიპ სნოუდენი, ეთელ სნოუდენი, რამზეი მაკდონალდი, ნ. დრაიჰორსტი და სხვები საქართველოს ეხმარებოდნენ და აქტიურად უჭერდნენ მხარს ერთა ლიგის სხდომებზე, სოციალისტური ინტერნაციონალის შეკრებებზე, საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე. კომიტეტის მოღვაწეობის ეს ფაქტები ზემოთ უკვე მოვიყვანეთ. კომიტეტი თავისი საქმიანობის გააქტიურებას და „საქართველოს მეგობართა ფონდის“ დაარსებას ჯერ კიდევ 1925 წელს შეეცადა. მოწოდება გაზეთ „ტაიმსში“ გამოქვეყნდა, რომელსაც ხელს აწერდნენ: თავმჯდომარე ს. მორისი, ვ. მორისი, ვან კობდენ-ენვინი, ს. ბოლსი, ს. ლინდი, ფ. სნოუდენი, ე. სნოუდენი, რ. მაკდონალდი, ე. დიუჰამი, ნ. დრაიჰორსტი (30, 30-32).

საფრანგეთის კვალდაკვალ 1928 წელს „საქართველოს მეგობართა საზოგადოება“ ინგლისშიც შეიქმნა და საკითხის საპროპაგანდოდ 22 ნოემბერს ლონდონის ხელოვნების აკადემიაში რ. შოცის ხელმძღვანელობით პირველი ღონისძიება – საქართველოზე ახალგაზრდა მოგზაურისა და მწერლის, უილიამ ალენის ლექცია ჩაატარა. ალენი საქართველოთი პირველად 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს დაინტერესებულა, შემდეგ მარი ბროსეს წიგნებით არა მარტო თანამედროვეობა, არამედ წარსულიც, ქართული ენა და ლიტერატურა შეუსწავლია. 1925 წელს საქართველოში უმოგზაურია, 1928 წლის ზაფხულში კი – ოსმალეთის საქართველოც მოუვლია. როგორც ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ იუწყებოდა, აკადემიის დიდი დარბაზი მსმენელებს ვერ იტევდა. ქართული კოლონიის წევრთა გარდა ალენის ლექციას, რომელიც დედის მხრიდან ლორდი ბაირონის ჩამომავალია, დასწრებია ინგლისის მაღალი საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი, მათ შორის, გამგეობის წევრი, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ალენის სიძე ლორდი ლილეისი, ყოფილი უმაღლესი კომისარ ეგვიპტეში, „პალესტინის გმირი“ ლორდი ალენბი, ყოფილი ელჩი საქართველოში ოლივერ უორდროპი და პარიზიდან ჩასული ელჩი აკაკი ჩხენკელი. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციების შემდგომი საქმიანობის შესახებ მასალები ვერ მოვიპოვეთ.

ასე რომ, საქართველოს საკითხისადმი ოფიციალური ლონდონის გულგრილობის მიუხედავად, საქართველოს აქტიურად უჭერდნენ მხარს და საქართველოს საკითხს ახმოვანებდნენ „ერთა ლიგის დამ-

ხმარე საზოგადოების“ ქართული სექცია, „ქართული ასოციაცია ერთა ლიგისათვის“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ ქართული სექცია, „მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის“ სექცია – „მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ“, „წითელი ჯვარი“, „შრომის საერთაშორისო ბიურო“, „რუსეთის ემიგრანტთა დამხმარე“, ე.წ. „ნანსენის კომიტეტი“, „ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი“, ამ ორგანიზაციებში შემავალი ინგლისური საზოგადებები და მისი წევრები. აგრეთვე ლონდონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები, ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები და მათ მიერ დაარსებული საქართველოს „დამხმარე“ და „მეგობართა“ ინტერნაციონალური კომიტეტები. სამწუხაროდ, ამ ძალისხმევას უფრო მნიშვნელოვანი შედეგი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება არ მოჰყოლია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ II, თბ., 1999.
2. რ. დაუშვილი, საქართველოს ლეგაცია და საელჩოები – ქართული დიპლომატია, ტ. VIII, თბ., 2001.
3. ს. ასათიანი, მცირე მოგონება – ჟურნ. „კავკასიონი“, XII, პარიზი, 1968.
4. გ. ცხოვრებაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წწ., „მემუარი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩისა დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-22 წწ., ქართული დიპლომატია, ტ. II, თბ. 1995.
5. კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936.
6. სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო, პარიზი, 1921.
7. L'e proletariat georgiene contre L'Imperialisme bolsheviste, Paris, 1922.
8. Noueau Crime Bolsheviste en Georgie, Paris, 1922; Les Travaileurs Georgiens et les elections Sovetistes de Georgie, Paris, 1922.
9. კ. გვარჯალაძე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ, პარიზი, 1936.
10. საქართველოს ამბები – ჟურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925, №2.
11. Records Social Democratic party, Paris, 1925.
12. ერთა ლიგის 1922 წლის მე-3 კრებაზე მიღებული რეზოლუცია – ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №2.
13. ზურაბიშვილი ივ. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი, 1936.

14. ჟენევაში, ერთა ლიგის V ყრილობაზე – გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1925, №3.
15. რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ. 2007.
16. ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა მეხუთე კონგრესი ჟენევაში – ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, 1921, №3.
17. საქართველოს საკითხი და XVI ყრილობა ლიგის საერთაშორისო კავშირში – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1932, №79.
18. ერთა ლიგის საერთაშორისო კავშირის მეჩვიდმეტე კონგრესი – „დამოუკიდებელი საქართველო“, 1933, №90.
19. ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოება – „დამოუკიდებელი საქართველო“, 1934, №102.
20. ადამიანთა უფლებათა ლიგის კონგრესი – „დამოუკიდებელი საქართველო“, 1937, №133.
21. რ. დაუშვილი, საქართველოს საკითხი XX ს. 20-30-იანი წწ. საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე – თსპუ მსოფლიო ისტორიის კათედრის კრებული მიძღვნილი ვახტანგ ნანიტაშვილისადმი, თბ. 2004.
22. ხ. შავიშვილი, საქართველო ორ კონგრესზე – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1936, №128.
23. ვ. ჩერქეზიშვილი, წერილი ჩიჩერინს – ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი-პარიზი, 1922, №23.
24. კ. გვარჯალაძე, ჩვენი მუშაობა – ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1952, №1.
25. დ. შველიძე, „აი, ქართველნო, ვინ იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი!“, თბ., 2001.
26. გ. შარაძე, საქართვრლოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ. 2003.
27. გ. შარაძე, ანდრია გუგუშვილი, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, თბ. 1993.
28. მ. კვიტაშვილი, მოგონებები, ფიქრები საქართველოზე, თბ, 1991.
29. მოხსენება საქართველოზე ლონდონში – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, №35.
30. საქართველოს საკითხი უცხოეთში, საქართველოს მეგობრები ინგლისში – ჟურნ. „ბრძოლა“, 1925, №1.

Rusudan Daushvili

ეროვნული ბიბლიოთეკა

Georgian Emigration to England in 20s and 30s of the 20th century

Summary

The article outlines the Great Britain's position with regard to Georgia's occupation and Englishmen's attitude towards Georgian Emigration.

England has recognized the independence of Georgia on 27th of January, 1921, but the ambassador from Georgia Mr. Akaki Chkhenkeli, who has arrived in London after the occupation of Georgia, was officially hosted at the Ministry for Foreign Affairs on 17th of March. 1921, after the conclusion of trade agreement between Soviet Russia and the Great Britain.

Despite the sympathy from Lord Carson, England preferred "Russian Politics." During Bonar Law's cabinet, who was less pro-Russian than the previous governments the situation has to some extent improved for Georgia's Embassy in London but the official position of England remained the same.

Georgia had many friends among the governmental as well as non-governmental circles during the period of indifferent policy at official level. Georgians were supported by Socialists (esp. by Ramsay MacDonald, International organizations: "League of Nations Support Society", "International League on Protection of Human Rights", "International Committee for Peace", "Red Cross", "International Bureau for Labour", so called "Nansen's Committee" - which was supporting emigrants from Russia, and "League of Nations' Refugee Support Committee" as well as the English societies which were involved in these organizations together with the members of each organization. The role of the Georgian emigrants was considerable as well as the activities of the well-known English politicians and public figures. In 1921 and 1928 they have founded Committee designed to "Support" Georgia and the Committee of "friends". Unfortunately these efforts were not successful as they were not followed neither by the restoration of independence of Georgia nor by the return of refugees to their homeland.

რუსუდან ნიშნიანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტური კოდი (გრიგოლ ფერაძის პოეზიიდან)

„ჩემი მრევლი ედარება იმ ვენახს, რომელშიაც უკვე 10 წელიწადია არც უმარგლიათ და ვაზთა შორის უბარნიათ, არც უსხლიათ, არც გოგირდი და შაბიამანი შეუსხიათ ვაზებისთვის, რომ მეტი ნაყოფი გამოეღოთ, არც ჭიგოები შეუყენებიათ ვაზებისთვის, რომ არ დაცემულიყვნენ. იმ ვენახს, რომელსაც ღობე შემოაცვდა და შემოეგლიჯა და რომელსაც ყოველი: მოყვარეა იგი თუ მტერი, შინაურია თუ გარეული ცხოველი თავისუფლად ყოველ კუთხიდან ესტუმრება...

... ლოცვა! ლოცვა არის არა მხოლოდ ღობე და კარები ამ ვენახის – არა მხოლოდ წამალი, რომელიც სპობს ვაზებზედ ფილოქსერას; არა მხოლოდ ის მაკრატელი, რომელიც აჭრის ამ ვაზებს ზედმეტ ყლორტებს, არა მხოლოდ ის ბარი, რომელიც უვლის ვაზის ძირს, არა მხოლოდ ის ჭიგო, რომელსაც გარს ევლება ვაზი.

ლოცვა არის ქვეყანა...

... „უფალო, გვასწავლე ჩვენ ლოცვა" (1, 13).

ამ სიტყვებს პარიზის წმ. ნინოს ქართულ ეკლესიაში მამა გრიგოლ ფერაძე წარმოთქვამს. ეს ფრაგმენტია მისი ქადაგებიდან. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოისმენდა მას ქართველობა: არა მხოლოდ სარწმუნოებრივი განცდით და განზოგადებით, არამედ მხატვრული აზროვნებით და სახეებით სავსე სწორედაც უჩვეულო და ღრმა ქადაგებას. ლოცვა – ქვეყანა; ვაზის ქვეყანა?! მჭევრმეტყველების რანგი და ფორმა ბევრწილად განაპირობებს, რომ ის პოეტური ნიმუში (ლირიკული პოემა), რომელიც პარიზში გამომავალ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" მეოთხე ნომერში დაიბეჭდა 1934 წელს და ამგვარადაა დასათაურებული: „რომელნი ქერუბიმთა" განსხვავებული დამოკიდებულებით შევაფასოთ. ეს არაა სასულიერო თემაზე დაწერილი ნაწარმოები, მაგრამ მასში საინტერესო რელიგიური კოდები იკითხება. ავტორი „ქრისტიანული კულტურის" წარმომადგენელია. ლიტერატურული ტექსტი კი იმითაცაა უჩვეულო და შესაბამისად, საინტერესო, რომ გარკვეული ფრაგმენტები არაერთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ვფიქრობ, სასულიერო პირის მხრიდან ეგებ, ეს გარკვეული რისკიც კი იყო, არც უამისობაა.

მე დღეს არვის არ ვეკამათები,
არცა მჭირია რომ ვიკამათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვარ პარტიის წევრი მართები
საპნის ბურთისთვის კამათი ვმართო.
ისე სდგას მაღლა ეს ჩემი სიტყვა
თქვენ ნაცოდვარზედ, ნათქვამ, ნაფიქრზედ... – ეს პოეტური ჟესტია; გამომწვევი და გარკვეული ირონიის დამტევიც.

ის, რომ გრიგოლ ფერაძე ლექსებს წერდა, ალბათ, ფართო მკითხველისთვის იყო ცნობილი, ვინაიდან იბეჭდებოდა ემიგრანტულ გამოცემებში: „ჯვარი ვაზისა" და „ქართლოსი." ორივე კრებულს სრულიად განსხვავებული მკითხველი ჰყავდა.

„რომელნი ქერუბიმთა" 1929 წელს დაიწერა, ღვინობისთვეს, ქალაქ ბონში. ეს პოეტს თავადვე მიუწერია ნაწარმოების ბოლოს. თუმცა, სათაურის ქვემოთ, ფრჩხილებში მიუთითებია: ხილვა.

უცხოეთში მყოფს, როდესაც სევდა, ნისლი, ბურუსი
გულს დამიბურავს,
არვინ მყავს ახლოს: ვისაც გავენდო, ვინც გამიდევნის
სულიდან ურვას...

.....

მსურს დაბრუნება. აქ დავიღალე, როგორც მოხუცი
წელთა სიმძიმით.
ქუჩამ გამცვითა; ღრიალმა, ძრწოლამ და სიყვარული
ჭუჭყში ჩავაგდე.
(2, 31)

საინტერესოა რამდენიმე შიდა შრე, რომელთაც საგანგებოდ გამოვყოფ: აქედან იძენს სათქმელი განზოგადების შესაძლებლობას. მონტაჟი სხვადასხვა ამბავსა თუ ემოციას დაალაგებს ერთმანეთის გვერდით. იქნება ეს წმინდა რელიგიური ხასიათის ასპექტები თუ არანაკლებ საინტერესო ე.წ. თხრობითობა – სიუჟეტის ლიტერატურულობა. ეპოქა – თითოეულ ავტორთან სხვადასხვაგვარად განიხილება: ლექსები, რომლებშიც იგი დაიხატება – ეს ერთი; ლექსები, რომლებშიც ადიდებენ ამა თუ იმ ხელისუფლებას – ესეც ეპოქის ნიშანია... რა სივრცეა სასულიერო პირისთვის ეს „დაუსაბამო დრო". რა რჩება მარადიულ სახელად და საფიქრადაც; ერთი ფრაგმენტი გრიგოლ ფერაძის ზემოხსენებული პოემიდან:

კოტეს ჰანგებსაც მე ვერ წავბაძამ
ნაცარ-ქექია ჩვენ გვიხსნის, ვიტყვი,
იგია ჩვენი ცხოვრების ბოძი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიგერიებს მტერს თავის რისხვით.
ნაცარ-ქექიის არაფერი მწამს
და არც აროდეს რამ მეწამება
იმისი თვალი და ყური მიწას
არცა შორდება, არც ეწამება.
სიმინდის ზევით თუ კიდევ არის
რამე ქვეყანა, რამე სამყარო
მისთვის ერთია. იყოს მაძღარი!
მასზედ იმედი როგორ ვამყარო!.

აშკარად, პოლემიკაა შემოთავაზებული! ავტორი კონკრეტულ პიროვნებასა და კონკრეტულ სტრიქონებს გულისხმობს. „კოტე"–პოეტი კოტე მაყაშვილია, რომელმაც ნაცარქექიას პერსონაჟის ერთ-ერთი განსხვავებული ინტერპრეტაცია მოგვცა. ზღაპრის გმირის ახლებური გააზრება და მასზე ოპტიმიზმის აგება გრიგოლ ფერაძემ გაუგებრად მიიჩნია. მისთვის მიუღებელია ნაცარქექიას „მხსნელის", ან „ცხოვრების დედაბოძის" რანგში დანახვა; მისი „არაფერი მწამსო" კი განაცხადა, მაგრამ განმარტება მაინც ჩათვალა საჭიროდ: მისი აზრით, ნაცარქექიას მსოფლგანცდა მიწიერ ზრახვებს არ სცილდება, ამქვეყნიურ განცდებს. ფერაძისათვის წარმოუდგენელია, რომელი მტერი შეიძლება მოიგერიოს იმან, ვისთვისაც „წამება" უცხოა. როგორ შეიძლება „გამძღარ" კაცზე იმედები დაამყარო?!

კოტე მაყაშვილის პოეტური ტექსტი 20-იან წლებში დაიბეჭდა. როგორც ჩანს, იმთავითვე ძალიან პოპულარულ ლექსს გრიგოლ ფერაძეც იცნობდა. ავტორის (კოტე მაყაშვილის) აღტაცება თვალშისაცემია:

ოჰ, ნაცარქექიავ, შენა!
სალამი მშობლიურ გმირს!
ამეხსნა ბედკრული ენა
ღიმილი მომდის პირს,
დავწვები ლოგინში წყნარად
ძილითა შევიქცევ თავს,
ქაჯებო, დევებო, ფარად
მე ნაცარქექია მყავს (3, 560)

საკითხის ისტორიიდან გამომდინარე, უნდა აღვნიშნო, რომ ამ პერსონაჟს XX საუკუნის 80-იან წლებში კიდევ ერთხელ მიუბრუნდა

ლიტერატურული საზოგადოება. გურამ ასათიანი („სათავეებთან") ნაცარქექიას კირილე მიმინოშვილთან, ყვარყვარე თუთაბერთან და ბათა ქექიასთან ერთად ქართული ხასიათის ამ ყაიდის გამოვლინებად მიიჩნევდა: „სიზარმაცისა და ბაქიობის გარეშე ვის რა ჯანდაბად უნდა თქვენი ნაცარქექია? მისი ბაქიობაც ხომ ჩვეულებრივი არაა. ის ყველაზე დიდ დუშმანს – ბაყბაყ-დევს უნდა მოერიოს, თორემ პატარ-პატარებთან დაჭიდებაც ეთაკილება" (4, 43). ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ დაეთანხმა აკაკი ბაქრაძე, რომლისთვისაც დამაჯერებელი არ აღმოჩნდა ეს „ლიტერატურული ნათესაობა" და თავისი დებულება ამგვარად განავითარა: „საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ... ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნიღაბი აიფარა. თუ ეს არ დავინახეთ ნაცარქექიაში, მაშინ მას ცალმხრივად წარმოვიდგენთ და ნიღაბს შინაარსად მივიჩნევთ" (5, 154). მსჯელობისას აკ. ბაქრაძემ ამგვარი ფრაზაც მოიხმო: „ისტორიული ცხოვრების მოდელი". ამ კონტექსტში იგი მით უფრო საყურადღებო მგონია, რადგანაც მთელი ამ ვრცელი წერილის გაცნობისას ერთგანაა მხოლოდ ამგვარი მზაობა: „ჩვენ ოპტიმიზმის მეტი საფუძველი გვაქვს. ამის უპირველეს საბუთად, როგორც უნდა გაუკვირდეს მკითხველს, ქართული ზღაპრების გმირი ნაცარქექია მიმაჩნია" (5, 153).

ფართო პოლემიკის მიუხედავად, ზვიად გამსახურდიას წერილში პირველად იყო ნახსენები კოტე მაყაშვილის სახელი, ასევე, გრიგოლ ფერაძეც, ოღონდ სხვა კონტექსტში. ავტორმა სხვა მასშტაბები მოიაზრა: „ნაცარქექია ქართველი ოდისევსია, იგი ახერხებს ციკლოპის მოტყუებას და დამარცხებას. ოღონდ კარგი იქნებოდა, თუ მის შესახებ მსჯელობას განვავითარებთ და მასში მხოლოდ პოლიტიკურ მებრძოლს და დიპლომატს კი არ დავინახავთ, არამედ სულიერ პლანში მებრძოლს უნივერსალურ ბოროტებასთან. იგი მედიტატორია და მოაზროვნე" (3, 560). გამსახურდიამ პარალელები მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში მოიძია და აქედან გამომდინარე, დაასკვნა, რომ ნაცარქექიაში ოდენ ქართული ხასიათის ძებნა ზუსტი არ იქნებოდა. თვალსაწიერიც სხვა სივრცეში გაშალა და თანამოაზრეც დაასახელა: „ალბათ, ამიტომაც დაუკავშირა მღვდელმა გრიგოლ ფერაძემ ნაცარქექია წმინდა გიორგის სახეს" (3, 560-561).

და ისევ გრიგოლ ფერაძე. ლირიკული პოემის დაწერამდე ერთი წლით ადრე, 1928 წელს იმავე ქალაქში (ბონი) დაიწერა „წერილები ჩვენი წარსული ცხოვრებიდან". მოგვიანებით, ისიც „ჯვარი ვაზისაში" გამოქვეყნდა. 1932 წელს ჟურნალის №2 დაიბეჭდა სათაურით: „წმ. გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში", სადაც ავტორი სრულ მოულოდნელობას სთავაზობდა მკითხველს (თუ მრევლს): „ჩვენში შეიქმნა საკუთარი ჩვენი გიორგი; გიორგი – ნაყოფი ჩვენი ეროვნული ლიტერ[ატურის] შემოქმედების; ჩვენი ეროვნული ლიტერატურის შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს გმირთაგანი არის ნაცარ-ქექია და სწორედ ამ უკანასკნელის თვისებებს ვხედავთ წმ. გიორგიზე გადატანილთ"(4, 19). აქვე განიხილავდა ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ ხალხურ გადმოცემას წმ. გიორგის ელიასა და ღმერთთან შერკინების თაობაზე, რომელშიც წმ. გიორგი ხერხით სჯობნის ამ უკანასკნელთ. გრ. ფერაძე განმარტავს: „ის ხედავს... რომ ღმერთი თვითონ უსამართლოდ ან თავის გუნების და ჟინის მიხედვით იქცევა; იცის აგრეთვე, რომ იგი ღმერთი არაა, მაინც ეშინია მას აშკარა ბრძოლა გაუმართოს. წმ. გიორგი რომ ყოფილიყო, ამისთანა ღმერთს ხმლით თავს წააგდებინებდა. ამ ჩვენი ხალხური წმ. გიორგის ე.ი. ნაცარქექიას დევიზია: „ხერხი სჯობია ღონეს"-ო: დარბის, ატყუებს ღმერთს, დააქვს ამბები, აფრთხილებს გლეხს, აძლევს მას დარიგებებს და სხვა." მკვლევარი შედარებასაც შეეცდება: „ხალხურ ნაცარქექიასთან შედარებით, ჩვენ მხოლოდ ერთი პროგრესი გვაქვს ქრისტიანული გავლენის ქვეშ. იმ დროს, როს ხალხურ ზღაპრებში ნაცარქექია თავისი საკუთარი, უკეთ, თავისი ძმისა და რძლის გამორჩენაზედ სცდილობს, აქ უკვე ეს ნაცარქექია – გიორგი – ეთიურად მაღლა სდგას და ფიქრობს უკვე საწყალი ხალხის კეთილდღეობაზედ." სწავლული ცდილობს, ქართველის ხასიათს ჩაუკვირდეს და სერიოზული დაფიქრების შემდეგ დაასკვნის: „ნაცარქექია არაა ჩვენი ხალხის იდეალი, არამედ რეალობაა ჩვენი ცხოვრების და ერის ნაწილის სიმბოლო: – ზარმაცი, გაუბედავი, ზრდილი, სუსტი და უღონო, მაგრამ თუ გაჭირვება თავზედ დაადგა და უკანასკნელი კრიტიკული წუთი მოვიდა, იგი შემძლებელია, მთებიც კი გადაატრიალოს"(4, 20). ეს სულიერებაზე ზუსტი და ფრთხილი დაკვირვების შედეგად გაჩენილი დამოკიდებულებაა.

ქართული პერსონაჟის სხვადასხვა – მხატვრული თუ იდეოლოგიური ინტერპრეტაციის ყველა ვერსია საყურადღებოა. კიდევ ერთ მოსაზრებას მოგახსენებთ. ნაცარქექიას სახე ისეთ უჩვეულო კონტექსტშია წარმოდგენილი, რომ სრულიად მოულოდნელ შთაბეჭდილებას

ახდენს. ამის განმარტებაცაა შესაძლო: ეს პერსონაჟი არაერთი დიდი განზოგადების საშუალებას იძლევა. ცნობილი ქართველი ემიგრანტი და დაკვირვებული მკვლევარი კარლო ინასარიძე 70-იან წლებში გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან წიგნს შესთავაზებს მკითხველს –„ფილმისმეტყველება". „დამაჯერებელია, რაც შესაძლებელია" – არისტოტელეს სიტყვებს დაიმოწმებს და თავის მთავარ სათქმელს სწორედ ამ გამონათქვამიდან გააგრძელებს: „დამაჯერებელი კი არის ის, რაც არის შესაძლებელი, ესე იგი შესაძლებელი „ისევ-შექმნილ," მხატვრულ სინამდვილეში. ამიტომ ზღაპარიც, რომელშიც „არარეალური" და „რეალური" მომქმედნი პირნი – ქაჯები, დევები, სატანა თუ მეფე, დედოფალი, პრინცი, პრინცესა, წითელქუდა, ნაცარქექია და სხვანი – მოქმედებენ, თავისი არსით „რეალური", „რეალისტურია" (6, 399). აი, სწორედ აქ დასჭირდება კონკრეტული მაგალითი; იოლად მოიძიებს: „ვთქვათ, ნაცარქექია ისევე „რეალისტურად" ებრძვის ამქვეყნიერ უსამართლობას, ძალადობას, როგორც ვთქვათ, ნაცარქექიას „ფილმური ძმა" – ჩარლი ჩაპლინი, მიუხედავად იმისა, რომ პირველი „ზღაპრული", ხოლო მეორე „რეალური" სახე, სახეობაა."

როგორც აღვნიშნე, პოემაში უამრავი შრე იკითხება და თითოეული მათგანი გამორჩეულ გააზრებას ითხოვს. აქ არაა ერთი გაბმული სიუჟეტი, ერთიანი თხრობის დინამიკა. ყოველ თემას თავისი რაკურსი აქვს და საკუთარი სამზერი. ყოველი ნაკვეთი, ლიტერატურული ფრაზა, სარწმუნოებრივი მინიშნება, ორაზროვანი გააზრება ახსნას (კონკრეტული აზრის ამოცნობას), შეჯერებას გულისხმობს. აქ არაა ოდენ მსუბუქი სათქმელის ემოციური გარითმვის მცდელობა. ესეც სრულიად ბუნებრივია: აკი მისი ავტორი – მეცნიერია, მოაზროვნე, სასულიერო პირი... *(საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1995 წლის 19 სექტემბერს არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა).* ამ ჩამონათვალს კიდევ ერთი შტრიხი დაემატება. გრიგოლ ფერაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მის პოეტურ ნიმუშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ვფიქრობ, თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს XX საუკუნის (არა მხოლოდ ემიგრანტული) ლიტერატურის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", პარიზი, 1932.
2. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", პარიზი, 1934.

3. ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ., 1991.
4. გ. ასათიანი, სათავეებთან, თბ., 1980.
2. აკ. ბაქრაძე, რწმენა, თბ., 1990.
4. კ. ინასარიძე, ფილმისმეტყველება, მიუნხენი, 1975

Rusudan Nishnianidze

Poetic Code

(From the Poetry of Grigol Peradze)

Summary

A lyric poem "The Cherubim" by Grigol Peradze was published in the Georgian scientific journal titled "Jvari Vazisa" (Cross of Vine) in 1934, which was edited in Paris. The theme of the writing is not ecclesiastical but it contains interesting religious codes. The author is the representative of the "Christian Culture". As for the literary text, it is exceptional and thus interesting due to the fact that certain fragments could be interpreted in several ways.

In the 80s of the 20th century this theme became the subject of the discussions in literary societies again due to the history of the issue.

The work analyzes many opinions which were expressed not only in Georgia but were also widespread on the pages of collected articles issued abroad. Every theme of the literary text has its own, special perspective of story-telling and poetic vision.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულების გენეზისი და ოპოზიციური მიმდინარეობის წარმოშობა ქართულ ემიგრანტულ სოციალ-დემოკრატიაში

ქართული სოციალ-დემოკრატიისადმი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მთავარი კი მაინც თვით სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის წინააღმდეგობრივი ხასიათია. ერთის მხრივ, სახეზეა უკიდეგანო კოსმოპოლიტიზმი და ეროვნული ნიჰილიზმი, ილიას ლანძღვა-გინება, მეორე მხრივ კი არის პატრიოტიზმის ისეთი გამოვლინებანი, როგორიცაა გმირული და, ამავე დროს, წარმატებული ბრძოლა აფხაზი და ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ, პარტიულ და პიროვნულ ამბიციებზე ამაღლება და აჭარის დაბრუნება თავიანთი დაუძინებელი მტრის – ბოლშევიკების საქართველოში, მაგრამ მაინც საქართველოში, ბოლშევიკების მხრივ მაცდუნებელი შეთავაზებების მიუხედავად, მათთან ყოველგვარ გარიგებაზე პრინციპული უარი და ამით დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის და სხვ.

ურთიერთშეუთავსებადი, ურთიერთგამომრიცხავი ამ ქმედებების ახსნა ადვილი შესაძლებელია, თუ მოვლენებს დროის ფაქტორის გათვალისწინებით, მათი გენეზისის მიხედვით განვიხილავთ. საქმე ისაა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის მომენტისთვის და მას შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში ქართველი სოციალ-დემოკრატები, თითქმის, გამონაკლისის გარეშე, თავგადაკლული კოსმოპოლიტები იყვნენ. თვით 1917 წელსაც სოციალ-დემოკრატებს ეს სენი დაძლეული არ ჰქონიათ. ნოე ჟორდანია ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნავდა: „თბილისი მაინც და მაინც საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებს და აზერბაიჯანელებს, და მხოლოდ დასავლეთის მესამედი – „ვერა" და იქით მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებს" (1, 206). სახალხო გვარდიის სახელოვანი სარდალი ვალიკო ჯუღელი კი აცხადებდა: „მე მზად ვარ უარი ვთქვა ბამბაკსა და ლორეზე, დაე, ფლობდნენ ყოველივე ამას სომხები, თუ ეს ჩვენს ნამდვილ ძმობას წაადგება. მათ უნ-

და გაიგონ, რომ მათი საუკეთესო მოკავშირე ახალგაზრდა ქართული დემოკრატიაა" (1, 241).

ხელისუფლების სათავეში მოსვლამ სოციალ-დემოკრატებს პრაგმატიზმისკენ უბიძგა. ქართველ სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობა ამ დროისთვის მკვიდრად დადგა ეროვნულ ნიადაგზე. მაშინდელი ქართული პოლიტიკური სპექტრის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან განსხვავებით, ქართველი სოციალ-დემოკრატების ეროვნული პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებისადმი შემწყნარებლური, ზომიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. საქართველოში მცხოვრები ოსების ერთი ნაწილის უმადურობის მიუხედავად, ქართველი სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ თვით ოსეთში ქართული ორიენტაციის მქონე ნაწილზე დაყრდნობით ოსების მიმართ შემრიგებლური პოლიტიკა გაეტარებინათ. ეროვნული საბჭოს სხდომაზე სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელი – ალექსანდრე ლომთათიძე აღნიშნავდა: „ჩვენი პოლიტიკა ოსებისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ქართველებისადმი.. ჩვენ სხვაგვარ გზას ვერ დავადგებით. საქართველოში ყველა მოქალაქე უნდა იყოს კანონიერი შვილი და არა გერი" (2, 30 VIII).

ასეთ პოზიციას ხელი არ შეუშლია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობისთვის მთელი სიმკაცრით ჩაეხშო ბოლშევიკური რუსეთის მიერ ინიცირებული აჯანყებები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, მტკიცედ დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა გადასვლა ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციებზე, საბოლოოდ, ემიგრაციის პირობებში მოხდა. 1926 წელს პარიზში გამოცემულ თავის ნაშრომში „ჩვენი ტაქტიკა", ნოე ჟორდანია წერდა: „ნაციონალური მომენტი ისეთივე ბუნებრივი ეტაპია კაცობრიობის, როგორიცაა დემოკრატიული მომენტი. ეს ორი მსვლელობა ერთად წარმოებს.. დემოკრატია უეჭველათ ხდება ნაციათ, ნაცია უეჭველათ იქცევა დემოკრატიად. ან ორივე უნდა უარყოთ და გადაიქცეთ მართლმორწმუნე ბოლშევიკათ, ან ორივე უნდა მიიღოთ და ამით დარჩეთ ისტორიის საზღვრებში" (3, 5).

ჟორდანია აქ საუბრობს ეროვნულ საკითხზე, როგორც თავისთავად ღირებულებაზე, რომლის სხვა საკითხისადმი დაქვემდებარება დაუშვებელია. ისევე, როგორც დაუშვებელია ეროვნული საკითხის გაფეტიშება. ამ მსჯელობიდან სრულიად ნათელია, რომ მოცემულ მომენტში ჟორდანიას უკვე მთლიანად აქვს დაძლეული მარქსიზმის ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატი – ეროვნული საკითხის, როგორც კლასობრივი საკითხისადმი დაქვემდებარებული, მისგან ნაწარმოები

საკითხის დოგმატი. საკითხისადმი ასეთი მიდგომით და ამ პოზიციის პრაქტიკული რეალიზაციით ქართული სოციალ-დემოკრატია მსოფლიო სოციალისტურ პარტიებს შორის ეროვნულ საკითხში ნოვატორის როლში მოგვევლინა.

ქართული სოციალ-დემოკრატია სამართლიანად ამაყობდა ეროვნულ საკითხში მის მიერ შემუშავებული პოზიციით, რომელიც შემდეგ ევროპის სოციალ-დემოკრატიამ გაიზიარა: „არც ერთ სოციალისტურ პარტიას არ წამოუყენებია ნაციონალური საკითხი ისე ნათლად, როგორც ეს მოიმოქმედა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ეს იყო ჩვენი არა მხოლოდ თეორია, არამედ – პრაქტიკაც, დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებული. როცა ევროპაში წამოვედით ამავე დროშით და ეს გავაგანით სოციალისტურ წრეებს, მათ ძალიან უკვირდათ. მათთვის ეს ახალი, უნახავი ხილი იყო, რამაც დავთარი დაუბნია ჩვენებსაც და მათ საჩივარიც კი შეიტანეს ინტერნაციონალში – ვითომ ჩვენ ვიყოთ ნაციონალისტები.

ატყდა ომი, უცხო ძალამ დაიკავა მრავალი დიდი და პატარა სახელმწიფო. დასავლეთმა იგემა ოკუპაცია. გაჩაღდა საიდუმლო ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ. შეიქმნა პარტიზანული რაზმები და მოხდა სრული იდეური გარდატეხა ნაციონალურ საკითხში. ახლა მთელი ინტერნაციონალი აზროვნებს და ქადაგებს იმ რიგად და იმ რწმენით, რომელსაც ქართული სოციალ-დემოკრატია ქადაგებდა ემიგრაციაში," – წერდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო „ჩვენი დროშა" 1949 წელს.

უნდა ითქვას, რომ ეროვნულ საკითხში შეხედულებათა ასეთი მეტამორფოზა ყველა ქართველი სოციალ-დემოკრატისთვის როდი იყო დამახასიათებელი. ქართულ ემიგრანტულ სოციალ-დემოკრატიაში ჩამოყალიბდა ოპოზიციური მიმდინარეობა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერის, წარსულში მეორე სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციის მეთაურის, ვერსალის კონფერენციაზე საქართველოს დამფუძნებელი კრების წარმომადგენლის, აღიარებული ორატორის – ირაკლი (კაკი) წერეთლის ხელმძღვანელობით. კარლო ჩხეიძესთან და ოპოზიციურად განწყობილ სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად კაკი წერეთელი ბოლომდე კოსმოპოლიტურ პოზიციებზე დარჩა. მისთვის მიუღებელი იყო ერთა თვითგამორკვევის უფლების საყოველთაო მხარდაჭერა და ეროვნული საკითხის, როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი ფასეულობის აღიარება, რასაც ამ დროისთვის ნოე ჟორდანია და ქართველ სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობა უჭერდა მხარს. ერთა თვითგამორკვევის საკითხი, ნოე

ჟორდანიას აზრით, „ისტორიის ობიექტური მსვლელობის შედეგი, მისი ბუნებრივი კანონია." და რომც ამ ერებმა უარი თქვან თავისუფლებაზე, „ისტორია მათ ამას თავს დაატეხს მთელი თავისი რისხვით. რუსეთის ველიკოროსიათ გადაქცევა ისტორიის განაჩენია" (3, 6), – წერდა ის. ჟორდანიას განმარტებით, „ერთა თვითგამორკვევას ვერ ასცდება ვერც ერთი ერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს არც მის დაცემას, არც გამოშოოებულ ერთა მის წინააღმდეგ დარაზმვას. ეს იქნება რუსეთის ერთა გადაჯგუფება ნაციონალური თავისუფლების ინტერნაციონალური კეთილგანწყობილების ნიადაგზე. მოხდება ეს ნებაყოფლობით თუ ქარიშხლით, ეს არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ მას ვერ შეაჩერებს ვერავინ" (3, 6).

ირაკლი წერეთელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება საკითხისადმი ასეთ მიდგომას: „ჩვენ რომ ერთა თვითგამორკვევის უფლებას ყველგან მხარი უნდა დავუჭიროთ, ეს ცხადია.. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა ამ ერისთვის – მიუხედავად იმისა, სურს ეს თვით ამ ერს თუ არა, ცალკე სახელმწიფოებრივი არსებობა უნდა ვიქადაგოდ.. ამ თეორიას, რომელიც ყველა ერისთვის სეპარატიულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას სავალდებულოდ მიიჩნევს, ერთი ნაკლი აქვს: მისი საყოველთაო განხორციელება არა თუ ჯერ არ მომხდარა, არამედ, რომ მომხდარიყო, შეუძლებლად გახდიდა თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოს არსებობას, დიდის და პატარისაც. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ამ გზით ცდილობდნენ ჩვენს დანგრევას ჩვენი მოწინააღმდეგნი. და მართლაც, ამ პრინციპის ჩვენში გატარება საქართველოს დემოკრატიულ რასპუბლიკას მოსპობდა.

ნ. ჟორდანიას შეუძლია გვითხრას, რომ სრულებითაც არ ქადაგობს ამ მოთხოვნის განხორციელებას სხვაგან, გარდა რუსეთისა, მაგრამ მაშინ რაღა რჩება მისი თეორიის მთელი დემოკრატიული სამოსელისგან?" – შენიშნავდა ავტორი (4, 31-32).

ირაკლი წერეთელი აქ სამართლიანად აკრიტიკებს ჟორდანიას უკიდურეს პოზიციას, რაც ერთა თვითგამორკვევის უფლების გაფეტიშებაში, მისთვის უნივერსალური ხასიათის მინიჭებაში გამოიხატება, მაგრამ თვითონვე ვარდება მეორე უკიდურესობაში, როდესაც ერთ სიბრტყეზე აყენებს რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისა და საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებებს და ამას „დემოკრატიული სულისკვეთებით" ხსნის. ის არ ითვალისწინებს, რომ რუსეთის იმპერიის ხალხები წარმოადგენენ დაპყრობილ ხალხებს, საქართველოში მცხოვრები არაქართველები (აფხაზების გარ-

და) – ქართველთა ისტორიულ მიწა-წყალზე ბედით თუ უბედობით ჩამოსახლებულ ეთნოსებს, რომლებიც ქართველებს არ დაუპყრიათ, არ დაუმონებიათ, მათთვის სამშობლო არ წაურთმევიათ, პირიქით, საკუთარ მიწა-წყალზე ძმებივით მიიღეს და საუკუნეების განმავლობაში მათთან ერთად ჭირსა და ლხინს იყოფდნენ.

ეს პრინციპული განსხვავება შეუძლებელს ხდის პარალელის გავლებას ქართულ და რუსულ სინამდვილეს შორის. ქართველ სოციალ-დემოკრატთა ძირითადი ბირთვის პოზიცია ეროვნულ საკითხში ამ დროისთვის სრულიად თავისუფალია ამგვარი გამთანაბრებელი განწყობილების, კოსმოპოლიტური განურჩევლობისა და ეროვნული ნიჰილიზმისგან.

სამაგიეროდ, ქართული სოციალ-დემოკრატიული ოპოზიცია ევროპული სოციალ-დემოკრატიის სიმაღლიდან აკრიტიკებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში თავჩენილ დოგმატიზმს, ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილისა და სხვა ლიდერების გატაცებას რევოლუციური ფრაზეოლოგიით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გულმოდგინედ ჩქმალავდა თავის რიგებში წარმოქმნილ უთანხმოებას. ფართო მასებისთვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიციური ჯგუფის შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს დიდხანს მხოლოდ ბოლშევიკური პრესა წარმოადგენდა, რომელიც, ცხადია, ცალმხრივი და არაობიექტური იყო.

მხოლოდ 1927 წელს შეძლო ირაკლი წერეთელმა გამოეცა ბროშურა, რომელშიც საჯაროდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია პარტიის ძირითად ბირთვთან უთანხმოების საგნის გარშემო.

ირაკლი წერეთელს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისთვის მიუღებლად მიაჩნდა პოზიცია, რომლის მიხედვითაც, სამხედრო კონფლიქტები მშრომელთა გათავისუფლების ერთ-ერთ მისაღებ და რეალურ გზად განიხილებოდა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ნოე ჟორდანიას, რომელიც თვლიდა, რომ მსოფლიო ომის შემთხვევაში ემიგრანტულმა მთავრობამ საქართველოში აჯანყება უნდა წამოიწყოსო. „ჩაგრულ ერთა ბრძოლის ფორმები მრავალგვარია, მაგრამ ამ მრავალგვარობაში არსებობს ორი, პრინციპულად განსხვავებული სისტემა; ერთია დემოკრატიული მეთოდით ბრძოლა, დაყრდნობილი ერის დემოკრატიული შეგნების, ნებისყოფისა და თვითმოქმედების განვითარებაზე, მისი მოკავშირეების განმტკიცებაზე თავისუფლების მებრძოლ ძალებთან მსოფლიო ასპარეზზე და თვით მის მჩაგვრელ სახელმწი-

ფოს საზღვრებშიც. ეს ნიშნავს ეროვნული ბრძოლის გადაბმას მთელი ქვეყნის დემოკრატიული წინმსვლელობის საქმესთან, ხალხის ბედის შეკავშირებას იმ საერთაშორისო ძალების განვითარებასთან, რომლებიც ხალხთა თავისუფლების დაცვას მსოფლიო პოლიტიკის რეალურ ფაქტორად ხდიან.

მეორე გზა არის ბრძოლა ნაციონალური წესის, ე. ი. თავისი ერის დაპირისპირება მასზე გაბატონებულ სახელმწიფოს ერთან, როგორც მთლიან მტრულ ბანაკთან. ხალხის სამხედრო დარაზმვა სულიერად, და რამდენადაც შესაძლებელია, მატერიალურადაც და სამხედრო მოკავშირეების ძებნა გაბატონებულ სახელმწიფოს მეტოქეებს შორის. ეს ნიშნავს ეროვნული ბრძოლის გადაბმას იმპერიალისტური კონფლიქტების პოლიტიკასთან, ხალხის ბედის შეკავშირებას ამა თუ იმ სამხედრო კომბინაციების შესაძლებლობასთან და ბედის ბრუნვასთან" (4, 12), – წერდა ირაკლი წერეთელი.

ყოველგვარი ომი, ირ. წერეთლის აზრით, უბედურებაა არა მარტო კონფლიქტის მონაწილე ხალხების, არამედ საერთოდ, ყველასთვის. იგი პრინციპულად მიუღებლად მიიჩნევდა ახალი ომების წამოწყების გზით ჩაგრული ერების გათავისუფლების ტაქტიკას, ამ გათავისუფლებისთვის ომების საშუალებად გამოყენებას.

დამახასიათებელია, ამ მხრივ, ირ. წერეთლის თვალსაზრისი ნოე ჟორდანიას პოზიციაზე. ეს უკანასკნელი სტატიაში – „ჩვენ და ისინი", ბოლშევიკ ს. დევდარიანის იმ ბრალდების საპასუხოდ, რომ „საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ გარეშე ძალების ჩარევა იქნებოდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა," შეახსენებდა მას, რომ ინტერვენცია საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა სწორედ მოსკოვის ბოლშევიკურმა მთავრობამ და აღნიშნავდა: „ჩვენი მიზანია ინტერვენციის მოხსნა. საშუალება ამისი ბევრნაირია. ერთი ამათგანია დახმარება ყველა იმ უცხო ძალების, რომელნიც კი გაიზიარებენ ამ ჩვენს მთავარ მიზანს. ეს არის დახმარება და არა ინტერვენცია, რომლითაც მაგალითად, ბელგიას ეხმარებოდნენ სხვა სახელმწიფოები გერმანიის ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ დახმარებისთვის არავის ოკუპაცია არ უწოდებია, ბოლშევიკებსაც კი" (4, 6).

ირ. წერეთელი, პრინციპში, ეთანხმება ჟორდანიას ამ თვალსაზრისს, მაგრამ შენიშნავს, რომ ნოე ჟორდანია ტოლობის ნიშანს სვამს გერმანიის მხრივ ბელგიის ოკუპაციის პირობებში ამ უკანასკნელისთვის სხვა ქვეყნების მიერ დახმარების გაწევასა და საქართველოს თავდაცვით ომში დამარცხების შემდეგ დახმარების გაწევას შორის. „დღეს ჩვენ ევროპაში ყველაზე თავგამოდებით გვიცავენ სოციალის-

ტები, და, კერძოდ, ბელგიის სოციალისტები. ესენი მხურვალედ ექომაგებიან ჩვენს უფლებებს დიპლომატიურ სარბიელზედაც და ხშირად ადარებენ ჩვენს მდგომარეობას თავის ქვეყნის მდგომარეობასთან ომის დროს. მაგრამ საქართველოს განთავისუფლებას ისინი უკავშირებენ არა სამხედრო კონფლიქტებს, არამედ დემოკრატიის ძალა-გავლენის ზრდას საერთაშორისო პოლიტიკაში. ახალი ომის დაწყებას ჩვენი გულისთვის ისინიც ისევე შეუძლებლად თვლიან, როგორც სხვები" (4, 18-19), – წერდა ირ. წერეთელი.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ეს თეზისი განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს დღეს, როცა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა ნამდვილად არ აკლია, მაგრამ ქართული ტერიტორიების დაცვა-შენარჩუნებას, სამწუხაროდ ვერ ვახერხებთ.

ირ. წერეთელი რეალურად აფასებდა ვითარებას. საქართველოს გათავისუფლების საქმეში საზღვარგარეთის სამხედრო დახმარებაზე იმედების დამყარება მას არა მარტო შეცდომად, არამედ დანაშაულადაც მიაჩნდა. მას სწამდა, რომ აჯანყებისა და ომის გზა დამღუპველი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ ილაშქრებდა იგი საქართველოში აჯანყების მზადების, ამ მიზნით მოხალისეთა სიების ფარულად შედგენისა და სხვა მსგავსი ქმედებების წინააღმდეგ.

პოლიტიკურად მცდარად და უზნეობად მიიჩნევდა ირ. წერეთელი იმედების დამყარებას რუსეთის ხალხებს შორის ომის გაჩაღებაზეც. ერთადერთ მართებულ ტაქტიკად მას ბრძოლის მშვიდობიანი, დემოკრატიული მეთოდი მიაჩნდა. ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური გათავისუფლების გზა, ირ. წერეთლის აზრით, მხოლოდ დემოკრატიული შეგნების ამაღლებაზე გადიოდა. რაც შეეხება მსოფლიოს პროგრესული ძალების როლს, იგი თვლიდა, რომ ეს როლი ქართველი ხალხის სამართლიანი და მშვიდობიანი ბრძოლისთვის აქტიური მორალური და დიპლომატიური დახმარებით უნდა გამოხატულიყო.

დღევანდელი გადასახედიდან ნათლად სჩანს, სიმართლე ამ საკითხში ირაკლი წერეთელის მხარეს იყო.

ირ. წერეთელი დაუნდობლად ამხელდა პარტიულ წრეებში მყარად ფეხმოკიდებული იმ განწყობილების სიყალბესაც, რომლის მიხედვითაც ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის სწორედ მათი პარტიის დამსახურებად მიიჩნეოდა. ირ. წერეთელი ხაზს უსვამდა, რომ დამოუკიდებლობის გზაზე ქართველი ხალხი „შეაყენა არა პარტიათა გეგმამ და გავლენამ, არამედ მის გარშემო მომხდარმა უკიდურესმა ისტორიულმა ფაქტებმა" (4, 21).

ირ. წერეთლის ეს თეზისიც საოცრად ეხმიანება დღევანდელობას. ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, თვით ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარეობის, მისი ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონის ბუნებრივი შედეგია. ეს ბრძოლა ჩვენი ისტორიის არც ერთ ეტაპზე არ შეწყვეტილა და ყოველთვის მოცემული ეტაპის შესაფერისი ფორმებითა და სიძლიერით ვლინდებოდა. ამიტომაც, პოლიტიკური პარტიების მხრივ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გაღვივებაში განსაკუთრებული როლის დაჩემება, ნებით თუ უნებლიეთ, ხალხის როლის დაკნინებას წარმოადგენს.

მაინც როგორ მოხდა, რომ ირ. წერეთელმა ვერ შეძლო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმრავლესობის მიმხრობა?

თვით მისი მიმდევრები, რომლებმაც ირ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ 1960 წელს მიუნხენში სპეციალური ბროშურა მიუძღვნეს თავიანთი ლიდერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (სოციალისტური აზრი, კრებული I, მიუნხენი, მაისი, 1960 წ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უცხოეთის ოპოზიცია (ირაკლი წერეთლის ტენდენცია), ამ ბროშურის მეთაურ წერილში ამის შესახებ აღნიშნავდნენ: „დემოკრატიის უარყოფითი მხარე ისაა, რომ ფართო მასა, ე. ი. ხალხი, უფრო ადვილად ითვისებს და ეხმარება ისეთ იდეას, რომელიც მის სულიერ განწყობილებას შეესაბამება. მაგალითისათვის მოვიგონოთ, რომ ლენინმა სწორედ ისეთი განწყობილებით ისარგებლა, როცა მან ომით თავმობეზრებულ ჯარისკაცებს და მატროსებს მალე შინ დაბრუნება ურჩია. ასეთი წადილის განხორციელებისათვის ჯარისკაცებმა და მატროსებმა ხელისუფლება ჩაუგდო ლენინს ხელში. ბუნებრივია, რომ ემიგრაციის ნატვრა და წადილიც სწორედ სამშობლოში დაბრუნება იყო. ეს ნატვრა ისეთი ძლიერი იყო, რომ უმრავლესობა ბარგს გაუხსნელს ინახავდა დღეს-ხვალ შინ დაბრუნების იმედით...

ირაკლი წერეთელს არ შეეძლო ეს ადვილად დასაჯერებელი ილუზია ექადაგა ემიგრაციაში... ომით დაქანცული და ეკონომიურად გამოფიტული ევროპა არ იყო განწყობილი ბოლშევიკების რეჟიმთან საბრძოლველად... ამრიგად, არსად სჩანდა ის ძალა, რომელზედაც ქართველ ხალხს შეეძლო მისი განთავისუფლებისათვის ახალი იმედები დაემყარებია. სამაგიეროდ, ირაკლი ხედავდა ჩვენი მართალი საქმის შორეულ და უტყუარ მოკავშირეს; მისი ღრმა რწმენით, ეს იყო მსოფლიოში სამართლიანობის იდეების გამარჯვება და დემოკრატიის გაძლიერება. ამ პირობებში ის ემიგრაციაში მოთმინებას ქადაგებდა.

მით უმეტეს არ შეეძლო მას უფლებააყრილი, მცირერიცხოვანი და უიარაღო ქართველი ერისათვის მსხვერპლი და თავგანწირვა მოეთხოვა... სამწუხაროდ, სწორედ ეს მოთმინება აკლდა უმრავლესობას... გასაკვირველი არაა ამიტომ, რომ მან იმ მეთაურებისკენ იბრუნა პირი, რომლებიც მას ყოველდღე სამშობლოში ტრიუმფალურ ჩაძღოლას ჰპირდებოდა (5, 6-7)."

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თავჩენილი უთანხმოება, არსებითად, დოგმატიზმსა და რეფორმიზმს შორის არსებული უთანხმოება იყო. ევროპის სოციალ-დემოკრატიამ ჯერ კიდევ 20-იან წლებში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გადაჭრით უარყო რევოლუციური დოგმატიზმი და მთლიანად რეფორმისტულ მოძრაობად ჩამოყალიბდა. მან საბოლოოდ თქვა უარი სოციალური საკითხების რევოლუციური, ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტაზე და უპირობოდ დადგა დემოკრატიულ ნიადაგზე. ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ამ პოზიციაზე ირ. წერეთელი და მის გარშემო შემოკრებილი ოპოზიციური ნაწილი გადავიდა.

რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, მან ბოლომდე ვერ დაძლია რევოლუციური დოგმატიზმი და თავისი პოზიციით ბოლშევიზმსა და ევროპულ სოციალ-დემოკრატიას შორის აღმოჩნდა. 1948 წელს ჟორდანია წერდა: „ორივე ინტერნაციონალმა, სოციალისტურმა და რუსულ-კომუნისტურმა დასტოვეს მარქსის მეცნიერული სოციალიზმი და თავი შეაფარეს ერთმა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მეორემ აღმოსავლურ ტირანიას. ამ ორ მოვლენათა შორის ერთი დიდი განსხვავებაა: პირველის გადაყვანა მარქსიზმის ნიადაგზე შესაძლებელია, ხოლო მეორის გადაყვანა მისი შინაგანი ევოლუციით შეუძლებელია. არავითარი ტირანია არავითარ გადასხვაფერებას არ ითმენს. ის უნდა დაინგრეს ხალხის რევოლუციით, რომ არალეგალური სოციალიზმი აღდგეს" (6, 30).

ნოე ჟორდანიას ამ სიტყვებში ყველაზე ნათლად სჩანს ავტორის პოლიტიკური მრწამსი. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მოხმობილი მიზეზების გამო, აღნიშნული პოზიცია დამახასიათებელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის უმრავლესობისთვის, რომელმაც ფეხი ვერ აუწყო ევროპის სოციალ-დემოკრატიის წინსვლას. რაც შეეხება პარტიის რიგით წევრებს, ბოლშევიკური ოკუპაციისა და პარტიის ხელმძღვანელობის ემიგრაციის პირობებში, მათი პოზიციის გაგება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ამრიგად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში წარმოშობილი უთანხმოების ანალიზი საშუალებას გვაძლევს

დავასკვნათ: პარტიის ხელმძღვანელობის ძირითად ბირთვსა და ოპ-ოზიციას შორის არსებული უთანხმოება არსებითად იყო უთანხმოება დოგმატიზმსა და რეფორმიზმს შორის. პარტიის ოპოზიციური ნაწილი მყარად იდგა რეფორმისტულ თვალსაზრისზე და ევროპის სოციალ-დემოკრატიის სიმაღლიდან აკრიტიკებდა პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის ძირითად ნაწილში ფეხმოკიდებულ რევოლუციურ დოგმატიზმს. ამასთან, ოპოზიციაც არ ყოფილა დაზღვეული შეცდომებისგან. ირ. წერეთლის სუსტი მხარე იყო მის მიერ ბოლომდე ვერდაძლეული კოსმოპოლიტური განწყობილებანი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირითადი ბირთვისა და ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის პოზიციათა მართებული ელემენტების სინთეზი კი ჭეშმარიტად სწორ პოზიციას გვაძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007.

2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1918 წ.

3. ნ. ჟორდანია. ჩვენი ტაქტიკა, პარიზი, 1926.

4. ირ. წერეთელი. ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხები, პარიზი, 1927.

5. ალფა, მეთაური, სოციალისტური აზრი, კრებ. I, მიუნხენი, მაისი, 1960.

6. ნ. ჟორდანია. კომუნისტური მანიფესტი და სოციალიზმი, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1949.

Ucha Bluashvili

Genesis of the Attitude towards National Issue and Origin of the Opposition Movement among the Social-Democrats from Georgian Emigration

Summary

The article discusses the attitude of the opposition movement emerging from the emigrated Georgia Social-Democratic party towards the national issue. It is highlighted that after the appearance on the political scene as well as during considerable period of time from this point Georgian Social-Democrats, almost without exceptions, were cosmopolitans.

In 1918 Social-Democrats came to power and this fact has made them more pragmatic. The majority of Georgian Social-Democrats by this time had very strong national feelings, but the leadership of the party has finally moved to national-patriotic positions during the period of emigration.

During the years of emigration the majority of Georgian Social-Democrats have fully overcame one of the main dogmas of Marxism according to which national issue is subordinated to the class theory. In this regard Georgian Social-democratic party was innovator among the world Socialist parties.

Such metamorphosis in attitude towards the national issue was not typical for all Social-Democrats. The Social-Democrats from the circles of Georgians emigrants opposition movement led by Irakli (kaki) Tsereteli has emerged, which was still loyal to cosmopolitan ideas, but they were criticizing the preservation of the revolutionary dogmatism of the party leadership from the position of the European Social-Democrat's reformist perspective.

The disagreement originated among the Social-Democrats was mainly disagreement on dogmatism and reformation.

ლელა სარალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტრეს კონფერენცია და ქართული ემიგრაცია (1936 წ.)

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა, სადაც აქტიურად იბრძოდა საქართველოს წართმეული თავისუფლების დასაბრუნებლად. ქართველი დიპლომატები, რომელთაც ოფიციალური უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ, არაოფიციალურად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობა აღდგენილი ყოფილიყო, ამასთანავე ცდილობდნენ არ დაეშვათ საერთაშორისო კონფერენციებზე რუსეთის ძალისხმევით საქართველოსთვის საზიანო რეზოლუციების მიღება. 1925 წლის პირველ იანვარს, როცა უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ელისეს სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტის წინაშე წარსდგნენ, ახალი წლის მისალოცად, მათ შორის იყვნენ ერთის მხრით, საბჭოთა ელჩი, მეორეს მხრივ, საქართველოს ელჩი. ეს ფაქტი ერთნაირად ანცვიფრებდა ყველას, თუმცა მაშინ განსაკუთრებით მოსკოვის მთავრობის მიერ დანიშნული ელჩი კრასინი დარჩა გაკვირვებული. მოსკოვში გაგზავნილ დაშიფრულ ტელეგრამაში იგი გაოცებული კითხულობდა: „როგორ! ჩვენ გვიცნეს, ჩემს მიერ წარდგენილ რწმუნების ბარათში ჩამოთვლილია კავშირის ყველა რესპუბლიკები, მათ შორის სოციალისტური საბჭოთა საქართველოც, რეზერვი არავის გაუკეთებია და მიუხედავად ამისა, ეროვნული საქართველოს ელჩი იქვე იყო! ამ სირცხვილს ვერ ავიტან, გამათავისუფლეთ თანამდებობიდან", ასე ემუდარებოდა კრასინი საბჭოთა მთავრობას (1, 2). საერთაშორისო კონფერენციებზე საქართველოს სახელით ორი ელჩი მოქმედებდა, ეროი პარიზიდან, საქართველოს ემიგრირებული ეროვნული მთავრობის სახელით, მეორე მოსკოვიდან, საბჭოთა საქართველოს სახელით.

1936 წლის 20 ივლისს, შვეიცარიის ქალაქ მონტრეში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც შავი ზღვის სრუტეების ზონაში თურქეთის სრული სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება (2, 381). კონფერენციაზე ხელი მოეწერა ახალ – მონტრეს კონვენციას, რომლის ძალითაც სრუტეების საერთაშორისო კომისია გაუქმდა, აღდგა თურქეთის სრული სუვერენიტეტი აღნიშნულ ზონაზე. ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებს როგორც მშვი-

დობიან, ასევე ომის ვითარებაშიც სრუტეებში თავისუფალი გავლის უფლება ეძლეოდა. მშვიდობიან დროს ყველა შავიზღვისპირა სახელმწიფოს შეეძლო თავისუფლად გაეტარებინა თავისი გემები სრუტეებში. კონფერენციაზე კამათი გაიმართა არაშავიზღვისპირა სახელმწიფოთა სამხედრო გემების სრუტეებში გატარების უფლების გარშემო. არაშავიზღვისპირა სახელმწიფოთა უფლებები მკვეთრად შეიზღუდა. მშვიდობიან დროს მათ შეეძლოთ შეეყვანათ შავ ზღვაში მხოლოდ მსუბუქი გემები, სამი კვირის ვადით. ამასთან, არაშავიზღვისპირა ყველა სახელმწიფოს გემების საერთო ტონაჟის მოცულობა მკვეთრად იქნა განსაზღვრული. ომის დროს, თურქეთის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში, სრუტეები დახურული უნდა ყოფილიყო მეომარი სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის, ხოლო საომარ მოქმედებებში თურქეთის ჩაბმის შემთხვევაში, სახელმწიფოებს უფლება ეძლეოდა ემოქმედათ სრუტეების ზონაში საკუთარი შეხედულების მიხედვით.

მონტრეში ხელი მოეწერა სრუტეების ახალ კონვენციას, რომელმაც ფაქტობრივად შეცვალა 1923 წელს მიღებული ლოზანის კონვენცია, რაც საქართველოს ემიგრაციული მთავრობის აზრით, მონტრეს კონვენციის კანონიერებას საეჭვოს ხდიდა, რადგან იტალიას ლოზანის კონვენციისაგან განსხვავებით, არამც თუ ხელი არ მოუწერია მასზედ, არამედ იტალიის დელეგაცია არც კი დასწრებია კონფერენციას. იტალიის განზე დგომა განაპირობა ეთიოპიის კრიზისმა. 1935 წლის 3 ოქტომბერს, იტალიის 500 000-იანი არმია შეიჭრა ეთიოპიაში, რის გამოც დიდი ხნის მეგობრები იტალია და ინგლისი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მიუხედავად ამისა, იტალიას მაინც დაუტოვეს ადგილი მონტრეს კონვენციაში, ისე როგორც რუსეთს 1923 წელს ლოზანის კონვენციაში, რაც საერთაშორისო ნორმების დარღვევა იყო. ამასთან, იტალიამ არა თუ ხელი არ მოაწერა მონტრეს კონვენციას, არამედ საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. საერთაშორისო სამართლის თანახმად, მხოლოდ ის ხელშეკრულება ითვლება გაუქმებულად, ან კიდევ მის მაგიერ დადებული ხელშეკრულება კანონიერად, რომელზედაც ხელი მოაწერა ყველა მონაწილემ უკლებლივ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები საერთაშორისო ხელშეკრულებების გახშირებული დარღვევის ფაქტებს, საერთაშორისო უფლების დაცვაში ერთა ლიგის სისუსტედ მიიჩნევდნენ. საქართველოს ყოფილმა ელჩმა, აკაკი ჩხენკელმა სპეციალური წერილით მიმართა მონტრეს კონფერენციის თავმჯდომარეს სტანლეი ბროსს (3, 4), რომელშიც განმარტავდა, რომ „საქართველოს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო კონფერენციის

მუშაობაში, როგორც შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოს, რაც თავის დროზე 1923 წელს დააფიქსირა ლოზანის კონფერენციამ და მას მხარი დაუჭირა თურქეთის დელეგაციამ ისმეთ ფაშას წინადადებით. მაშინ რუსეთი შეეცადა საქართველო და უკრაინა პროტოკოლიდან მოეხსნა" (4, 66). ემიგრაციული მთავრობის ძალისხმევის შედეგად, ლოზანის კონფერენციამ, სრუტეების კონვენციის XII მუხლში საქართველოს დაუტოვა ადგილი. აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომელსაც ევალებოდა თვალყურის დევნება სრუტეების საკითხში ახალი წესების შესრულებაზე. იმავე მუხლის III აბზაცში, რომელსაც მეტსახელად „ქართველების აბზაცს" უწოდებდნენ, აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს – საქართველოს და უკრაინას, რომელთაც ოფიციალურად მონაწილეობა არ მიუღიათ ლოზანის კონფერენციის მუშაობაში, უფლება ჰქონდათ საკუთარი წარმომადგენელი გაეგზავნათ სრუტეების საკითხის შემსწავლელ საერთაშორისო კომისიაში (5, 206).

საქართველოსადმი საერთაშორისო ინტერესი თანდათან შესუსტდა. 1924 წელს საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად იცნო ინგლისმა და საფრანგეთმა. ინგლისის ეს ცნობა მოხდა საქართველოს 1924 წლის აჯანყების წინ, ხოლო საფრანგეთისა, აჯანყების შემდეგ (6, 369). საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც 1932 წლის 29 ნოემბერს, სსრკ-სა და საფრანგეთს შორის დაიდო თავდაუსხმელობის პაქტი, რასაც ავტომატურად მოჰყვა პარიზში ქართული ლეგაციის გაუქმება. საქართველოს დელეგაციას უფლება არ მისცეს დასწრებოდა მონტრეს კონფერენციას, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სრუტეების კონვენციის შეთანხმებაზე ხელისმომწერი ქვეყნები. თურქეთის დელეგაციის განმარტებით, საქართველოს არ შეეძლო კონფერენციაზე წარმომადგენლის გაგზავნა, რადგან მისი ტერიტორია დაკავებული იყო საბჭოთა ჯარების მიერ. ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ საკუთარი წარმომადგენლის საშუალებით დაეცვათ საქართველოს ინტერესები მონტრეს კონფერენციაზე, იმედს არ კარგავდნენ, რომ სრუტეების საკითხის განხილვისას, საქართველოს უფლება, როგორც შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოსი, დაცული იქნებოდა, რადგან აქამდე მას ეს უფლება ლოზანის კონვენციამ შეუნარჩუნა. მაშინაც რუსეთის წარმომადგენელი ჩიჩერინი შეეცადა სრუტეები დაეკეტა ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის, გარდა თურქეთის გემებისა, თუმცა ეს იმხანად ვერ განახორციელა. რუსეთს სურდა შავი ზღვის გამოცხადება მონაპირე სახელმწიფოების დაკეტილ ზღვად,

რაც გამოიწვევდა რუსეთის გაბატონებას დანარჩენ მონაპირე სახელმწიფოებზე. ინგლისის წარმომადგენელმა ლორდმა კერზონმა რუსეთის სწრაფვა ასე დაახასიათა: „რაც უფრო ახლოს ვეცნობით რუსეთის პროგრამას, მით უფრო ნათელი ხდება, რომ მას ერთი მიზანი აქვს – გადააქციოს შავი ზღვა რუსეთის ტბად და ამ ტბის გამოსავალის მცველად იყოლიოს თურქეთი" (3, 5). მონტრეს კონფერენციაზე რუსეთმა, საქართველოს ინტერესების ხარჯზე, თავის მიზანს გარკვეულწილად მიაღწია. აკაკი ჩხენკელი მონტრეს კონფერენციის თავმჯდომარეს სტანლეი ბროსს, თავის წერილში განუმარტავდა: „მონტრეს კონფერენციაზე სსრ კავშირის წარმომადგენლის მოქმედება სულ სხვანაირია, ვიდრე იყო მისი წარმომადგელნისა ლოზანაში. ერთი – ის უბრუნდება რუსეთის იმპერიის სულისკვეთებას, რომ მოიპოვოს თავისი სამხედრო გემებისათვის თავისუფალი მიმოსვლა სრუტეებში და ამავე დროს აღუკვეთოს ეს თავისუფალი მიმოსვლა სხვა არა მონაპირე სახელმწიფოების სამხედრო გემებს. მეორე – ის არ მოითხოვს უკვე თავისი „მოკავშირეების" საქართველოს და უკრაინის დაშვებას კონფერენციაზე და არც მათ მოხსენიებას პროტოკოლში, რაც მოასწავებს საიმპერიო რუსეთის დადგინებას სსრ კავშირის ადგილზე" (3, 4). აკაკი ჩხენკელის მიერ რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შეფასება დღესაც ძალაში რჩება, რადგან რუსეთი XXI საუკუნეშიც იგივე მეთოდებით აგრძელებს ბრძოლას.

1936 წლის მონტრეს კონფერენციაზე მიღებული ხელშეკრულება დღესაც მოქმედებაშია. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები თურქეთის ტერიტორიულ წყლებში მდებარეობს, თუმცა მათზე თურქეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი მონტრეს კონვენციით დადგენილი პირობებით განისაზღვრება. აღნიშნულ კონვენციას ზოგიერთი ქვეყანა შესაძლოა უმნიშვნელო ხელშეკრულებად აღიქვამდა, თუმცა დღევანდელ პერიოდში, საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთთან შექმნილი დაძაბულობის ფონზე, მონტრეს კონვენციამ აქტუალური ხასიათი შეიძინა. კონვენცია ხელმოწერილი და რატიფიცირებულ იქნა თურქეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, გერმანიის, იუგოსლავიის და იაპონიის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ არ იყო მიერთებული აღნიშნულ კონვენციაზე, ისტორიულად ის ყოველთვის ეთანხმებოდა მის დებულებებს. კონვენცია დაიდო 20 წლის ვადით. 28-ე მუხლის თანახმად, კონვენციის გასაუქმებლად საჭიროა ერთ-ერთი ხელმომწერი ქვეყნის განაცხადი, რომელიც მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაკმაყოფილდება. მიუხედავად რამდენიმე ისტორიული ეპიზოდისა, მსგავს პრეცედენტს, დღემ-

დე, კონვენციაზე ხელისმოწერიდან 73 წლის გასვლის შემდეგაც, არ ჰქონია ადგილი. უფრო მეტიც თურქეთში მონტრეს კონვენციას განიხილავენ, როგორც წყალობას მათი ქვეყნისთვის და იგი მიაჩნიათ ქვეყნის ეროვნული ინტერესების საიმედო დამცველად. თურქები ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ საერთაშორისო დებატებს აღნიშნული კონვენციის რევიზიის შესახებ. თურქული სრუტეების ორი საწაოსნო მიმართულება ერთმანეთს ხმელეთით გარშემორტყმული, მარმარილოს ზღვით უკავშირდება. ამჟამად მათი გამტარუნარიანობა წლიურად 50 000 გემს შეადგენს.

მონტრეს კონვენცია საქართველოსთვის კიდევ უფრო აქტუალური გახდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს. 1936 წელს მიღებულმა მონტრეს კონვენციამ მნიშვნელოვნად დაბაბა ანკარას ურთიერთობები ვაშინგტონთან, რომელსაც თურქეთის სრუტეების გავლით, საქართველოს დასახმარებლად ორი მასიური სამხედრო გემით ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა სურდა. ტვირთის საერთო ტონაჟი 140 000 ტონას შეადგენდა. მონტრეს კონვენციის 29-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ქვეყანა შავი ზღვის სახელმწიფო არ არის, მისი სამხედრო-საზღვაო ხომალდების საერთო ტონაჟი 45 000 ტონას არ უნდა აღემატებოდეს. თავდაპირველად თურქეთმა, მონტრეს კონვენციაზე აპელირებით, უარი უთხრა აშშ-ს გემების გატარებაზე. საბოლოოდ ვაშინგტონი იძულებული გახდა, სამი შედარებით მცირე ტონაჟის სამხედრო ხომალდი გამოეგზავნა. აღნიშნული ინციდენტი ცხადყოფს, რომ მიუხედავად თურქეთისა და აშშ-ს ალიანსისა, მათი სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთთან ყოველთვის შესაბამისობაში ვერ მოდის. თავის მხრივ, რუსეთი არ მალავდა უკმაყოფილებას ამერიკული სამხედრო გემების გატარების გამო და თურქეთის მხარეს კონვენციის დებულებების დარღვევაში დებდა ბრალს. რუსული მხარის მტკიცებით, ჰუმანიტარული მისიის შესრულება სამოქალაქო ხომალდებითაც იყო შესაძლებელი და სამხედრო ხომალდების გამოყენება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. შავ ზღვაში ნატო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების: ესპანეთის, გერმანიის და პოლონეთის სამხედრო გემების გამოჩენასთან ერთად, თურქეთის მიუკერძოებლობის მიმართ რუსეთის უნდობლობამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. თურქი ანალიტიკოსები თურქეთის პოლიტიკური ელიტისაგან მონტრეს კონვენციით დადგენილი პირობების ზედმიწევნით შესრულებას მოითხოვდნენ, რათა გარკვეულწილად თავიდან აეცილებინათ კონვენციის საკითხში ანკარაზე ვაშინგტონის ზეწოლა. არსებობს აგრეთვე იმის ალბათობაც, რომ მონტრეს კონვენციის რევი-

ზიის მოთხოვნა თვით შავიზღვისპირა ქვეყნებისაგან წამოვიდეს, რადგან აღნიშნულ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ პროდასავლურ და რუსეთისაგან ჩამოშორების პოლიტიკას, მონტრეს კონფერენციაზე მიღებული პირობები შესაძლოა საკუთარი უსაფრთხოების მთავარ ბარიერად ექცეთ. ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მზარდი დაძაბულობის შედეგად, თურქეთის მმართველი წრეები რთული დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. არსებული კავკასიური კრიზისის ფონზე, თურქეთს ბეწვის ხიდზე გავლა უწევს. ერთის მხრივ, თურქეთი ცდილობს, არ მოწყდეს თავის დასავლეთელ მოკავშირეებს, მეორეს მხრივ, იგი ცდილობს შეინარჩუნოს სავაჭრო და ენერგეტიკული პარტნიორი რუსეთის სახით. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია, შავ ზღვაზე მისი ნაციონალური სტრატეგიული ინტერესები რუსეთისას ემთხვევა, თუმცა ამ ქვეყნებს განსხვავებული მიზნები აქვთ. თურქეთს აქამდე წარმატებით გამოსდიოდა დაებლოკა აშშ-ის შეთავაზება, ჩაეტარებინა ნატოს მანევრები შავ ზღვაზე, იმის შიშით, რომ დასავლეთის ამგვარ მონაწილეობას შესაძლოა 1936 წლის მონტრეს კონვენციის რევიზიის მცდელობამდე მიეყვანა საქმე და ეჭვქვეშ დაეყენებინა თურქეთის მიერ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სრუტეებზე – ბოსფორსა და დარდანელზე კონტროლი. საქართველო-რუსეთის ომის დროს, თვით რუსეთის შავი ზღვის ფლოტი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში. კერძოდ, დიდი სადესანტო ხომალდებით მათ ოჩამჩირეში გადმოსხეს მრავალრიცხოვანი დესანტი, ხოლო სარაკეტო კრეისერი "მოსკოვი" ფრთოსანი რაკეტებით ბომბავდა კოდორის ხეობას. იგივე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა ზუგდიდი, თუ ქართული სამხედრო შენაერთები აფხაზებთან ერთად რუს მედესანტეებს უბრძოლველად არ გაატარებდნენ სენაკის ბაზისაკენ, ამ ბაზის გასაძარცვად. ერთადერთი შავიზღვისპირა ქვეყანა, რომელიც საბჭოთა ბლოკში არ შედიოდა, თურქეთი იყო. შავ ზღვაში სხვა სახელმწიფოთა გემების შემოსვლა, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეულწილად შეზღუდულია მონტრეს 1936 წლის ხელშეკრულებით, რომელიც არეგულირებს მშვიდობიანობის პერიოდში ბოსფორის სრუტით ზღვაში შემოსული გემების დასაშვებ რაოდენობასა და ზღვრულ წყალწვას. მონტრეს კონვენციის მიხედვით, თურქეთს არა აქვს უფლება ბოსფორის სრუტეში გაატაროს იმდენი სამხედრო გემი, რომელთა ჯამური წყალწვა აღემატება 45 000 ტონას, რაც არც თუ ისე დიდი მონაცემია სამხედრო გემებისათვის – ერთი თანამედროვე ამერიკული ავიამზიდიც კი გადაფარავს ამ ლიმიტს. იმავე მონტრეს კონვენციით, უცხო ქვეყნის სამხედრო გემებს უფლება აქვთ, შავ

ზღვაში იმყოფებოდნენ მხოლოდ 21 დღის განმავლობაში, შემდეგ კი ბოსფორის სრუტით უნდა დატოვონ ზღვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი იქ ყოფნა, შავი ზღვის სრუტეთა შესახებ მონტრეს საერთაშორისო კონვენციის დარღვევად ჩაითვლება და რუსეთს მიანიჭებს უფლებას, საერთაშორისო სამართლის იგნორირებაში დაადანაშაულოს არა მხოლოდ ნატო, არამედ თურქეთიც. მოსკოვში თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ვიზიტისას, კრემლმა ანკარას მეტისმეტად მძიმე ულტიმატუმი წაუყენა, რათა არ შემოეშვა შავ ზღვაში ნატოს გემები იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი საერთო წყალწვა და მათი იქ ყოფნის ვადა მონტრეს კონვენციას არ არღვევდა, ანუ ბოსფორის სრუტეში მათი ყოფნა კანონიერი იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი თურქეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციებით და ურთიერთობის გაუარესებით დაემუქრა. თავდაპირველად თურქეთმა უარი უთხრა აშშ-ს გემების გატარებაზე, ბოლოს იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომლის შემდეგ ამერიკული გემები "მაკფოლი" და "დალასი" ბათუმის ნაპირებს მოადგნენ, პასუხად რუსეთმა თურქ ბიზნესმენებს საზღვარი ჩაუკეტა და თურქეთს ბუნებრივი აირის შეწყვეტითაც დაემუქრა. თავის მხრივ, თურქეთმაც ჩაკეტა საზღვარი რუსული პროდუქციისათვის, რის შედეგადაც ეკონომიკური ომი ორ რეგიონალურ დიდ სახელმწიფოებს შორის ახალ სტადიაში შევიდა. 3000 კმ მოქმედების რადიუსის მქონე "ტომაჰავკის" ფრთოსანი რაკეტებით შეიარაღებული ამერიკული ხომალდი "მაკფოლი" ბათუმიდან სევასტოპოლში შევიდა უკრაინის ხელისუფლების მიწვევით, რამაც რუსეთის მმართველ წრეებში ბევრად უფრო დიდი აღშფოთება გამოიწვია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მისმა ყოფნამ. ამჟამად, შავ ზღვაში იმყოფება ნატოს 10 სამხედრო ხომალდი. მათ შორისაა ამერიკული "მაკფოლი", ესპანური "ადმირალ ხუან დე ბორბონი", პოლონური "გენერალ ზპულასკი", გერმანული "ლიუბეკი", აგრეთვე ექვსი შედარებით პატარა სამხედრო გემი. აღნიშნული საზღვაო დაჯგუფება, ნატოს განმარტებით, რეგიონში იმყოფება ბულგარეთისა და რუმინეთის ნაპირებთან ჯერ კიდევ ადრე დაგეგმილ მანევრებში მონაწილეობის მისაღებად. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფილმა სარდალმა, ადმირალმა იგორ კასატონოვმა განაცხადა, რომ ამჟამად შავ ზღვაში ფლოტის შენარჩუნებისათვის ნატოს ერთადერთი საშუალება აქვს, მან უნდა ცვალოს ეს გემები ყოველ 21 დღეში, ისეთნაირად, რომ ჯამში მათი საერთო წყალწვა 45 000 ტონას არასოდეს აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს მონტრეს კონფერენციაზე მიღებული ხელშეკრულების დარღვევას.

ამრიგად, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების მცდელობის მიუხედავად, საქართველო უძლური აღმოჩნდა დაეცვა თავისი უფლებები სრუტეების კონვენციაში, რასაც აქტიურად შეუშალა ხელი რუსეთმა და თურქეთმა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აღარ არის საელჩო, გაზ., „დამოუკიდებელი საქართველო", 1933 წ., ივლისი, №91.
2. უახლესი ისტორია. 1918-1945, ნაკვეთი პირველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., თბ., 1988.
3. სრუტეების თავისუფლება და საქართველო, გაზ., „დამოუკიდებელი საქართველო", 1936 წ., აგვისტო, №126.
4. რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.
5. ლ. სარალიძე, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებულში – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009.
6. ა. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984.

Lela Saralidze

Conference of Montreux and Georgian Emigration in 1936

Summary

The article based on the analyses of the emigrants' press reveals the efforts of the Georgian emigrated government and Georgian diplomats to preclude the approval of the harmful resolutions for Georgia on international conferences. Specifically the efforts of Akaki Chkhenkeli are outlined; in July of 1936 on the international conference in Montreux, Switzerland, Mr. Chkhenkeli tried to insure that Georgia's interests with regard to Straits would still be regulated by the Treaty of Lausanne reached in 1923.

As Mr. Chkhenkeli was not authorised to participate into the conference he has sent a special appeal to the chairman of the Montreux conference - Stanlay Bross. It is noted that despite the efforts of Georgian politicians Georgia

proved to be incapable to protect its own rights in Convention on Straits, due to the impediments from Russian and Turkish sides.

According to Montreux Convention the International Straits Commission was abolished; this fact practically changes the terms of the 1923 Lausanna Convention which ascribed some rights to Georgia in Strait issue.

The article stresses that the Montreux Convention has become relevant issue during the Russian-Georgian war of 2008. Referring to the Convention Turkey has initially refused the US the right of transit for the US ships sent for the purpose of helping Georgia as the tonnage of the cargo was greatly exceeding the amount laid out in the Montreux Convention stating that non Black Sea powers had the right to carry the maximum amount of 45 thousand tones of cargo. Washington was compelled to send the humanitarian aid by three relatively smaller military ships which had less capacities of tonnage.

ნინო ცხოიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ემიგრაციის სოციალურ-რელიგიური ასპექტები

წინამდებარე პუბლიკაცია მინდა ბატონ გურამ შარაძის სხოვნას მივუძღვნა, რომლის მკვლელობას არც ისე დიდი დრო გვაშორებს. აკადემიკოს გურამ შარაძეს უდაოდ დიდი ამაგი მიუძღვნის ქართული ემიგრაციის შესწავლისა და გამომზეურების საქმეში. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რაოდენ დიდ დახმარებას გვიწევდა იგი ჟურნალ „ემიგრანტები"–სათვის საინტერესო პიროვნებებთან შეხვედრისა თუ მასალების მოწოდების თვალსაზრისით. 2004 წლის ივნისში, როცა ჟურნალ „ემიგრანტის" პრეზენტაციაზე ბატონმა გურამმა სიტყვა წარმოსთქვა, აღნიშნა, რომ ამ ჟურნალის გამოცემა დროულიც არის და დაგვიანებულიცო. მას შემდეგ ჩვენი თანამშრომლობა ჟურნალის გაჩერებამდე გაგრძელდა. მისი აღდგენის დროს ბატონი გურამი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ჟურნალმა რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება. თავდაპირველად, „ემიგრანტის" სახელით გამოდიოდა. მეხუთე ნომრიდან მას „ემიგრანტები" დაერქვა. 10 ნომრის გამოსვლის შემდეგ, ფინანსური პრობლემების წინაშე დავდეგით და იძულებული შევიქმენი, ჟურნალის გამოცემა გამეჩერებინა. შემდეგ რუბრიკებს ვბეჭდავდი სხვადასხვა გაზეთში. ჩანართის სახით გაზეთ „რეზონანსში" გამოვდიოდით, ხოლო გასული წლის 8 თვის განმავლობაში საპატრიარქოს რადიოში მოვამზადე გადაცემათა ციკლი „სხვა საქართველო აქ არის". ამჟამად ჩვენი გამოცემა „რეალობა და სამყარო"-ს სახელით გამოდის. მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, სპონსორები დამეინტერესებინა იმით, რომ ჟურნალი საზღვარგარეთაც ვრცელდება და მას ორმაგი დატვირთვა აქვს: რეალური ინფორმაცია საქართველოდან მიაწოდოს ემიგრაციაში და საქართველოსაც გააცნოს ემიგრაციის პრობლემები, ფულის გადახდის მსურველების მოძიება ძნელი აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე მცირე ბიზნესში მოღვაწე ახლობლის დახმარებით შევძელი ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მემოგზაურა და გავცნობოდი სხვადასხვა კატეგორიის ემიგრანტთა ცხოვრებას, მათ წარმატებას, თუ წარუმატებლობას, სამშობლოსთან, ოჯახთან განშორების სიმძიმეს და ნოსტალგიის ტრადიციულ განცდას, მათ სულიერ მდგომარეობას და შინ დაბრუნების სურვილს.

ძირითადად ევროპაში არსებულ სიტუაციას მიმოვიხილავ. იმ მწირი დაფინანსების წყალობით, რასაც მე ამ 5 წლის მანძილზე

დროდადრო ვშოულობ, სამწუხაროდ, მთელი ემიგრაციის შესწავლა შეუძლებელი გახდა. იქ, სადაც ჩასვლა ვერ მოვახერხე, ქართველ ემიგრანტებს ინტერნეტით ვეცნობი და ასე თუ ისე, წარმოდგენა მათი ცხოვრების შესახებაც, გარკვეულწილად შემექმნა.

პირველი, რასაც მინდა ხაზი გავუსვა, ისაა რომ, საქართველოდან წასული ჩვენი თანამემამულეების ზუსტი ციფრის დადგენა შეუძლებელია. ძირითადად, ისმის-ხოლმე, რომ მილიონ ნახევარი ქართველი ცხოვრობს ემიგრაციაში. ზოგჯერ ამ ციფრს მხოლოდ რუსეთში მყოფ ქართველთა რაოდენობადაც ასახელებენ. ევროპაში მცხოვრები ქართველები კი მიიჩნევენ, რომ დაახლოებით იმდენი ქართველი თუ საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს უცხოეთში, რამდენიც სამშობლოშია დარჩენილი. ამდენად, ალბათ, სადაო არ უნდა იყოს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ზუსტი რაოდენობაც არ არის დადგენილი.

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ემიგრანტთა უმეტესობა სამშობლოდან ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად მიდის, არალეგალურად ცხოვრობს და გამუდმებით სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. მართალია, 3-4 წლის შემდეგ ბევრი ლეგალური ცხოვრების მიღწევას და საშობლოში ჩამოსვლასაც ახერხებს, მაგრამ ეს მცირე დროც ბევრ რამეს ცვლის. ადამიანები თანდათან ეგუებიან ევროპულ ცხოვრებას, კანონმორჩილებას, წესრიგს და სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ ბევრ მათგანს დიდი ხნით საკუთარ ოჯახში გაჩერებაც კი უჭირს. მათთვის უკვე მიუღებელი ხდება ჩვენში დანერგილი ისეთი ელემენტარული უწესრიგობაც კი, როგორიცაა საგზაო ნიშნების და მოძრაობის წესების უგულებელყოფა. დიდი ხნის უნახავ სამშბლოში ჩამოსულ ქართველებს აშკარად თვალში ხვდებათ შეღებილი შენობები, ზოგან ზედმეტად განათებული ქუჩებიც, ცენტრალურ მაგისტრალებზე დაგებული ასფალტი, რაც თავდაპირველ აღფრთოვანებას იწვევს. მაგრამ როცა ნათესავებში სტუმრად მისულებს უამრავი ყოფითი პრობლემა ხვდებათ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე შემხვედრი მათხოვრების გარდა, ოდესღაც კარგად მცხოვრები ნათესავებიც თხოვენ მოწყალებას, მათ სურვილი უჩნდებათ, ბილეთი გადაცვალონ და დროზე ადრე დატოვონ მონატრებული სამშობლო.

რაც შეეხება პირობებს, რაც ემიგრაციაში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს ხვდებათ, ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. ცნობილი ფაქტია, რომ ყელაზე მეტ სირთულეებს ქართველი ქალები (მოგეხსენებათ ემიგრაციაში უმეტესად ოჯახის ქალები მიდიან) საბერძნეთში აწყდებიან. ჩემი დაკვირვებით, ეს ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათზეცაა დამოკიდებული. ბერძნები ძალიან განსხვავდებიან ქართვე-

ლებისაგან. ამიტომაც ხშირია დამსაქმებელთა მხრიდან დაქირავებულებისადმი უხეშობის, დამცირების, შეურაცხოფის ფაქტები. განსაკუთრებით უჭირთ თავმოყვარე ქართველ ქალებს ჭირვეულ მოხუცებთან და ბავშვებთან მუშაობა. ამიტომაც მათ უწევთ ამ დამცირების თმენა და თუ მაინც ვერ გაუძლეს, სამსახურის დაკარგვის შემდეგ, გარკვეული ხნის მანძილზე ისევ უმუშევრები და უსახსროები რჩებიან, რადგან ახალ სამსახურში იმ ოჯახიდან დახასიათებას სთხოვენ, სადაც მანამ მუშაობდნენ.

მაგრამ პრობლემები ქართველ ემიგრანტებს საბერძნეთში ჩასვლისთანავე ეწყებათ. უფულოდ და ენის უცოდინრად იქ ჩასული ქალები ახლობლების მიერ მითითებულ მისამართებზე, ე.წ „გრაფიოში“ ხვდებიან. „გრაფიო“ არის დასაქმების ბიუროც, სასტუმროც, ფოსტაც კი, რადგან ზოგიერთი ასეთი ოფისი ამანათებისა და ფულადი გზავნილების ხაზითაც მუშაობს. ეს გრაფიოები ძირითადად საქართველოდან ჩასულ ბერძნებს და ქართველებს აქვთ გახსნილი დაქირავებულ ბინებში. აქ ბედის მაძიებელი რამდენიმე ქალი იყრის თავს. ისინი დღე-ღამეში 4–5,5 ევროს იხდიან. ორ ოთახში ზოგჯერ 10 ქალიც თავსდება. უკეთეს შემთხვევაში, მათ ორ-ორად სძინავთ საწოლებში ან იატაკზე დაგებულ ლეიბებზე. დილაადრიან იწყება სამზადისი, ვინ სად მიდის - სამსახურში, თუ რანდევუზე, რომ სამუშაო შესთავაზონ. ამაში 5 ევროს იხდიან, მიუხედავად იმისა დასაქმდებიან თუ არა. ვინც არ მუშაობს, მორიგეობით ბაზარში, ან სუპერმარკეტში უნდა წავიდეს, რომ სახლში მყოფ „გრაფიოს“ მფლობელებს სადილი მოუმზადოს. საჭმელად პირველები სწორედ ისინი სხდებიან. სადილობენ, საუბრობენ, უფრო ჭორაობენ და შემდეგ, როცა ყველაფრით დანაყრდებიან, სუფრას მოსამსახურეებად გამზადებული ქალები მიუსხდებიან. მათ შეზღუდული აქვთ დაბანა და სარეცხის რეცხვაც. ამის უფლება მხოლოდ შაბათს ეძლევათ და ამიტომაც ამ დღეს დილიდან სააბაზანოსთან რიგს იკავებენ. ვისაც გაუმართლებს და შედარებით კარგ ოჯახში მოხვდება სამუშაოდ, ისინი რამდენიმე თვეში საქართველოში დაგროვილი ვალების გადახდასაც ახერხებენ და ოჯახში დარჩენილი წევრების რჩენასაც. უკმაყოფილოები ერთმანეთს კვირა დღეს ომონიაზე (ათენის ცენტრალური მოედანია) არსებულ ეკლესიასთან ხვდებიან. აქ უკვე გამდიდრებული, ან კარგად მცხოვრები ქართველები არ დადიან.

ზოგი ისეთი ყოჩაღიც მინახავს, საქართველოში დატოვებული ქმარ-შვილის რჩენას ახალი ქმრის დახმარებით რომ ახერხებს და რამდენიმე თვეში თბილისში ახალ ბინასაც ყიდულობს. მაგრამ ძირი-

თადად მაინც არიან ისეთი ქალები, რომლებიც შვილების, მშობლების თუ დედ-მამიშვილების მონატრებით და სამშობლოსთან სიშორის გამო იტანჯებიან. მათი სიმრავლე კი იმით აიხსნება, რომ არალეგალურად გადასვლა უფრო მოსახერხებელია. თუმცა, ეს დიდი რისკია. საზღვრის გადაკვეთისას ბევრს ავტობუსის საბარგულში ყუთში რამდენიმე საათიანი ჯდომაც უბდება. ეს ფსიქოლოგიურადაც ძნელი გადასატანი ხდება. არის შემთხვევები, როცა უვიზოდ თურქეთის საზღვარზე გადასული ადამიანები ბულგარეთის მიმართულებით ტყეებით გადასულან. ზოგი მხეცმა შეჭამა, ზოგი გაიყინა, ზოგი ორმოში ჩავარდა და დაიკარგა. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა იყო, როცა ქუთაისიდან წასული ახალგაზრდები ნაღმზე აფეთქდნენ.

არალეგალურად ცხოვრების აუტანელი პირობების გამო ბევრმა ვერ გაძლო საბერძნეთში და ისევ არალეგალურად, ბარგით მოახერხა საქართველოში შემოღწევა. საბერძნეთში არის შემთხვევები, როცა უცხოელი მოსამსახურეების დასმენის გამო, ციხეში ქართველებიც მოხვდნენ. როგორც ერთმა ქართველმა ქალბატონმა მიამბო, მას სამი თვის განმავლობაში აყურყუტებდნენ ციხეში, საქართველო თქვენი გზის ფულს არ იხდისო. მას კი ყოველდღიურად კრუასანით და კოკა-კოლათი კვებავდნენ და დღიურად 6 ევროსაც უხდიდნენ. მისი თქმით, ზოგიერთმა ქართველმა ამ ხერხით საქართველოში გამოსაგზავნი ფულიც ჩამოიტანა. მას კი კრუასანი და კოკა-კოლა შეზიზღდა. ეს ქალბატონი დეპორტირების შემდეგ ნახევრად ცარიელი თვითმფრინავით რომ ჩამოაღწია საქართველომდე, გაოცებული დარჩა, რატომ ალოდინებდნენ მას ციხეში, თუ უფასოდ ჩამოსვლა შეიძლებოდა. მიუხედავად სამშვიდობოს გამოღწევისა, მან ისევ მოახერხა საბერძნეთში მოკლევადიანი ვიზით გამგზავრება და სამშობლოში უმუშევრად ყოფნას, კვლავ არალეგალად ცხოვრება არჩია.

შედარებით უკეთესი ვითარებაა ევროპის სხვა ქვეყნებში. ესპანეთში უმეტესად მამაკაცების სიჭარბეა, რადგან იქ მშენებლობებზე საქმდებიან. მაგრამ მათ თავისუფლების შეზღუდვა და ოჯახთან განშორება ადარდებთ. ბარსელონაში სვანების დიდი რაოდენობაა დასაქმებული. ქართველი ემიგრანტები აქაც კოლექტიურად ცხოვრობენ 4-5 ოთახიან ბინებში. როცა ფულს დააგროვებენ ან კვალიფიკაციის ამაღლების შემთხვევაში ანაზღაურება გაეზრდებათ, ცდილობენ შედარებით პატარა ბინებში, უფრო ნაკლები რაოდენობით განაწილდნენ. აქ ძირითადად ნათესავები ერთიანდებიან.

ბელგიაში, ჰოლანდიასა და იტალიაში უფრო ადვილია ქალებისთვის ოჯახებში დამლაგებლებად მუშაობა. რა პროფესიის მანდილო-

სანს არ შეხვდებით აქ: ექიმებს, ფარმაცევტებს, პედაგოგებს, მუსიკოსებს, ქორეოგრაფებს, ჟურნალისტებს და ასე შემდეგ. როგორი ანაზღაურებაც არ უნდა ჰქონდეთ მათ, რა სტატუსიც არ უნდა მიიღონ, სამშობლოში დაბრუნებაზე მაინც ბევრი ფიქრობს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ოჯახებით დასახლდნენ ევროპაში და სამშობლოში ხელახალი ადაპტაციის შიში აწუხებთ. შვილები უცხო ენაზე საუბრობენ და ქართულ გარემოსთან შეგუება უჭირთ. თუმცა, ამ სიტუაციაშიც იქმნება „პატარა საქართველოები", რაც სათვისტომოების, დიასპორების, ქართული სახლების თუ ქართული კულტურის ცენტრების ჩამოყალიბებაში გამოიხატება.

ცალკე საუბრის თემაა კრიმინალი ემიგრანტებისა და „აზულიანტების" ანუ თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემები. ბანაკებში სხადასხვა მოტივითაც ხვდებიან, მათ შორის სექსუალური და ეროვნული უმცირესობების ან სამედიცინო პრობლემების მოტივითაც ბარდებიან. მაგრამ პოლიტური თავშესაფრის მაძიებელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც პოლიტიკასთან შეხება საერთოდ არ ჰქონიათ. ეს შედარებით იოლი გზაა უშრომველად თავის რჩენისათვის, თუმცა, ამ სტატუსის მიღება არც ისე იოლია. ამიტომ, სანამ პიროვნების იდენტიფიკაცია მოხდებოდეს, მათ ბანაკებში აცხოვრებენ და არჩენენ. მოგვიანებით ისინი ფინანსურ და სამედიცინო დახმარებასაც იღებენ. ეს პროცედურა რომ გახანგრძლივდეს, ხშირად ისინი არ ამხელენ საკუთარ ვინაობას და პასპორტსაც მალავენ. როგორც არაერთ ქვეყანაში მითხრეს, ისეთ კურიოზულ თუ ტრაგი-კომიკურ სიტუაციებსაც ჰქონდა ადგილი, როცა „აზულში" ჩაბარებული ქართველები თუ საქართველოს მოქალაქეები, თავს შოთა რუსთაველად, ვაჟა ფშაველად, ილია ჭავჭავაძედ და აკაკი წერეთლად ასახელებდნენ. ყოფილა ასეთი შემთხვევებიც, ხილის სახელებიც დაურქმევიათ, მაგალითად, გოგრა ბალია. მათ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პირობებში უწევთ ცხოვრება.

საფრანგეთში ჩასულები გულისტკივილს გამოთქვამენ, რომ ჩვილბავშვიანებსაც კი მაშინვე არ მიუჩენენ ხოლმე თავშესაფარს და ღამის გასათევს. სამაგიეროდ, ჰოლანდიაში საუკეთესო ბანაკად მიჩნეულ „აზულში" მოხვედრილი ქართველები კმაყოფილნი არიან იმით, რომ მათ კომუნალური გადასახადებისა და საჭმლის პრობლემა არა აქვთ, თუმცა, დახმარება 200 ევროს შეადგენს. ისინი მაინც ახერხებენ „შავად" მუშაობას და მათ მაცივრებში ხორცი, ყველი, კვერცხი, ნატურალური წვენი თუ რძის პროდუქტები მუდმივად ბლომადაა. მათ არც ბანანი აკლიათ და არც ანანასი. მაგრამ საქართველოში შავი პუ-

რის ჭამა ურჩევნიათ, უცხოობაში გადახვეწას. „როცა ჩვენი გამგებლის ხელფასი რამდენჯერმე უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპაში მომუშავე დამლაგებლის, ეს სწრაფვა ევროპისკენ მუდამ იქნება“– მითხრა ერთმა ემიგრანტმა თანამემამულემ, რომელიც ჩვენი მგოსნების სახელებით აღრიცხულ ქართველთა ისტორიასაც მომიყვა.

საბედნიეროდ, ქართული საელჩოების ჩარევით, ამგვარი ფაქტები თითქმის აღმოიფხვრა. თუმცა სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მხრიდან თავშესაფრის ძიება და მოთხოვნები დღემდე არ შეწყვეტილა. მათ შორის იმატა ჟურნალისტების გადინებამ. მიუხედავად იმისა, რომ პრესის ამ მუშაკებს სამშობლოში თავისუფლად მუშაობის საშუალება არ მიეცათ და ადგილი ჰქონდა დაშინების ფაქტებსაც, ევროპის „აზულებში“ მათ დიდი სიხარულით როდი ხვდებიან. აღრიცხვაზე აყვანის პროცედურა ზოგჯერ რამდენიმე წელიც გრძელდება თუ ჟურნალისტემა საქართველოში მათზე ამა თუ იმ ფორმით ზეგავლენის შესახებ დოკუმენტური მასალის წარდგენა ვერ შეძლო. ზოგჯერ იმაშიც კი ეპარებათ ეჭვი, რომ საქართველოში ის პერიოდული გამოცემა არსებობს, რომელიც ჩვენმა თანამემამულემ დაუსახელათ და რისი გადამოწმებაც ინტერნეტის საშუალებით სრულიადაც არ არის ძნელი. ამგვარი დამოკიდებულება ჩვენებურთა ფსიქიკაზე, ცხადია, ცუდ კვალს ტოვებს.

რაც შეეხება კრიმინალ ემიგრანტებს, ისინი განსაკუთრებით ჭარბობენ იტალიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, ბელგიასა და საფრანგეთში. მაგრამ ისე ოსტატურად „მუშაობენ“, რომ იშვიათად ხვდებიან ციხეებში. თუ ოჯახი არ ჰყავთ სარჩენი, საპატიმროებშიც კარგად გრძნობენ თავს და სამშობლოში დაბრუნებას, უმუშევრად წანწალს, ისევ კეთილმოწყობილ საპყრობილეებში ჯდომა ურჩევნიათ.

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ დასასრულისთვის ისეთ საკითხს შევეხები, როგორიცაა ემიგრანტთა სულიერი მდგომარეობა. არ უნდა იყოს გასახარელი, რომ დასავლეთ ევროპის ქართული ეპარქია თანდათან იზრდება და სულ უფრო მეტი ახალი ეკლესია იხსნება უცხოეთში. ვიდრე ქართველთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს საზღვარგარეთ, ამის აუცილებლობა კვლავაც იქნება. აღსანიშნავია, რომ პრობლემების მიუხედავად, ქართული ეკლესიები მრევლის სიუხვით გამოირჩევიან. ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში უხვად მოიძებნებიან ისეთი ქართველები, სწორედ ემიგრაციაში რომ იპოვეს ღვთისაკენ მიმავალი გზა, პირველად აქ ჩაბარეს მღვდელს აღსარება, მიიღეს ზიარება და მარხვის შენახვაც აქ შეძლეს. თუმცა, იქ, სადაც ქართული ეკლესია არ არის, ქართველები

სერბულ, ბერძნულ და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიებში ლოცულობენ. ესპანეთში, კერძოდ, ბილბაოში, 2008 წლის აგვისტოს თვის შემდგომ იყო შემთხვევა, როცა ეკლესიაში მისულ ქართველებს პოლიტიკურ ნიადაგზე რუსებთან კონფლიქტი მოუვიდათ და დაატოვებინეს ეკლესია. რუსეთის რიგ ქალაქებში კი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღესაც ერთად ლოცულობენ ქართველები და რუსები. ამას გარდა, გაურკვეველია ჰოლანდია-ბელგია-გერმანიის საზღვართან მდებარე სპაში შესყიდული მონასტრის ბედიც, რომელიც პირველი გახდა საქართველოს საკუთრებაში ანტვერპენის დედათა მონასტერთან ერთად. ანტვერპენში ორი სალოცავი ფუნქციონირებდა. დღეს ორივე დაკეტილია მღვდელსა და მიტროპოლიტს შორის არსებული გაუგებრობის გამო.

ასევე დიდი პრობლემაა ემიგრანტთა მომავალ თაობაში ენის შენარჩუნება. საკვირაო სკოლების მუშაობა არასაკმარისია და ზოგან არც არის გახსნილი. ამიტომ 3-4 წლის ჩასულ ბავშვებს ქართულად მეტყველება უჭირთ. იქ დაბადებულთაგან ზოგმა საერთოდაც არ იცის მშობლიური ენა. მე ვფიქრობ, ეს უკვე სახელმწიფოებრივად მოსაგვარებელი საკითხია. ხსენებული პრობლემის გადასაწყვეტად დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ყოველწლიურად გაგზავნილი წიგნები საკმარისი არ არის.

მაგრამ ფესვებს მოწყვეტილი ქართველები მაინც ყველაზე მეტად თავისუფლების შეზღუდვაზე დარდობენ. ისინი ქართულად საუბარს და სიცილს, ქართულ ტრადიციულ ურთიერთობას არიან მოწყურებულები და სხვა ქვეყნების ემიგრანტთაგან განსხვავებით, უცხოეთში „ერთი გზის“ ბილეთით არ მიდიან. მათ მუდმივად თან სდევთ შინ დაბრუნების განცდა.

ქართველ ემიგრანტთა ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის შექმნით მეჩვენება შესაძლებელი. კარგი იქნება, ჩვენს თანამემამულეებს თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების შანსი გაუჩნდეთ, მონური შრომისა და ნოსტალგიის მძიმე სენით დაავადებულები, გადაგვარებულები რომ არ დაგვიბრუნდნენ სამშობლოში. ამ მიმართებით საქართველოს პარლამენტმა მუშაობა ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო. მაშინ საგარეო კომიტეტის მიერ მომზადებული კანონ-პროექტი პირველი მოსმენით იქნა მიღებული. იგი ემიგრაციის ლეგალიზაციის რეგულირებას გულისხმობდა. ანუ ჩვენსა და სხვა ქვეყნებს შორის უნდა დადებულიყო ხელშეკრულება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საქართველოს მოქალაქეებს სამშობლოშივე მიეღოთ ინფორმაცია, სად რამდენი და რა

სახის მუშა-ხელია საჭირო, რომ იქ მიზნობრივად ჩასულებს თავმოყვარედ ეშრომათ და არა მონურად, შავ მუშად.

საკითხის ირგვლივ მუშაობა 2004 წელსაც გაგრძელდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაგრამ იგი დღემდე დაუსრულებელია.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის დანიშვნისა და აპარატის ჩამოყალიბების შემდეგ უცხოეთში გაფანტულ ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვან ნაწილთან კონტაქტები გაიბა, ისახება მათთან ურთიერთობის ახალი ფორმები, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რაც დაფინანსების და დონორი ორგანიზაციების მოპოვების გარეშე ძალიან გაჭირდება. ჩემის მხრივ, ჟურნალის პარალელურად შექმნილი მაქვს რადიო-პროექტიც, დოკუმენტური ფილმისა და სატელევიზიო გადაცემის მონახაზიც, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში თავშეფარებულ ქართველ ემიგრანტთა სოციალური, რელიგიური და ცხოვრების სხვა ასპექტების უკეთ წარმოჩენას და გაცნობიერებას.

Nino Tskhoidize

Social-Religious Aspects of the Modern Emigration

Summary

The article is about our emigrated compatriots and outlines their way of life abroad. The number of Georgian emigrants in not ascertained exactly but it is clear that most of them have left the homeland due to the economic reasons. Among the Western European States Greece, Germany, Spain and Holland are the main recipient countries of Georgian migrants.

It is stressed that some emigrants take a great risk and get to their place of destination illegally. In many cities of abroad so called "Small Georgia" is created- by establishing a Diasporas, associations and Georgian houses. They are mainly involved in cultural and educational activities, found Sunday schools; some of them even have printing and online press.

It is mentioned in the article that after the establishment of the Georgian State Ministry on Diaspora Issues the contacts with emigration dispersed abroad were established, the forms of relations have been upgraded and so on. But a lot remains to be done which will require additional funding and great efforts.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წიგნი ქართულ ემიგრაციაზე

რუსუდან დაუშვილი. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.

2007 წელს გამომცემლობა „რაეომ" დაბეჭდა ისტორიკოს **რუსუდან დაუშვილის** სალექციო კურსის „ქართული ემიგრაცია 1921-1989 წლებში" პრველი ნაწილი „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში". რედაქტორია პროფესორი **რუსუდან ნიშნიანიძე**, რეცენზენტი – პროფესორი **ოთარ ჯანელიძე**, კომპიუტერული უზრუნველყოფა და ყდის დიზაინიც რუსუდან დაუშვილს ეკუთვნის. 288 გვერდიანი წიგნი შედგება შესავლის, 15 თავის, დასკვნების, ინგლისური რეზიუმეს, რ. დაუშვილის სტატიების ჩამონათვალის, ლიტერატურის ვრცელი სიის, პირთა და გეოგრაფიული სახელებისაგან და უხვადაა ილუსტრირებული ემიგრანტთა ფოტოებით.

პირველ თავებში საუბარია ქართული ემიგრაციის პირველ ტალღის (1921- 1930 წ.წ.) შემადგენლობაზე, მსოფლიოს 3 კონტინენტზე შექმნილ ქართულ კოლონიებზე, სათვისტომოებსა და ასოციაციებზე. ნაჩვენებია პარიზის, ბერლინის, ვარშავის, ხარბინის და ნიუ-იორკის სათვისტომოების ღვაწლი არა მარტო ქართველობის ფიზიკური და მორალური გადარჩენის, არამედ ემიგრაციაში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელების საქმეში. საუბარია აგრეთვე საქართველოს საელჩოებზე, პარიზში არსებულ საქართველოს მთავრობის ლეგაციაზე, 1933 წელს საქართველოს ლეგაციის გაუქმების შემდეგ მის ნაცვლად შექმნილ „ლტოლვილთა ოფისზე" და მის ფილიალებზე შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიასა და სტამბოლში, რომლებიც ქართველ ლტოლვილებზე ზრუნავდნენ.

მომდევნო თავებში აღწერილია ქართველთა მონაწილეობა II ინტერნაციონალის, ერთა ლიგის სხდომებში, მრავალრიცხოვან სამშვიდობო, პაციფისტურ, სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში საქართველოს საკითხის პროპაგანდაზე. რუსეთმა ერთა ლიგაში მაინც შეაღწია, თუმცა მრავალი

მხარდამჭერის წყალობით საქართველოს საკითხი საერთაშორისო ასპარეზიდან არ მოხსნილა. რეზოლუციები საქართველოს საერთაშორისო იურიდიულ სუბიექტად ტოვებდნენ, მაგრამ მას რუსეთიდან თავის დახსნაში ვერ შველოდნენ. შესწავალილია საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობა, როგორებიც იყო: „ქართული ასოციაცია ერთა ლიგისათვის", „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის" ქართული სექცია, „მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ". ინგლისსა და შვეიცარიაში შექმნილი საქართველოს დამხმარე, ფრანგულ-აღმოსავლური, „კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ერების მეგობართა" კომიტეტები, პარიზში, ლონდონში, პრაღასა და ვარშავაში შექმნილი „საქართველოს მეგობართა ასოციაციები", ნიუ-იორკში არსებულ „ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის", „საქართველოს უფლებების დაცვის ამერიკული კომიტეტი" და სხვები. გამოკვლეულია ემიგრაციაში შექმნილი ახალი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების და ეროვნული დარაზმულობების: „ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიუროს", „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის" და მასთან არსებული „სამხედრო კომისიის", საქართველოს დამოუკიდებლობის, კავკასიის განმათავისუფლებელი და კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტების, „პრომეთეს ფრონტის", „მომავალის", „თეთრი გიორგის", „ქართული ფაშისტური დარაზმულობის" მიზნები და მოღვაწეობა. გამოკვეთილია პარიზში წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი პირველი მოძღვრის დეკანოზ გრიგოლ ფერაძისა და მის მიერ დაარსებული ჟურნალის „ჯვარი ვაზისა" როლი. შესწავლილია ქართული საქველმოქმედო-დამხმარე ორგანიზაციები: სტუდენტთა, ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა, ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტები, „ახალგაზრდული სექცია", პროფესიულ, ეთნიკურ და სოციალურ პრინციპებზე დამყარებული გაერთიანებები: „ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა ასოციაცია", „იუნკერთა კავშირი", „ქართველ მხედართა დარაზმულობა", „ყოფილ ქართველ მეომართა საზოგადოება", ქართველ ექიმთა და შოფერთა კავშირები, „ქართველ ებრაელთა საზოგადოება", „თავადაზნაურთა საკრებულო", ქალთა კომიტეტები და მრავალი სხვა. გამორკვეულია ქართული მენტალიტეტის შენარჩუნებაში კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების: „ქართული კერის", „პრომეთეს კლუბის", „კავკასიის შემსწავლელ საზოგადოების", „ქართული სამეცნიერო წრის, „პარიზში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციის, დრამატული და "ფილარმონიული წრეების, სასპორტო საზოგადოება "შევარდენის" ღვაწლი, ბრიუსელის,

ბერლინის, ვარშავის უნივერსიტეტებსა და ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართული ენის კათედრების დაარსების მნიშვნელობა. ცალკე თავი ეძღვნება მრავალრიცხოვან პარტიულ პრესას, გამომცემლებს, ქართული სტამბებს, ექვთიმე თაყაიშვილის შექმნილ „ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდს", სტამბოლში კათოლიკური მონასტრის, პარიზში დავით ხელაძის „ქართულ-კავკასიურ" და მიუნხენში არჩილ მეტრეველის სტამბებს.

ნაჩვენებია დღესასწაულებისა და სამგლოვიარო და ტრაგიკული თარიღების – შობა-ახალი წლის, ნინოობის, თამარობის, 26 მაისის, საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების წლისთავების აღნიშვნა. როგორ აღინიშნებოდა ქართველი მწერლების – აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ხსოვნის დღეების ან საიუბილეო თარიღები, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე, რომელიც იმდენად მაღალ დონეზე ჩატარდა და ევროპაში ისეთი დიდი რეზონანსი გამოიწვია, რომ მომდევნო წლებშიც იბეჭდებოდა ინფორმაციები პოემაზე, მის ავტორზე და საქართველოზე. ლექციებზე იწვევდნენ ქართველ მოღვაწეებს, დაიდგა ბალეტი, გამოქვეყნდა ვრცელი ნაშრომები რუსთაველზე. „ვეფხისტყაოსანი" ნაწილობრივ ითარგმნა უკრაინულ, პოლონურ, გერმანულ ენებზე, პოემის რუსული, ფრანგული, იტალიური თარგმანები კი გამოიცა.

1920-30-იან წლების ქართული ემიგრაციის მეტად ინტენსიურ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას მთავარი შედეგი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება არ მოჰყოლია. ევროპაში გაჩაღებულმა II მსოფლიო ომმა ზემოთჩამოთვლილი ორგანიზაციების ნაწილი საერთოდ მოსპო, ნაწილმა კი დიდი ხნით შეაჩერა საქმიანობა. მეტიც, ომმა მთელ ქართულ ემიგრაციას დიდი დარტყმა მიაყენა: როგორც ანტიგერმანულ ბანაკში, ასევე გერმანიის მხარეს მებრძოლთა სახით ომში ქართველმა ემიგრანტებმა დიდ მსხვერპლი გაიღეს.

გელა სულაძე. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2010.

ეს წიგნი სულ ახლახან გამოიცა. გელა სულაძეს მკითხველი საზოგადოება აქამდე მხოლოდ საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციებით იცნობდა, დღეს კი ხელთა გვაქვს მისი ვრცელი მონოგრაფია სახელწოდებით „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“ (გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა,“ რედაქტორი – მწერალი **ვაჟა ოთარაშვილი**, სამეცნიერო რედაქტორი – პროფესორი **ვახტანგ გურული**).

ნაშრომი XX საუკუნის 20-50-იან წლებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ საბჭოთა სპეცსამსახურების ბრძოლის გაშუქებას ეძღვნება. ამასთან, წიგნში შესწავლილია საბჭოთა და საზღვარგარეთის არაერთი ქვეყნის სპეცსამსახურის (დაზვერვის სტრუქტურების) საქმიანობის ისტორიის საკითხები, აღწერილია საქართველოს სპეცსამსახურების, მის ცალკეულ თანამშრომელთა თუ დაზვერვასთან კონფიდენციალურად დაკავშირებულ პირთა ტრაგიკული თავგადასავლები და სხვ. საგულისხმოა, რომ თხრობა მთელ ექვსასგვერდიან წიგნში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის ფონზეა გაშლილი.

გამოკვლევა დაფუძნებულია ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზაზე, რომელიც 400-მდე დასახელების საარქივო საქმეს, სპეციალურ ლიტერატურას, ჟურნალისა თუ გაზეთის პუბლიკაციას აერთიანებს. უპირველესად აღსანიშნავია დოკუმენტური მასალა, რომელიც ავტორს საქართველოს სიძველეთსაცავებში მოუძიებია და დღემდე არა მხოლოდ ფართო საზოგადოების, არამედაც სპეციალისტთათვისაც კი სრულიად უცნობი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, კერძოდ 1990 წლის შემოდგომაზე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყველა მოქმედი და საარქივო საქმე უკანონოდ რუსეთში გაიტანეს. ეს მასალა დღეს რსფსრ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ქ. სმოლენსკის სამმართველოს საცავებშია განთავსებული და ქართველ მკვლევართათვის ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია.

ცნობილია ისიც, რომ 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების დროს საქართველოს საელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობა ცეცხლმა შთანთქა. შენობასთან ერთად განადგურდა აქ დაცული უნიკალური საარქივო დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, წიგნში თავმოყრილი და გამოყენებული პირველწყაროების, განსაკუთრებით სუკ-ის ნახანძრალ და დანესტიანებულ საქაღალდეთა საქმეებში მიკვლეული ინფორმაციის მნიშვნელობა ფასდაუდებელია.

ნაშრომი შედგება წინათქმის, 15 თავის, ბოლოთქმის, თანდართული ვრცელი ბიბლიოფრაფიისა და ფოტოარქივისაგან (160-მდე ფოტოსურათი).

მონოგრაფიაში, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო 1918-1953 წლებს მოიცავს, თხრობა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობს აღწერით იწყება და დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, პოლიტიკური თუ სამხედრო ელიტის უცხოეთში გახიზვნაზე საუბრით გრძელდება. წარმოჩენილია 20-30-იან წლებში საქართველოში განხორციელებულ პოლიტიკური რეპრესიები, გაანალიზებულია საბჭოთა სპესამსახურების მიზნები, ამოცანები და საქმიანონის ფორმები ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწეების გრიგოლ ვეშაპელის, ნოე რამიშვილის, ლევ ტროცკის მკვლელობის საქმეებს, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლების _ ტიტე მარგველაშვილის, შალვა მაღლაკელიძისა და სხვ. საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ გერმანიიდან გამოტყუება-მოტაცების აღწერას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილი ეროვნული განძისადმი სპეცსამსახურების დამოკიდებულების წარმოჩენას; ფართოდაა მოთხრობილი ქართველი ემიგრანტის შალვა ბერიშვილის ანტისაბჭოთა საქმიანობა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მხარდაჭერით და მისი დაკავშირება საბჭოთა დაზვერვასთან, განხილულია ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა გერმანიასსრ კავშირის ომის პერიოდში, გაშუქებულია მიხეილ კედიას ურთიერთობები ნაცისტურ გერმანიასთან, გადმოცემულია მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩამოყალიბებული და გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართული ლეგიონის, სპეცდანიშნულების რაზმების „თამარ-1“ და „თამარ-2“-ის თავგადასავალი, მიმოხილულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განხორციელებული რეემიგრაციული პროცესები და სხვ.

ემიგრაციის თემაზე საქართველოში აქამდე გამოქვეყნებული ნაშრომები ძირითადად უცხოეთს შეხიზნული ჩვენი თანამემამულეების საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს (პოლიტიკური, კულტურული, ლიტერატურული) შესწავლასა და ანალიზს ეძღვნებოდა. გ. სულაძის მონოგრაფია კი იმ ტიპის გამოკვლევაა, რომელიც ქართული ემიგრაციის სახეს, მის ავსა თუ კარგს თვით ემიგრაციის წიაღში ჩანერგილი საბჭოთა სპეცსამსახურების სამრეკლოდან დაგვანახებს.

ქართული დიასპორის ჟურნალ-გაზეთები უცხოეთში

აშშ

გაზეთი "მამული"
(http://www.mamuli.com)- დამფუძნებელი და რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჩახიძე. საქართველოში გაზეთ "მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით.

გაზეთი "ერთობა"
(www.gazetiertoba.com) - გამოიცემა ფილადელფიაში.
რედაქტორ-გამომცემელი: ნუკრი მუმლაძე.
სარედაქციო კოლეგია: მერაბ კერვალიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, ია ბერიძე-კიწმარიშვილი, გიული წერეთელი, ლელა ვაშაკიძე, გურამ სეხნიაშვილი (კანადა), ლია ხაბეიშვილი, მიხეილ მუმლაძე (საქართველო).

"თბილისი - New York"
კომპანია "საქართველოს საერთაშორისო პრესის" მიერ 2008 წელს დაფუძნებული ყოველთვიური გაზეთი. მთავარი რედაქტორი – მაია ერისთავი.
ოფიც. წარმომადგენელი აშშ-ში – თამარ ფრანგიშვილი.

ჟურნალი „ცნობის ფურცელი“ (www.bggev.de) გამოსცემს ბერლინის გერმანულ-ქართული საზოგადოება



ჟურნალი “ქართული” (qartuli@satvistomo.de)

გამომცემელი - გერმანიის ქართული სათვისტომო. მთავარი რედაქტორი – ნინო ხაბელაშვილი.

გაზეთი „ახალი ივერია”. ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოების გამოცემა. რედაქტორი და გამომცემელი – ჯიმშერ ბედიანაშვილი.

http://www.georgien-nachrichten.de/index.php?cmd=achali

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბრიტანეთი



ჟურნალი „თანამემამულე"

დაარსდა 2003 წელს გერმანიაში, 2005 წლიდან იბეჭდება ლონდონში. გამომცემელი და მთავარი რედაქტორია ზაზა მესხი.

საბერძნეთი



გაზეთი **"ელადა"** – მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი ანა ყურშავიშვილი. გაზეთის ნაწილი ბერძნულადაც იბეჭდება და ვრცელდება.

ახალგაზრდული ჟურნალი **"თაობა"** – გამოდის ქ. ათენში;

საზოგადოებრივი ჟურნალი **"ივერია"** – გამოიცემა ქ. თესალონიკში.
გაზეთი **"საქართველო"** – გამომცემელი თესალონიკის ქართული საზოგადოება "საქართველო".
ალმანახი **"ემიგრანტი ქალი"** – გამომცემელი ქალთა ორგანიზაცია "საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირი"

ჟურნალი "**ფიროსმანი**" – რედაქტორი ფაჰრეთთინ ჩილოღლუ. გამომცემელი შენოლ ტაბანი. რედკოლეგიაში შედიან: ერდალ ქუჩუკი, ქევსერ რუჰი, მუსტაფა იაკუტი, ჰასან ჩელიკი, იასინ ონჯუ და სხვ.

ჟურნალი „**ჩვენებური**“ – გამოცემას უძღვება ოსმან ნური მერჯანი (იმედაშვილი).

უკრაინა



ჟურნალი „**საქართველო**” – რედაქტორი ბესო შამუგია. http://iberieli.org

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

გიორგი მაჩაბლის ფონდი

2009 წლის აპრილში თბილისში დაფუძნდა საქართველოს თავისუფლებისათვის ცნობილი მებრძოლისა და მოღვაწის, სახელგანთქმული პარფიუმერული ფირმა „პრინცი მაჩაბლის" დამაარსებლის გიორგი მაჩაბლის ფონდი. ფონდი მოწოდებულია პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ ემიგრანტულ მემკვიდრეობას.

პირველი ეტაპის ამოცანას შეადგენს მოიძიონ, შეისწავლონ და გამოსცენ გიორგი მაჩაბლის არქივი, ასევე „პრინცი მაჩაბლის" ირგვლივ არსებული მასალები, ხელი შეუწყონ გიორგი მაჩაბლის სახელისა და შემოქმედების აღდგენა-დამკვიდრებას, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ფონდი მიზნად ისახავს მეცნიერების მხარდაჭერას სხვადასხვა პროგრამის, საჯარო ლექციების, კონფერენციების, პუბლიკაციების გამოცემისა და სხვა სახით.

გიორგი მაჩაბლის ფონდი ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მსოფლიოს სვადასხვა ქვეყანაში არსებულ ქართულ დიასპორასთან კავშირში მოაწყობს ეროვნული და საერთაშორისო დონის შეხვედრებს, დისკუსიებს, კონფერენციებს, სემინარებსა და განახორციელებს სხვა აქტივობებს; წარმართავს საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სამეცნიერო, საგამომცემლო და კვლევით საქმიანობას;

ახალმა ფონდმა თავისი დაფუძნება აღნიშნა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებით, რომლის თემა იყო „ქართული ემიგრაცია: ისტორია და თანამედროვეობა". მიმდინარეობს მუშაობა გ. მაჩაბლისადმი მიძღვნილი ფოტო ალბომისა და დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად.

ფონდის პრეზიდენტია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჯანელიძე. წარმომადგენლობა უცხოეთში მინდობილი აქვს ხელოვნებათმცოდნესა და პარფიუმერიის სპეციალისტს ირინა ასათიანს.

ი 50/70

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

9771987968003